



საქონლისა შვილის. ტიფლისი, 2 სექტაბ. 1899 წ.

შ ი ნ ა ს რ ს ი:

ზარგელა განყოფილება.

		33.
I	გამოცანები. (ლექსად) აკაკისა	1—6
II	საუბარი „კრებული“-ს მკითხველებ- თან. მისივე	7—16
III	გვარამიძის ოჯახი (მოთხრობა) თ. ხუსკიყაძისა.	17—50
IV	ცხოვრების მოედანი. ხომლეღისა	51—70
V	კროზარამა ეთნოგრაფიულ და იური- დიულ ცნობების შესაქრებად. ა. ხახა- ნაშვილისა.	71—87
VI	საქართველოს დედა-ძალაძი ტვილი- სი, (კავრძ.) მ. ჯანაშვილისა	88—104
VII	ევროპის მებარეუშომობა. (გაგრძელება) ს. ქვარაჩისა	105-128

მეორე განყოფილება.

I	მასალები ქრისტიანობის დაცემის და ისლამის სირწმუნოების გავრცელების ისტორიისა დასავლეთ საქართველოში. (კავრძელება) ზ. ჭ.-სა.	1—32
II	ხალხური ლექსები. წარმოდგენილი ს. მერკვეიდაძის მიერ	33—37
III	ამგავი ალექსანდრე ბატონიშვილ- ზიდ. ჩაწერ. „ქართვ. ასკეში“-ს მიერ	38—40

გამოცანები

ატესტანტებს დაფარიგებ,
არ ფახსენებ სახელს და გვარს...
ხახუნით ვინცა სჯამა,
პირიც მხოლოდ იმას უჯარს!

სამტლე, წუხავი შურია
შეხუთს, შეჭყეტს მთვარესა,
რამდენი ძაღლი ჭეოლია
საბრალო ჩვენსა მხარესა?!

1.

ერთგული ძაღლი მტრებს უეჭოს,
ორგული შინაურებსა;

უბეველია, რომ აქ თავის თავს ბევრი
გამოიცინობს, მაგრამ სირცხვილით ვერ გა-
ამხელს და გარეშევი ვინც ახსნის, იმას
საჩუქრად ჟრგვბა გაიძვერა რედაქტორის
პატიოსნება და ჩაჩნურა მწერლის ტკუა. თუ
დაგვეჯერა!

საითაც უწრუხუნებენ,
იქითკენ ატყვევებს უურებსა.

—

2.

კულ-ქიტინა, ფენთა-მლოკო,
ბობოჯების ფინიათ,
უსტქვათ, რომ კაცის არ გრცხვენია!
ღვთისაც არ გეშინია?

—

3.

როცა ძაღლები აუეფდენ,
შენ რადსა ჰყუფ მეჯაო?
— მეც საქათმეში მივძვრები
და მსურს მოსტუუვდეს უკვლაო!

—

4.

საშოკარის დროს ქორია,
საწუწკარის დროს ღორია,
გინდ იუთს საკურთხეველსა,
მისი სიწმინდე ქორია!...

—

5.

თავი ღვე-გმარი გტონის
ჭკუა-საწუალო ბექია,
რწუალების მონადირე ხარ,
საბრალოვ, ხაცარ-ქექია!..

—

6. II

ცა რომ გრგვინვით ჰქუხის. და ელავს,
 მიწას ეკვერი, მაშინ... წივი,
 დობემძვრალა რას მიხვდება:
 სად ჰფერენს იმ დროს ცის ანწივი?

7. SI

მატარა თავის და გულის
 მაწაწინა გრძობა-ჭკუა
 უკზო-უკვლოდ რას ჭუჭუენებს?
 და საიდან გამოჭეუა?.

8.

საიდუმლო შენი მცნება:
 კუჭი, მუჭი, ფუჭი გული!
 შენისთანა სხვატ გვინახავს
 ანტიქრისტეს მოხეტაული.

9.

რომ არ გქონდა, უარ-ჰყოფდი
 სხვის შეძლება-ქონებას!..
 რომ იშოვნე, შეურაცკდი
 ბატონ-ემობა-მონებას!!

10.

ჭკუა-გრძობის ასწონად
 გამოსულხარ მეგობარო!..
 შავი ქვა ხომ არ გვინია,
 რომ ფუთავი მთავარო?

11.

ნახირ-ნახირ გამოსუფხარ,
კუდი გაგიბზეკიაო;
რასაც სთესავ და რასაც მგო,
სუფხ ჩაღვ და ბზეკიაო!

12.

ურიასთან შავათაა,
ქრისტინთან კვირიაო!
საქმით დაბლა მოქვეშევეს;
სიტყვით მაღლა უვირიაო!

13.

თქვენც მაღალ ღირსებაო!
თქვენც პატიოსნებაო!
ამ თქვენ ტიტულს აკვირკვირებს
სიზმარი და ოცნებაო!..

14.

მაძლარი სხვისი ჰურითა,
დამტყბარი მტრობა-შურითა,
ჭხუდავს და ისმენს უფლიფურს
სხვისი თვალით და უურითა!

15.

თამარიც გიუგარს და ნინოც,
გახსოვს დიდება ქველიო!
მაგრამ ორივეს ივიწიებს,
როდესაც ანნას ელიო!..

16.

თამარ და ნინო ენაზე
ტაკრავს ვით სიტყვის მასხადა!
ანნას კი კულზე მიიკრავ—
სულ სხვა ეშხი აქვს!.. სხვა ძაღა!!

17.

ნინო ნინად გადაგვექცა
და თამარი თათათა!..
ზოგოერთ ქაღს რაღა ეთქმის
თუ არ: „მასხას!“ „აფსუს!“ „ხათა?“

17.

ცოლად და დედათ არ ვარტყა
არც ვარტყებულა ქაღათა!
წიგნების ნაცვლად ის უჯობს
ხელში აიღოს კაღათა!..

18.

ქმარი ცოლად კაცობდა,
კახდომიხარ თვითონ ქმარად?
იცოდე, არ კამოდგება
ძმარი დვინოდ, დვინო ძმარად!

19.

ბულბული რომ ვარდს დასტყენდა,
ძაღლი დადრენდა ძვალსაჲ;
ვირიც ბანს დაურთუებდა,
ჭანკებს ატანდა ძაღსაჲ!

22.

მტრებისთვის ბუმბულ-ბაშის ხარ
და მოყვრისთვის ქვა და გუნდა?
ან გიჟი ხარ, ან სულელი!
თრში ერთი რა თქმა უნდა?

23.

ხის ფარ-ხმალი აკილია!
ჯობს ვითომ თოფურია?!
ტვინზე ვინ გეყვს მიწვეული,
ნახარა თუ თოფურია?

24.

ვარდს შეუთვალა: „მომშორდი, ვაჟო
მძულხარო!“ მერაღმა ჭიამა,
ვარდმა სთქვა: „დმერთი ხომ ხედავს,
რომ ეს მტრობა მიამა!“

25.

შიგნით ჭრელი ხარ გგელივით,
გარედ კი ბამბის ქულაო!
იმის ჭირიშე, ვინც სქემი
შენ თავი შეკაძულაო!

26.

ვინ ნახა კატა დამფრთხალი,
შატარა თავის შიშითა?
რამდენსაც მეტყვიით: „ჭკა მკას!“
მეც გიშასუნებთ „ჩიშითა!“

აჭაჭა

საუბარი „კამბული“-ს მკითხველებთან.

როცა მე და ზოგიერთ ჩემისთანაებს მოღვაწედ გვიხსენიებენ და გვაქებენ, ღმერთია გულთა-მზილავი, რომ, სხვების არ ვიცი და, *მე კი ჩემდა თავად მწყინს. ვსწუხვარ ჩვენი ქვეყნის დღეს იმდენად დაცემასა და დაკნინებას, რომ ფუტურო მთიებისაგან ველარ გაურჩევიათ. აბა, აიღონ ხელში ჩვენი მატრიანეები, ჩვენს წარსულს გადაავლონ თვალი და მაშინ შეიგნებენ, თუ როგორი უნდა იყოს ნამდვილი მოღვაწე? ძველების მოღვაწეობა მოციქულებრივი იყო და ზოგიერთ ახლებს კი ნაცარქექიული ჩხირკედელაობაა. იმათ გულის ფიცარზე ერთის მხრით ებეჭდათ: „გული წმინდა დაბადე ჩემთა ღმერთო და სული წრფელი განმიახლე გვამსა ჩემსა“-ო, და მეორეთი: „ღირს მყავ, მეუფეო, სამსხვერპლოდ ქვეყნისადმიო“. ამათ კი სულ სხვა აწერიათ!—ცალ გვერდზე: „მე ვარ და ჩემი ნაბადი“-ო და მეორეზე: „თუ მე აღარ ვიქნები, ქვაქვაზედაც ნულარ იქნებაო“. და მიტომაკ, მაშინდელების წინასწარ-მეტყველებრივი შორს-მკვრეტელობა და არწივისებური აღმა-ფრენა საარაკო იყო და ახლანდელების თხუნულას სადარი შორს-მხედველობა და ღამურასავით საბუზპებლოდ ფრთების გაშლა სასაცილოა! ფუტუროს კიდევ, როგორც იქნება, შეურიგდება კაცი: ის თვალ-

მოსატყუარად მაინც ბზინავს ბნელში და ვნება არა მოაქვს-რა!.. მაგრამ საშიში და სამწუხარო ის არის, რომ დღევანდელ ჩვენ თვალ-ახვეულობას და გამოურ-კვევლობას საწამლაღი სამკურნალო ჰგონია, უშვერებას თაყვანსა სცემს და უწმინდურობა საამბოროდ გაუხ-ლია!.. დღევანდელ უნაჯარტლობას ავტყვევებდა ზოგიერთ ბექდვით სიტყვას დაეუჯეროთ, გამოდგება, რომ ჩვენს ბედს ძალდი ვერ დაჰყევს და საქართველო გამოჩენილ და სასიქადულო მამულიშვილებითა და მოღვაწეებით საესეა. ზოგიერთი ფურცლები და გაზე-თები ველარ აველია ხელში ისე, რომ უცნაურ რეკ-ლაშებს არ წავაწყდეთ. ავიღოთ სამინუსოდ რამოდენა ნიმე: „ბატონარ რედაქტორო! ნება მიზოძეთ, რაჟმ თქვენის პატივცემულის გაზეთის სწულალობით გულონ-თადი შადლობა განუცხადო ბატ. შრიკა შავგულიძეს, რომელმაც ჩემდამო ჩუმუნებულ ეკლესიას შემოსწი-რა ერთი გაზდამოხსნა და ორი ხატი, და მით მოიპოვა დაუვიწყარი საშვილიშვილოდ სახელი. ქეშმარიტად ეს საარაკო ქველის-მომქმედი და ქვეყნისთვის თავდადე-ბული მოღვაწე მამულის-შემლი ღირსია სტყვარულისა და პატივისცემის. ამა და ამ შტატის ეკლესიის მღვდე-ლი, ბორის პაკიპუკოვი“. ეს ამბავი ეფინება მთელ საქართველოს კილით-კიდე და გულ-უბრყვილო მკით-ხველებსაც სჯერათ. მაგრამ ჩვენ კი გამოვიძიოთ და შევიტყუოთ, ვინ ბძანდებიან და რა? ან შემწირველი; ან მოწმობის მიმცემი და ან დამბეჭდველი? პირველი, ესე იგი, შემწირველი, სამაგალითო მამულის შვილად დამოწმებულა შავ-გულიძე, გახლავსთ ის გმირი, რა-მელიც სხვა-დასხვა სარაინდოთა საქმეთა შორის, წე-ლიწადში რამოდენიმე ეკლესიებს გაძარცვავს. მეორე,

მოწმობის მიმცემი ვინღა არის, რომ მსხოფლიო კრებას გათანასწორებთა და მთელი ერის მაგიერ საქვეყნო განჩინებას ადგენს? ეს იმ პრაკიპრუკოვებთაგანია, რომლებიც უფრო მსუქან მრევლის ხელში ჩაგდების სურვილით არიან სამღვდელ-მოქმედოდ გამოწვეული, ვიდრე ზეგარდამო მადლით! ეს იმათაგანია, რომელთაც განათლება მიუღიათ და მრევლს კი არ მოძღვრობენ ადვოკატობენ, და როცა მრევლში უზიარებელი, ან უნათლაჳი ზინმე კვდება, იმ დროს სხვა-და-სხვა სასამართლოებში მოღვაწეობენ. ეს იმგვართაგანია, რომელთაც პრაკიპრუკით თავი მოაქესთ და სახარებას კი ვეღარ ჰკითხულობენ, რომ მლოცველებს წმინდა აზრი გააგებოინა! მესამე. მწიგნობარი და მბეჭდავი მამულის-შვილი ვინღა არის? ეს ის მეთაური გახლავსთ, რომელსაც არც ნიკი, არც ცოდნა და არც სხვაგვარი რამ საჭირო ღირსება ნებას არ აძლევს, რომ ამ წმინდა საქმეს, მწიგნობრობას, ეპოტიუბოდეს. მაგრამ მიუხედავად ამისა, ის მაინც ხელში იჭერს, რომ თავის საექვენაო სურვილების იარაღად იხმაროს. და საითკენაც სარგებელს დაინახაუშ, იქითკენ მიაშურებს, რომ ხან ეშმაკს დაუნთოს სანთელი და ხან ანგელოზს!.. აქაც, ცხადია: შავ-გულიძე მიტომ იმეტებს შესაწირავს, რომ მით ქვეყანას თვალი აუბას და მის რაინდობას უფრო თამამად გააშლევინოს ფრთები. პრაკი-პრუკოვი მიტომ იძლევა მოწმობას, რომ იმან გარდამოხსნასა და ორ ხატთან ერთად მიიღო კერძო საწირავადაც თუმნიანი, რომელიც ფერადით იყო გაწითლებული, თუ სისხლით; ძნელი უასარჩევი იყო. მესამე?.. გაზეთ-მეისტერმა რაღად დაბეჭდა?.. ამის გამოცნობა თვითონ მკითხველგებისთვის მიგვიჩნდვია! ჩვენ აღარას ვიტყვი!.. ნათქვამი

მია: ხელი ხელსა ჰბანსო, და ეს სამი მოღვაწეც ერთ-
მანეთს ამხნევენ!.. ცოცხლებმა ხომ თავი მოგვაბეზ-
რეს?! ახლა მკვდრებს მივუბრუნდეთ. ნეკროლოგებმა
გავვაყრუეს!.. თუ არ შესანიშნავი და ქვეყნის სამგლო-
ვიარო, ისე, უბრალო, აღარავინა კვდება!.. ასე გვარ-
წმუნებენ პირუთნეველი და სიმართლის მოყვარე პატი-
ოსანი მბეჭდავები: „ჩ სოფ: სალხინოში ამ დღეებში
გარდაიცვალა ერთი შესანიშნავი მოღვაწე და ქვეყნის
თვის თავდადებული ძმა-ბიჭი კიკინია ლენიაშვილი.
იმისმა სიკვდილმა ყველას გული მოუკლა. დღეის იქით
ჩვენებურ ლხინს შნო დაეკარგება!.. განსვენებული
სწორ-უპოვარი ტოლუმბაში იყო! ეს რომ განსასვენე-
ბელ ახალ-მოდურ „მრავალ-ჟამიერს“ იტყოდა ხოლმე:
„ჟამი! ჟამი! ჟამი! ჟამიერო!“ რომ აუციკინებდა ხოლმე
და მერე დააყოლებდა კრიმანქულით: „ბელი! ბელი!
ბელი! მადლობელიო!“ იმის გაგონებას აღარასჯობდა-
რა!.. ძნელია ამისთანა მამულიშვილის უდროოდ და-
კარგვა! საუკუნოდ იყოს სახსენებელი მისი“-ო და სხ.
ვინც ყოფილა ეს მოღვაწე, ეს თვითონ ნეკროლოგი-
დან სჩანს. მაგრამ რა არის ეს დღევანდელი ლხინი და
რამდენად საჭიროა ქვეყნისთვის, გავსინჯოთ: საზოგა-
დოდ ლხინი სიხარულისაგან უნდა იყოს გაოწვეული
და შედეგიც სასიამოვნო უნდა ჰქონდეს. და სწორედ
ამ თვალითაც უყურებდნენ მეჯლისებს ჩვენი ძველები.
შეკრებოდნენ ერთად ნათესავები, მოყვრები, მეგობ-
რები, საპატიო დარბაისელი, უცხო პირები და ერთად
სიამოვნებით ატარებდნენ დროს. მათი საამური ტკბილ-
ქართულობა, ზმობა, გაშაირება, სხვა-და-სხვა საერო
სიმღერები და საღმრთო სძლის-პირ-მრავალ-ჟამიერები,
გულს, სიამესა ჰფენდნენ. სიამოვნება, მოლხინეთ ლენიოს

ასმევდა, ძალა-დაუტანებლად, იმდენად, რამდენადაც გული მოითხოვდა და აგებულება შეიწყნარებდა. ამგვარი ლხინი წარამარა კი არ იცოდენ, უმიზნოდ, უბრალო და უმნიშვნელო ქეიფისა და ეინისათვის!.. იხდიდენ მაშინ, როცა რიგი და წესი მოითხოვდა: ქორწილში, ნათლობაში, ღამის თევაში, საუფლო დღეებში, როცა კაი დღე დაუდგებოდათ და სხვანი. დღეს კი უფრო უმნიშვნელო რამე იწვევს ლხინსა და წვეულებას! ხშირად საქვენაო მიზნებიც კი აიძულებენ ხოლმე. მოქეიფებთ შორის თვითო მეგობარზე ორ-ორი მტერიცაა, რომელიც მხოლოდ დროებით ჰგვარავს შურსა და მტრობას, თვარამ გულში სისხლის მსმელია, თუმც სადღეგრძელოს კი სიცილითა და საპირმოთნეო სიტყვებითა ჰსვამს. სუფრაზე ტკბილ-ქართულის ნაცვლად უხერხული პრიშტი-პრუშტებია, გაშირების წილ ქორების გადაცემ-გადმოცემა, ზმისა და მოსწრებულების მაგიერ ლანძღვა-კილვა და გინება, ანუ უწმაწური სიტყვების ყურში ჩაჭურჭულ-ჩამოჭურჭულება... ირჩევენ ტოლუმბაშს ერთხმად. მადლობა ღმერთს, რომ ტოლუმბაშობა უსასყიდლო მოხელობაა, თვარა ვინ იცის, რა შეხლა-შემოხლა იქნებოდა და იქნება სისხლიც დაიღვრებოდა. უსასყიდლო ტოლუმბაში, მაინც თავ-მომწონეა, რომ არ ეულ იქმნა და ჯერ ნაზობს, ვითომ სათნოებასა და თავ-მდაბლობას იჩენს: „ბატონებო! სხვა აირჩიეთ! არ შემიძლია, თქვენ არ მომიკვდეთ... ვერ ვიკისრებ“-ო, და სხვანი... ამრჩევლებმაც და გაბედნიერებულმა-ამორჩეულმაც, იციან, რომ ეს ასე უნდა, უცბად არ უნდა მიიღოს სასუფრო მოღვაწეობის ხარისხი; თვარა გულში დიდი კმაყოფილიც არის და ბოლოს, როცა დასთანხმდება,

დაიმკლავებს და მამაშინ ნახეთ, რა ბიჭიც არის და რაც შეუძლია? „ყმაწვილებო, აბა, აიხსეთ სასასმომ! ეს ღმერთმა აღლეგრძელოს ჩვენი საყვარელი, ჩვენი უვლად ღირსი და სასიქადულო ესე და ეს თანამდებობის პირი“... პირში ამას ეუბნება. მაგრამ იმავე დროს კი განზენენასა ჰყოფს!... ახლა კიდევ ეს. ღმერთმა აღლეგრძელოს ესა და ეს მშვენიერი ქალბატონი განზე მეზობლებს თვალს უპარპალებს, ვითრამდა მართალი არ გეგონოსთ! მახინჯია, ჟქვევც ხედავთო!... ახლა ეს, ახლა კიდევ ის და სხვანი: — ჩამოყვება სათითაოდ. ყველას შეამკობს, აქებს, ადიდებს... სხვებიც რასაკვირველია ეთანხმებრან. არის ერთი გახურებული თავის ქიციანი, აცუნდრუკება-აი-ცუნდრუკება და გაწა-მაწია. ვითომ გულ-წრფელობაა, მაგრამ ნამდვილად კი სულ სხვასა ჰფიქრობენ და უხინჯოდ ბევრი არცინ არის. ამისთანა კრებაში, რაც უნდა ხლართო, გულ-წრფელი მოლხენა და სიამოვნება არ მოხერხდება. რასაკვირველია, და ამიტომაც ტოლუმბაში ცდილობს, რომ ყველას გრძობა-გონება დააკარგვინოს, ღვინის საშუალობით, დაავიწყოს ყოლიფერი და მიტომაც აძალებს ღვინოს. ამგვარ ნაძალადევ ღვინს, რასაკვირველია, კარგი შედეგი არ მოაქვს ხოლმე. ბევრი ილანძლება, ბევრი მტრობა და შური ითვისება, სისხლი იღვრება და ბევრი კვდება. — იშვიათია დღეს ჩვენში მისთანა ღვინი და დღესასწაული, უჩხუბრად გათავდეს, ვინმე არ დაიქრას და ან არ მოიკლას. რამდენი ახალ-გაზდაა, რომ სიფხიზლეში სამაგალითო კარგი რამ ყოფილა, მაგრამ დაუძალებიათ ღვინო, ძალა დაუტანებიათ და რომ გადარეულა, დაუტრიალებია ხანჯალი და ციმბირში კი ამოუყვია თავი. არა, დღევანდელია ღვინო დიდი უბედურებაა, და ვინც

ამტკიცებს, რომ ეს მშა-პაპური ჩვეულებააო, რის ცილ-სა სწამებს წინაპრებს და სამარეს უტყვენს. — ამ გვარ რამეს ყოველი შეგნებული და რიგიანო კაცი უნდა უარსა ჰყოფდეს და აძაგებდეს, მაგრამ სამწუხაროდ ჩვენი მოწინავე დასიც კი ხელს აფარებს და მეთაურებიც გულ-გრილად უყურებენ. ზოგიერთები ამტკიცებენ: რა ვქნათ, უსაქმურია თავადაზნაურთა ახალ-გაზდობის უმეტესობა და იმის შედეგია ეს „ლხინ-მრავალ-ქამიერებიო!“ — კი, მაგრამ საქმიანებიც რომ აპყვენ ამ უსაქმურებს!.. ახლა გლახობაც ნახეთ, უფროსების მიბაძვის წყალობით, კაი დღეები რომ მოუათ, რას ჩადიან და რას შვრებიან?! რომ უფრო მკაცრად დაგისურათოთ მათი ლხინი და კარგი დღე, ერთ ამბავს მოგახსენებთ: ჩვენ სოფლებში ღვთისმშობლობა იციან, გლახები წინ დღეს ბაზარში დარბოდენ, სულ ათ-ათ შაურად სესხულობდენ ზვეში თუმანს და გირაოთაც წლის მოსავალს აძლევდენ; თუ ღვინოს, თუ პურსა და სიმინდს, რომ ერთი მეორეს არ ჩამორჩენოდენ და მდიდარსაც და ღარიბსაც თავი გამოეჩინათ ნაღვთისმშობლობებს აი რა მიაშბო ერთმა გლახმა:

— მარიობა გადაიხადე? — ვჰკითხე მე.

— როგორ არ გადავიხდიდი ბატონო? — მიწისუხა დაღონებით — გადავიხადე, მაგრამ ვარ იმ გადახდას!.. სულიან-ხორციანად კი გაგტყავდი და!..

— დახარჯე განა რაც ზქონდა სახლში სარჩო-სა-ბადებელი?

— რა ბრძანებაა? ორი თუმანი ვალიც წამომეღვა, მაგრამ არ შევტყვენო ვართ-კი.

— როგორ?

— რომ უნდა ესწორედ მისთანა ლეჩენი გადავიხადე.

მტერი არ გამიხარებია და მეზობელი ველარ დამცი-
ნებს... ისე დათვრენ, შენი რისხვა ნუ მომეცემა, რომ
ჭერეხივით ეყარენ ძირს; რაც სვეს ხომ სვეს, რაც
არა და ერთმანეთს სულ კისერში ასხეს, ღვინოში
მონათლეს ერთმანეთი. მაყოფინეს მე, მარა იმათაც
ეყოთ... დედის ხსენიც აღარ შერჩენიათ. არა, ლხინი
თუ? საიასალო იყო.

— ჩხუბი ხომ არ ყოფილა?

— აჰა, ისე რა ლხინი იქნებოდა?

— ხომ არავინ მომკვდარა?

— სიკვდილით არა, მაგრამ თავპირი კი დაუ-
სისხლიანდა.

— მამა შენმა რა სთქვა? როგორ მოსწონს ეგ
ლხინები?

— მამა ჩემი რას იტყოდა? ძველი კაცი გახლავით
— ახლანდელი განათლების არა გაეგება-რა!.. ის ისევ
მამა-პაპის ძველ რჯულზე მიდის!.. ერთი კი ჩამოილო-
ცა და მერე აღარც კი გაჩერებულა ჩვენ სუფრაზე!..

— შენ კი, როგორც გეტყობა, კმაყოფილი ყო-
ფილხარ?

— მაშ რა უნდა მექნა, შენი ქირომე, ქვეყანა,
ჩვენც უნდა არ გამოვსხლტეთ...

— კი მაგრამ, რაც რამე გქონია, დაგიხარჯავს, ვალი
წამოგდებია... ჩხუბი და უსიამობა ბევრი ყოფილა,
კარგი კიდეც, რომ უმარცხოდ გათავებულა ლხინი!..
ნუ თუ ეს ყოლიფერი მოსაწონია?

— მოსაწონი არ გახლავსთ, მაგრამ რა ვქნათ,
უნდა გავიჭიროთ ჩვენც; ქვეყანაში გამოსხლტეა ძნე-
ლია. მაგის მომგონისა და შემომღების ოჯახი დაიქცეს

— ჩვენ საუბედუროდ და საჭირბოროტოდ ეგ შამოუ-

ლიათ!... დაღუპვა, დაღუპვა გლეხის! მაგრამ ერთი რას
გააწყობ... შენ ნებაზე ვინ დაგაყენებს? მართეწლოზა
რომ ბრძანებდეს: ეგ დღეობა მაგრე, ნუ იქნებაო და
ისევე ისე იყოს, როგორც ძველად ყოფილაო! კარგი
იქნებოდა. მაგრამ სად არის?! ვინ დაგეძებს? ვინ გაგ-
ცემს ხმას? ერთხანად გაბრიელ ეპისკოპოსმა აკრძა-
ლა.— მღვდლები გვიშლიდენ. ნამეტანს ნუ ჩაღიხართ.
ნუ იღრწობთ თავს ღვინოშიო! ახლა კი პირველი მო-
ქვიფე მღვდლები არიან.

— ჰო და, რომ გცოდნია, შეგიგნია, რომ მაგ-
გვარი მოლხენა-ქვიფები თქვენთვის დიდი მავნებელი
ყოფილა? და რატომ თქვენდა თავად არ აიღებთ ხელს,
სხვების დაუხმარებლად?

— აკი მოგახსენეთ, შენ ნებაზე ვინდა გაყენებს?
შენ რომ არ გინდოდეს, ვინ გკითხავს, გინდა თუ არა,
აგიყოლიებენ! ქვეყანას ერთი როგორ გაუმკლავდება?

— შენ მეზობლებს რომ სახლში სახადი ედგათ,
უთუოდ შენც უნდა გაიჩინო?

— ასე კი გახლავსთ და! აი, ბატონო, ჩვენი სო-
ფლიდან, დიდი ხანი არ არის, რაც ახალგაზდა ბიჭე-
ბმა მადანში მუშაობა დაიწყეს. ქიათურაში მიდიან და
შავ-ქვაში დგებიან... ერთიც არ გადარჩენილა, რომ
იქ ლოთობას არ მიჩვეოდეს. იმათ მიჰბაძეს ჩვენმასოფ-
ლის შინა ბიჭებმაც და ისე მოედვა ლოთობა ჩვენ
მხარეს, რომ თუ კი ფული ჩაიგდეს ხელში, ფეხზე
აღარავინ დგება! და ეს გადამდები სახადი არ არის,

ახლა რა გახლავსთ?—ასე გაფთავა გლებმა საუბარო შავ-
ჭირზე და შავ-ქვაზე. და ჩვენც მეტს აღარას ვიტყვით,
მხოლოდ შემდეგისთვის. ეი, მოგახსენებთ. ბევრ რამეს
კიათურისა და შავი ქვის მრეწველობის, ან უფრო მარ-
თალი რომც ვსთქვათ, ამტარცველობის შესახებ მცო-
ცოცხალი პირები არ არიან. უკანონო და მძიმე მანქანები
ძირითადი მანქანების წყვილიდან იმდენად უკეთესია—აქავე
იფრინებიან. იმდენად კარგად, რომ ახლა თანამართლებ
მართალი იმდენად უკეთესია. მართალი იმდენად უკეთესია
მართალი იმდენად უკეთესია. მართალი იმდენად უკეთესია—





გვარამიძის ოჯახი.

(მითხრობდა)

«რა ვარდმან შისი ყვაილი, გაახზოხ, დაამკნაროსა, იგი წავა და სხვა მოვა ტურფახა საბადნაროსა».

რუსთველი.

29568

I.

—ენაცვალოს დედა მის შალიკოს! რა იქნება, რა! თუ ღმერთმა მისი გაზრდივ გამახარა, ყველა მის ტოლ ამხანაგებში გამოსარჩევი იქნება! ერთი შეხედეთ, მარტო მის ალვის ხის მგზავეს ტანადობას და მასზედ შეწყობილ ტურფა სილამაზეს, თიაქო განგებას მარტო ამისთვის მოეცალოს და თავის მოწყალების კალთები მარტო ამის თავზედ დაებერტყოს. ჯერ კიდევ რა არის!! ჯერ გაიზარდოს; მაშინ ნახავთ, რამდენს დაწვავს და დახრუკავს ჩემი შალიკოს ეშხი. მე გეტყვი და საქრმოდ დაიწუნებენ?! გვარიშვილობა არ უვარგა, თვალ-ტანად არ ვარგა, ავლაადიდება, ადგილ-მამულრი, შეძღობა არ აქვსო, ერთი თუ მეორე. ვააი, ენაცვალოს დედა მაშინ მას სასიძოდ გამოწყობილს ევზირ-ნაზირ-მაყრებით გამგზავრებულს რომ ეზოდგან გააცილებს!!

— ამგვარის სიტყვებით ეალერსებოდა ერთს კვირა დი-
ლას კნენინა სოფიო გვარამიძისა თავის ხუთი წლის ვაჟი-
შვილს—შალიკოს და თან სავარეო ტანისამოსს აც-
მევდა.

თავად ქაიხოსრო გვარამიძის ნთელი ოჯახი იმ დღეს
რაღაც ფაცა-ფუცში იყო. ყველა სადღაც წასასვლელად
ემზადებოდა, სადღესასწაულოდ მორთულიყო. ერთი შე-
ხედვით უცნობს, ეგონებოდა, თავ. გვარამიძე დღეს ვიღაც
საპატიო სტუმარს ჰოელის, მის მზადებაშიაო; მაგრამ
ნაცნობისთვის ეს სრულებით ჩვეულებრივი მოვლენა იყო.
ყოველ კვირა-უქმე დღეს ჩვეულებისამებრ გვარამიძის
ოჯახს იქვე სასახლის ეკკლესიაში წირვა უნდა მოესმინა.
დღესაც ამის მზადებაში იყვნენ.

—გოგო! ვარდისახარ! ხვარამზე! სად ხართ, თქვე გა-
საწყვეტლებო! მორთვი კნენინასთ პირ-საბანი წყალი და
მორჩით მალე! აგე, მღვდელი კიდევაც მოსულა და გვიც-
დის! გადასძახა აივნიდგან გოგოებს გაღია ბარბარემ და
თვითონ კნენინასთან შემობრუნდა.

—ეი! ბიჭო! ივანიკა? სადა ხარ შე, წუწკო შენა
გადმოსმა აივნიდგან თავად ქაიხოსროს მრისხანე ხმა,
რომელიც ამ დროს წმინდათ და ფაქიზად გამოწყობი-
ლიყო და წირვაზედ წასვლას ემზადებოდა.

—აქ გახლავარ, ბატონო, რა გნებავსთ?

—რა და შენი გამონაცვალი ჩოხა! რა უნდა მნე-
ბავდეს, შე წუწკო, ესუნაგო შენა. ხომ მხედავ წირვაზედ
წასასვლელად ვარ გამომზადებული და შენ სადღა ჯანა-
ბაში ხარ?! შეჭყვირა ივანიკას თავადმა ქაიხოსრომ. ივა-
ნიკა თ. ქიხოსროს ოჯახში დღევანდელ ლაქიას და-
ნიშნულებას ასრულებდა.

—ქალბატონი გამოეწყო? მოუბრუნდა ქაიხოსრო გოგოებს და ჰკითხა.

—კი ბატონო! ცოტა აკლია, ახლავე გიახლებათ მიუგეს გოგოებმა.

—როგორ, ფერ-უმარულით არ შეთითხნილა კიდევ? მიკვირს ღმერთმანი! ნეტა ვის ებრანქება ამ ჩემ სასახლის ეკლესიაში? ვის უნდა მოაწონოს თავი? მღვდელი ჩემი ნაყმევია და მრევლიც ყველა ჩემი ყმა და მოსამსახურეა, მაგრამ ქალს იმდენად მოსწონს პრანქიაობა, რომ სხვა რომ ვერაფერ იშოვოს მარტო, თავის თავს გამოეპრანქება სარკეში და ამითიც დიდაჲ კმაყოფილი დარჩება. წაილაპარაკა თავისთვის ქაიხოსრომ და აივნიდგან ძირს ეზოში ჩამოდგა ფეხი. ამ დროს სასახლის ეკლესიიდან გაისმა ზარების ხმა და მამა ზესარიონი წირვის თავდარიგს შეუდგა. შემოდგა ფეხი ეკლესიაში თავ. გვარამიძის ოჯახობამ თუ არა, კიდევაც გაისმა ეკლესიაში სასოებით სავსე ღვთაებრივი სიტყვები, „კურთხეულ არს მეუფება“..... რომელსაც ბანი მისცა მოხუცებულმა პეტრია დიაკვანმა: ამინ... „დიდება შენდა ღმერთო ჩვენო, დიდება შენდა—თი და მთელი, სასახლის ეკლესიაში მყოფი გლეხები თავის მებატონის ოჯახთან ერთად, აღიჭურვენ მხურვალე ლოცვით ზეცისადმი.

სასახლის ეკლესია იქვე ეზოში იყო აგებული. თავად ქაიხოსრო გვარამიძეს ოცი ქცევა მიწა მარტო ეზოდ ჰქონდა შემოღობილი, რომლის ერთს განაპირას ექვს თვლიანი ოდა-სასახლე იყო გაჭიმული, მასზედ მოზმული სამზარეულო, სახამბაზო, მოსამსახურეების ბინა. ცოტა მოშორებით, მეორე გვერდით კაკლის ხის ჩრდილს ქვეშ ქურ-მარანი, სასიმინდე, ნალია, საბძელი და დაწარჩენი წვრილმანი სახლები იყო გამართული. სასახლის

წინ იქვე ვებერთელა ცაცხვის ძირში სასიამოვნო წყარო ამოქუხდა და ახლო მდებარე მიდამოს აგრილებდა-ასუფთავებდა. წყაროს ნაკადული თეთრი ლენტის მსგავსად მიიკლანებოდა ეზოს ნაპირზედ, გვერდს უვლიდა იქვე მდებარე ბოსტან-ვენახებს და სრალათ ერთვოდა მთავარ მდინარეს, სადაც თავ. ქაიხოსროს ათი თვალი დოღობი წისქვილები უბრუნავდნენ. ამ მდინარის კალაპოტი ორი ვერსის მანძილზედ თავ. ქაიხოსროს საკუთრებას შეადგენდა, რომლის თვალ-ყურის დევნა მარკოზა თევზაძეს ჰქონდა მინდობილი. თევზაძეები თ. ქაიხოსროს ყმანი იყვნენ. უმეტესობა ამ სოფლისა თევზაძეების მეგვარეებიდან შესდგებოდა. იმათ მდინარის პირას ცხოვრებამ ძალაუნებურად შეასწავლა ცურვა, მცნავეობა, თევზის დაჭერა და ამისთანებები. მარკოზა მათში ყველაზე უფრო სახელგანთქმული მეთევზე იყო და მეტს სახელს «ცუცნიას» ეძახდნენ, რადგან შეზღუდულობით ტან-მორჩილი იყო და ქამის დროსაც, თითქო კატისებურ იცუცნებოდა. მარკოზა მუდამ წყლის ნაპირას იყო. მისთვის სრულებით საკმარისი იყო. ბატონს ებრძანა:—აბა, მარკოზ! დღეს ერთი «წვერათი» გავვიმასპინძლო, რომ ერთი საათის განმავლობაში «ცუცნიას» მთელი გობი ცოცხალი თევზებით აღვესო და ბატონი ესიამოვნებია.

მარკოზას ამ გვარ შეკვეთილ ნადირობით ბევრი მოჰყავდა გაკვირებაში, თუმცა კი გასაკვირალი აქ არა იყო რა, ვისთვისაც მარკოზას ნადირობა საიდუმლოს არ შეადგენდა. მაოკოზე ყოველ ღამე ნადირობდა, მეორე დილას ნანადირევს არავის არ აჩვენებდა და აქა-იქ დანიშნულ ადგილას დაჭერილ თევზებს წვრილ-წვრილ ბაწრებით წყალშივე ჩააბამდა და დაკვეთის დროს თავის ბატონს კრძალვით მოართმევდა.

თავად ქაიხოსროს სადილობედ ყოველ დღე არა ნაკლებ ოცი კაცისა უნდა ჟღერაიყო, რისთვისაც თუ არა ყოველს დღე — კვირაში ორჯელ მაინც, უსათუოდ ძროხა უნდა დაკლულიყო; ამასთან წვრილ-ფეხ საკლავს: ბატკნებს, გოქებს და შინაურ ფრინველებს ხომ ანგარიშში არ აგდებდენ. იყო გამართული უდარდელი მეჯლისი და დროს გატარება, რომლის აბობოქრებულ ტალღებში იზრდებოდა, ფრთას ისხამდა და ვითარდებოდა ჩვენი პატარა შალვაც. ეს ის დრო გახლდათ, როდესაც ხალხში აქა იქ ბატონ-ყმების განთავისუფლებაზედ სანატრელი ზმები ვრცელდებოდა და თავადი ქაიხოსროც გულ-ნატკენად ელოდა ბედნიერების ფრთების შეკვეცას. მას თითქო არ სჯეროდა, როცა აქა იქ ეტყოდნენ ან მეზობლები ან მისი ყმები და გაბრაზებული მებატონის კილოთი შესძახებდა:

— რას ბრალავთ, რაებს ჩმახავთ? ვის შეუძლია ყმეში ჩამომართვასო?

თუმცა ამას დიდ რიხიანად ამბობდა თავის ყმეში, მაგრამ გული კი ბოლმით უსივდებოდა. ხმები თან და თან მართლდებოდა და ბოლოს თავისუფლების ნიავმა იმერეთის არე-მარესაც დაჰბერა: სხივ-მოსილი, დიადი აზრი ხორც-შესხმული შეიქმნა და გუშინდელი მონა, გაუთანასწორდა ბატონს კანონის წინაშე. ამას მოჰყვა თავად-ზნაურების დაქვეითება: ცხოვრების გზაზედ მსვლელობის შეფერხება და სხვა კალაპოტში ჩადგომა.

— რა ვჰქნათ, ბატონო! რა ჩემი ბრალია, შენი ქირიმე! უჯამაგიროდ არც ერთი მოჯამაგირე ხელს არ ჰკიდებს საქმეს. შეუბნებიან: თუ ბატონი ჯამაგირს არ გაგვიჩენს, ყველა ჩვენ ჩვენს სახლებში უნდა წავიდეთო!

მოახსენა ერთხელ თავად ქაიხოსროს მგელ-მუცელა მისმა მოუტრავმა.

—რომელი ბედავს მაგას, მოუტრავო, რომელი? მრისხანედ ჰკითხა თავადმა ქაიხოსრომ.

—ყველა შენი ჰქირიმე! ყველას ერთნაირად მოექცა «ფხარი» და უწყყრება წმინდა გიორგის მადლი.

—მაშ რა საშუალებას უნდა მივმართოთ მოუტრავო?!

—რას და იმას შენი 'ჰქირიმე, რომ... რალა ჩემი სწავლება გეკირვებათ, თქვენც კარგად მიხვდებით, ახლანდელს დროს რაც შეეფერება...

—რალა უნდა შეეფერებოდეს! ის შეეფერება, რომ იმ დღეს კაცია ხელაძის შვილი, აი ის ტუტუცი; ჩვენ რომ ხაბაზად გვემსახურებოდა, ე მაგ გვარ შემობრუნებულ ხებრულ სიტყვებისთვის გავაწვინე და კარგა ლაზათიანად გავშოლტე, ცხვირ-პირი შევუღებე და გავუშვი.

—საქმეც ეგ არის შენი ჰქირიმე, რომ რაც უწინ შეგვარჩენია, დღეს აღარ შეგვარჩენენ. რასაც უწინ ყმები გვითმენდნენ, დღეს აღარ მოგვითმენენ. ნუ გამირისხდებით და ამ საქმის შესახებ რალაც კორებს მოვჰკარი ყური, ღმერთმა ნუ ინებოს, რომ მართალი გამომდგარიყოს, მაგრამ ყველგან კი ასე მოგახსენებენ. ვითომ იმ თქვენ მიერ გალახულ ხაბაზს ეჩივლოს თქვენთვის და თქვენც პასუხს.....

—რა, რა? რაებს როტავ მოუტრავო? ვის ეჩივლოს! ვის თხოვენ პასუხს? ვის შეუძლია მიჩივლოს? კაცია ხელაძის მერე? მეტს ცხოვრებას აღარ აპირებს ქვეყანაზედ? ის ჩამომართვა ხელმწიფემ, თორემ მისი ადგილ-მამული ჩემია. თუ ბიკია გაბედავს?! სულს ამოვიძრობ, სულს! მრისხანედ შეჰყვირა თავად ქაიხოსრომ და გაჯავრებით ბოლთას ცემა დაიწყო.

— შეიძლება, ბატონო, იმან ვერც გაბედოს და არც ისურვოს, მაგრამ ახლანდელმა სამართალმა, საქმის წესწყობილებამ და ცხოვრებამ ისეთი პირები აღმოაცენა ჩვენი ცხოვრების გულიდან, რომ ურთიერთ-შორის ქეშმარიტ სიყვარულის დანერგვის მაგიერ, სიცრუეს, გაუტანლობას, ერთმანეთის ჩაყლაპვას და განადგურებას ჩასჩიჩინებენ ყურში თავიანთ მოძმეებს, და ამ გვარ ამღვრეულ წყალში უფრო ადვილად იჭერენ თავიანთ საკბილო თევზებს... მიუგო მოურავმა.

ჰო! ენახოთ, ენახოთ მოურავო! ენახოთ რას გვიზამენ; ამ თავადობას, მამა-პაპურ შეძენილ ავლადიდებას ხომ აღარ ჩამომართმევენ?! ცოტად დამშვიდებული კილოთი უთხრა თავადმა.

— ბატონო, თავადობას არავინ წაგართმევსო, მაგრამ რაღა იმისთანა ღირსება, რომელიც გქექყლი იქნება შენის უნცროსის წინაშე. რაღა სახელი გქვენებათ, რომ თქვენმა ნაყმევმა. თქვენმა მცხაბაზემ საზოგადოებაში გაჯოპოასთ და მისვამო შეურაცყოჟა ანუ სასჯელი მიიღოთ. განაგრძო მოურავმა.

— რაებს ამბობ მოურავო! მთვრალი ხომ არა ხარ?

— მთვრალი კი არა ვარ, შენი ქირიმე. გუშინდელს აქეთ, თქვენი რისხვა არ მომეცეს, ჩემ პირში ლუკმა საკმელი არ ჩასულიყოს... ჯავრით აგერ ლამის გული გამისკდეს. რა დროს მოვესწარიოთ თქვენი ქირიმეთ! რა დროში! ჩავერდით. ვფიქრობ და ვერ გადამიწყვეტია! გუშინ, ასე სამხრობა იქნებოდა... გამომძიებელის იასაული გიანხლათ და თქვენი ნახვა ისურვა. რადგან თქვენ გეძინათ, რაღაც ქალაღდი მომცა ხელში და გაბრუნდა... მეც იმ წამს ეს ქალაღდი მღვდელს მივურბ ნიე და მან ხმა-მაღლივ, ყველას გასაგონად წაგვიკითხა: „თავადს

ქაიხოსრო მანუჩარის ძეს გვარამიძეს ...ის მაზრის გამომძიებელი იბარებს თავის კამერაში ამ ენკენისთვის 20-ს, რათა გამოცხადდეს მასთან პასუხის საგებლად ესტატე კაციას ძის ხელადის გალახვის შესახებო... დღემდის ამ უწყების მორთმევა ველარ გაგიბედეთ და დღეს კი, რადგან ვადაც მოახლოებულია, ვბედავ და გაახლებთ. ამ დროს მოურავმა ჯიბიდან ამოიღო გამომძიებლის უწყება და თავადს ქაიხოსროს მიაჩრთვა ხელში. თავადმა ქაიხოსრომ ჯიბიდან საფალეები ამოიღო, თვალეზხედ წამოიღგა, უწყება ხელში აიღო, და გულმოდგინედ დაუწყო კითხვა, თითქო იქ სურდა ამოეკითხა მიზეზები მის რთულ და დიდებულ ცხოვრების ამ გვარად დიხრწნისა და დაწვრილმანებისა მის პირის სახეზხედ ნაოლად იხატებოდა, მინავანი სულიერი ბრძოლა. ის ნათლად ჰგრძნობდა, რომ მის ფეოდალურ უსამზღვრო თავისუფლებას თან და თან ფრთები ეკვეცებოდა, მისი აღვირ-აშვებული მოქმედება თან და თან ისამზღვრებოდა და ყაძახი უბრალო შეურაცხყოფასაც აღარ ჰკადრულობდა.

ქაიხოსრო ამ ფიქრებმა ისე გაიტაცეს, რომ მოურავისათვის პასუხის გებაც ველარ მოახერხა, გონებამ უარი უთხრა ენას და ენასაც რაღაც იდუმალმა ძალამ მოუსპო სალაპარაკო სახსარო. იღგა, მოსამართლის უწყება ხელში. ეკავა და სახე დაღვრემილი, გამტერებული უყურებდა მოურავს. მოურავის ბევრისგან ბევრის ნახულმა გულმა ფიცხლავ იგრძნო ქაიხოსროს გულის ტკივილები და მოახსენა:

— არაფერი, ბატონო! თქვენ ნუ გეწყენებათ და შე ხვალვე დავიბარებ იმ წუწკს ხაბაზს, საქმეს მოვასპობიებ! ანუგეშებდა მოურავი.

— ეგ. ხომ ასე იქნება მოურავო, მაგრამ მე იმას ვფიქრობ, მე ის მაწუხებს, როგორ გამიბედა, როგორ მკადრა იმ წუწკმა, იმნა! ? უთხრა ქაიხოსრომ და სასადილო ოთახისკენ გაიბრუნა პირი. სასადილო ოთახში ათითხუთმეტი კაცის სადილი იყო გამართული. თუმც ბატონ-ყმობა ახალი გაყრილი იყო, მაგრამ უწინდელ ცხოვრებას ქაიხოსრო უარს ვერ ეუბნებოდა. უწინდელი ცხოვრების შეცვლა თ. ქაიხოსროს ჯერ კიდევ ვერ მოეხერხებია, რადგან ბევრი მტერ-მოყვარე მოსდევდა, პურ-ღვინის ჩოიფეფე თავადის სახელი ჰქონდა დავარდნილი და თვითონ ღიდათაც რომ არ სიამოვნებოდა, ზოგიერთი ეგრედ წოდებული „მუღმივი სტუმრები“ დანიშნულს საათს სადილობისა გაშლილ სუფრას მაინც კი მოუჯდებოდნენ და სიმღერა-თამაშ-ოხუნჯობით შეაქცევდნენ ხოლმე უსაქმურობის გამო დაღლილ-დაქანცულ „ყვინებს“. გაშლილ სუფრას თავ. ქაიხოსროს ოჯახში ყოველთვის ამშვენებდნენ გრძელ-გრძელი თეთრი პურის ლავაშები, ცალ გვერდა მურასად გამოცხობილი პურები, ფართე-ფართე ცხელ-ცხელი «თორნოულები», ღომი, ძროხის ბეჭები ტყემლითა და საწებლით შეზავებული და სხვა და სხვა-ფერად-ფერადი იმერული ღვინოები. პირველი წლებში თ. ქაიხოსროს ოჯახში ვერ შეამჩნევდით ბატონყმობის განთავისუფლებას, რადგან მოსამსახურეების რიცხვი თუ აღემატებოდა, თორემ არ მოკლებულა, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ თუ გუშინ მუქთად, უფასოდ ემსახურებოდნენ, დღეს ყველა ჯამაგირში იყვნენ, ყველა თავის საშრომელს ღებულობდა. თუმც თ. ქაიხოსროს ადგილ-მამული უხვად ჰქონდა, მაგრამ მოსამსახურეების ჯამაგირის მიცემა კი ნაღველს უსივებდა. ქაიხოსრო ჯერ კიდევ ვერ შეჰყუებოდა იმ აზრს, რუმ ყმა თავის მებატო-

ნეს სამსახურში ფუტს ართმევდა, სიტყვის შემობრუნებას უბედავდა, თავის ღირსებას იცავდა და საზოგადოდ ყველაფერში ადამიანობდა.

ამ გვარ ცხოვრების მსვლელობის დროს, პატარა შალვას აღზრდა-განვითარებას სულ მცირედი ყურადღება ჰქონდა მიქცეული. ის ღვთის და მის ნიქის ანაბარად იყო გაშვებული. პატარა შალვა უხვად იყო დაჯილდოებული ზეციურის ნიქით. თუმცა კი მისი ნიქიერება, ჯერ-ჯერობით სადილ-ვანშმის დროს სადღეგრძელოების წარმოატქმაში. ლეკურის მოხდენილ ჩამოვლაში ' და იმერულ კრიმანჭულ სიმღერებში-ლა გამოიხატებოდა. სადიქნებოდა ისეთი მეჯლისი, რომ შალიკოს თავი არ გამოეჩინა. ანუ უკეთ რომ ესთქვათ, დედა მისს, სოფიოს, არ ეამაყა თავის შალიკოს ასე მოხდენილ და მარდად ლეკურის თამაშით.

— აა ლეკური, ლეკურიო! დასძახებდენ თუ არა დარბაზში, ერთი წამის უმაღვე საცეკვაო მოედანზედ ჩვენის შალვის ფეხების სმას და ხლართვას თვალს ვერ მოასწრებდით. ეღვის სისწრაფით ერთი ადგილიდგან მეორემდის მისრიალებდა, აღვის ხის მზგავს ტანს ოდნავ არხევდა და ცეცხლის მფრქვევ თვალებით თამაშში მოკამათე არსებას ეძებდა. შემდეგ ცალ ფეხზედ უცებ მარდად შეტრიალდებოდა, მარჯვენა ფეხს გაბზილვებულ იატაკზედ კოხტურად სტკეცდა და მორცხვად, ყმაწვილურის კრძალვა-მორიდებით რომელიმეს კნიაყნას სათამაშოდ გამოითხოვდა.

აქ უცებ შეიქნებოდა კისკისი, ტაშის ცემა და ერთი კოყინა. შალვას ამ გვარ მოხდენილ კავალრობას ყველა ადტაცებაში მოჰყავდა. დედა მისს კი სიხარულის ცრემლებით თვალები ევსებოდა. შალვას ფეხების

სიმარდეს გულის ცემით ადევნებდა თვალ-ყურს. «რა-
იქნება, რა? ჩემი შალიკო? ენაცვალოს დედა მისი მის
ჭკუით სავსე პატარა კნიაზს»-ო! წაილაპარაკებდა ხოლმე.
თავისთვის ცოტა ხნის შემდეგ კნენა სოფიო და თავის
ტოლ კნენებში გაერეოდა.

უფრო მოსახიბლავი ხანა ის იყო, როცა პატარა
შალიკო ლეკურის თამაშში კნენა სოფიოს გამოიწვევ-
და ხოლმე. კნენა სოფიოც არ უტეხდა ხათრს თავის
«მზე და მთვარეს», როგორც თვითონ ეძახდა შალიკოს,
და დაირით ხელში, პატარა კაგალერს გვერდს ამომდგარი,
მწყობრად და მოხდენილად დასრიალებდნენ სათამაშო
დარბაზის იატაკზედ..

ასე და ამ გვარად თავდებოდა სადილ-ვახშმები
და თავად ქაიხოსროს ოჯახის მსვლელობაც ამ კალა-
პოტში იყო ჩაყენებული.

ზაფხულის დილა იყო. ღამ-ღამობით საშინლად
ცხელოდა. თავად ქაიხოსროს მთელი ღამეები არ ეძინა.
დილის გრილ ჰაერზედ, ფანჯრებ დაღებულ ოთახში,
დღეს ჩვეულებრივზედ უფრო გვიან გამოეღვიძა. დილას
ცოტა კიდევაც წამოეწვიმა და ბუნებას სასიამოვნო სიგ-
რილის ცრემლებით დაებანა პირის სახე; ჰაერი სარ-
კესავით გაწმენდილიყო. დილის გრილი ნიავი არშიყუ-
ლად ეხვეოდა თავად ქაიხოსროს ეზოში მდგომ ჩრდი-
ლოვან ცაცხვს, გრძნობით გულში იკრავდა და გრძელ
ტოტებს რხევის დროს ერთმანეთს აკონებდა, ამ გვარმა
ნიავემა თავად ქაიხოსრო უნებლიედ მოხიბლა, ძილს თავი
წაარამეფია და ცაცხვის ძირში წმინდა ჰაერზედ გამოიყვანა.

— ბიკო! ივანიკა! სად ხარ? ისევ გძინავს?

— არა ბატონო, რა დროს ძილია! მე დიდი ხანია
ზეზედ გახლავარ.

— აბა! ყალიონი!

— ამ წამში იქნება ბატონო! მიუგო მარდით ივანი-
კამ და რამდენიმე წამის შემდეგ თავად ქაიხოსროს გაწ-
ყობილი ყალიონი ხელში ეკავა და ფეხ გადადგმული
ოცნებობდა. შემდეგ დრო-გამოშვებით მისცემდა ცაში
კვამლის კამარას და თან ოცნებით გატაცებული უკ-
ვირდებოდა კვამლის კლავნით ცის სივრცეში მისწრა-
ფებას.

— კნიაზს ვახლავარ! დილა მშვიდობის ჩემო ხელმ-
წიფევ! უცებ მოესმა ოცნებით მთვრალს ქაიხოსროს
მოუტრავის ხმა.

— ოჰ! მოუტრავს გაუმარჯოს, მოუტრავს. უთხრა
ქაიხოსრომ და კიდევ უფრო მაგრად მოსწია ყალიონი.
რა ჰქენი მოუტრავო, მოუტრიგდი?

— ჰმ... გაიკვილა მოუტრავმა ხმა.

— რას დაგიდუმდა ეგ მეტყველი ენა? სთქვირა ჰქე-
ნი! უფრო ხმა მალრა უთხრა ქაიხოსრომ.

— რა უნდა მოგახსენოთ, შენი ქირიმე. ვერაფერს
სანუგუმოს ვერ გეტყვით, ისეთი დრო დაგვიდგა ბატო-
ნო, რომ ბრუნდი და მართალი, ბრიყვი და ჭკუიერი
უველა ფულს ეძებს, ფულს...

— როგორ? ხელაძეც ფულს მთხოვს თუ? ჰკითხე
ქაიხოსრომ.

— ჰმ.. გთხოვს ბატონო და მერე რამდენს, ნეტა ცო-
ტას მაინც თხოულობდეს ი მამა სულ-წაწყმენდილი!
ვიღაც სულზედ და სინდისზედ ხელადებულ მაწანწალას
უთქვამს, შენს ნაბატონარს ახალი სამართალით ორ კვი-
რას «ნაობახტში» ჩააჯენო და ახლა დაუჯინია, ასს
მანეთზედ ნაკლებ ერთ კაპეიქსაც არ ავიღებო, განაგრ-
ძო მოუტრავმა.

— ჰეი, ჰეი! მოურავო! სთქვა აღელვებულმა ქაიხოსრომ, და ცაცხვის ქვეშ ბოლთის ცემა დაიწყო. თავშიშველი მოურავი დიდ ხანს იდგა იქვე ცაცხვის გვერდით და თავადის მღელვარებას უკმაყოფილოდ თვალს ადევნებდა.

— მერე, მოურავო? ვსთქვათ მივეცით, ამით საქმე ისპობა თუ არა? რამდენიმე ხნის სიჩუმის შემდეგ ჰკითხა ქაიხოსრომ.

— კი ბატონო, იმ წამს არძას შეიტანს და საქმეს მოსპობს. მიუგო მოურავმა.

— მაშ, როგორ მოვიქცეთ? ნუ თუ მართლა შეუძლია დამსაჯოს? მოურავო! შენ ვკითხავდი ვისმეს ამის შესახებ. სასამართლოები ახალი საქმეა ჩვენში და ვინ იცის, ვგებ ვერც არაფერს ვერ დამაკლებს და რად დავიმცროო ასე თავი. მერე იტყვის ბატონი შევაშინეო, ამის შემდეგ სიტყვასაც ვეღარ გავუბედავთ ჩვენ ნაყმევებს.

— მე ეს ორი სამი დღეა. ბატონო, სულ მაგ საქმეს ვეკითხები ბრუნდს და მართალს და ყველამ მოგახსენათ, რომ დასჯისო, რადგან მოწმებთან გიცემიათ. მიუგო მოურავმა,

— დიახ, დიახ! მოწმებთან ვსცემე, მოწმებთან და კიდეც აფულესავ იმ მწვირით სავსე ყურებს, თუ ღმერთმა დიდი დღე მომცა, სთქვა გაჯავრებით თავ. ქაიხოსრომ და თავის ოჯახისკენ გაექანა.

— ჰა! მიეცი! მაგრამ მერიდოს კი?!.. ცოტა ხნის შემდეგ გადმოსძახა ქაიხოსრომ მოურავს და ასიანი აივნოდგან გადმოუფრიალა.

— ეს ძრიელ კარგი შენი ქირიმი, მაგრამ იმ საქმისას რავე მიბრძანებთ? რა შეუუთვალო? დღეს კიდეც გახლდათ ბლადლოჩინის გამოგზავნილი კაცი, პასუსსა გთხოვს ბატონო, პასუსს.

—რა უნდა გიბრძანო! ბლალოჩინი იმასა მთხოვს, რომ თუ სასახლის ეკლესიის მღვდელს უზრუნველ არ ჰყოფო შტატის ეკლესიაზედ გადავიყვან და თქვენ უმღვდლოდ დარჩებით. ამახს თუ მე ბლალოჩინი გამიბედავს და იმასაც ვნახავ. მაგრამ ეს სულ ჩვენი მღვდლის ბრალია, ჩვენი... სთქვა გაჯავრებით თუ ქაიხოსრომ.

—კი ბატონო, სულ მისი ბრალი იქნება. ალბად ის აწუხებს ბლალოჩინს, თორემ ბლალოჩინს რა ენადღელება! ამას წინად მღვდლის ძმა ისეთი მძიმე რძღვით დატვირთული მიდიოდა ბლალოჩინთან, რომ სულ სიმწირის ოფლოს იწურავდა, ქრთაში სად არის ვასქრის, შენი ჭირიმე, ბატონო, სად?!

—ეს მღვდელი, მღვდელია, ბატონო და ახლა მარკოზა „ცუცქნიას“ ამბავს არ იტყვით? ღმერთო, ნუ შემშლი, შენი ძლიერების ჭირიმე; ქუდის (მოიხდით სთქვა მოურავმა და პირჯვარი გადაისახა). სწორედ შეიშალა ეს ხალხი, ღვთის მადლმა. ბატონო, დაუჯინია რომ ის პატარა ბიჭი მელიტონა, რომელიც კნიაზ შალიკოს ემსახურება, ან კლასში უნდა შევიყვანო, და ან სხვა რამე ვასწავლოო!..

—რაო, რაო! შვილი კლასში უნდა მივსცეო?! მარკოზა ცუცნიას. შვილი და კლასი! აჰ! ღმერთო რად არ გაგეცინება!!! ცაო! რად არ გამირისხდები, ჩამოიქცევი და არ შთანთქავ ცოდვილ დედამიწას?! რას ვხედავ? რა ესმის ყოველ დღე ჩემს ყურებს? ნუ თუ ჩვენი ცხოვრება ასეთ უკულმართ გზაზედ მსვლელობას შეუდგა! ნეტავი სანამდის გვატარებს ამ გზით? ჰფიქრობდა თავისთვის ქაიხოსრო, როდესაც მოურავს უბრძანა ამ გვარს მუსაიფი შეეწყვიტა და თავიდგან მოშორებოდა.

II.

—კნიაზ ქაიხოსრო არ მოუკვდეს მის თანამემცხედრეს შალიკოსათვის სწავლა ბევრი საჭირო არ იყოს. დე-

დის ძუძუებს ის მოკსწყვიტო და სადღაც ან ვიღაც „უჩიტლების“ ხელში ჩაევალო! ვაი, მაშინ სოფიოს სული აღარ ედგმის და ის იქნება?! ბატონო, რად უნდა შალიკოს სწავლა! თუ ღმერთმა დიდი დღე მისცა, ადგილი ბევრი აქვს და მამული. შენ, ჩემო ქაიხოსრო, ეს ქალები გამათხოვებზე და შემდეგ შალიკოს ბედს ძალით არ დაჰყუფს. თურმე ნუ იტყვი, და კლასში შენს კნიაზს და მარკოზა ცუცნიას შეიღოს ერთად დააჯენენ. მოდი უცქირე მას და ვაგიძლოს გულმა! ჩემი შალიკო და წუნწკლიანი გლეხის ბიჭი ერთად უნდა გაიზარდნენ, განვითარდნენ, და ისწავლონ! რა უნდა ისწავლოს, ბატონო, ჩემმა შეიღმა თავის მენაბაზის შეიღისაგან. გაზრდილობა, სიწმინდე, გონების სიფაქიზე, მიხვრა-მოხვრა, ერთი თუ მეორე?!

ასე ემუხაიფებოდა ერთს დილას კნენია სოფიო გვარამიძისა თავადს ქაიხოსრო გვარამიძეს და რაც შეეძლო, აჯერებდა თავის ქმარს, რომ შალიკოსთვის სწავლა სრულებით მავნებელი და საზარალო იქნებაო. მაგრამ თავად ქაიხოსროს რწმენა იმდენად მტკიცე და შეურყვეველი იყო, რომ კნენია სოფიოს ამ გვარი მუხაიფი ცოტაოდნათაც ვერ არყევდა მას; თუმც თავდაპირველად არც ქაიხოსრო იყო. სწავლა-განათლების დიდი თაყვანის მცემელი, მაგრამ ყოველ-დღიურმა ცხოვრებამ, გარშემო ხალხის ვითარების დაკვირებამ, თავის ცხოვრების თან და თან ფერის ცვლამ და გადაგვარების გზაზედ დგომამ უნებლიეთ მიიყვანა იმ რწმენამდის, რომ ამ გვარად დახრწნილ ოჯახს, მხოლოდ მაგარი და საიმედო ბურჯი, მომავალი თაობა-ლა შეიმავრებდა და ამ ოჯახის სიმავრეს მომავალს საიმედო

ბურჯს თავის ერთად ერთს ძეში—შალიკოში ჰპოვებდა. თ. ქაიხოსრომ როგორც გამჭრიახე გონების პატრონმა, თანდათან შეიგნო თანამედროვე ცხოვრების მაჯის ცემა, დღითი-დღე მოახზენილებათა მომატება, მათ დასაკმაყოფილებლად საშუალების გამოძებნის სიძნელე-სიდიადე შეიგნო და კიდევაც მივიდა იმ ღრმა რწმენამდის, რომ მის შალიკოს ეს ნაკლი მხოლოდ სწავლა-განათლების მიღებით შეეძლო შეეცნო.

მიზეზიც ეს იყო, რომ თავადმა ქაიხოსრომ გადაწყვეტიტ უთხრა თავის კნენისა:—*„რაც უნდა უხარი სთქვათ, შალიკო ამ დღეებში მაინც უნდა წავიყვანო ქალაქში და რომელიმე კერძო სასწავლებელში მივაბაროვო“*, შალიკო ამ გვარ მუსაიფს თუ როდისმე ყურს მოჰკრავდა ხოლმე—მის აღტაცებას სამზღვარი არ ჰქონდა. მას მუდამ თვალს სკრიდა და ეხალისებოდა გემნაზიის ფორმის ტანისამოსი, რომელსაც ხშირად ხედავდა თავის მეზობლის თ. რევაზ გვარამიძის შვილის ტანზედ. ის დიდის სიხარულით მოელოდა იმ დროს, როდესაც გემნაზიის მუნდირი ტანზედ ეცმოდა, თავზედ გემნაზიის ქუდი ეხუროდა. მას რაღაც უხილავი ძალა ეზიდავდა სასწავლებლისაკენ. მამაც ამჩნევდა ამას და სურდა ეს სურვილი მალე განეხორციელებია. გათენდა მეორე დღი, დღიურ ვარჯის გამო დადლილ და დაქანცულ ბუნებას ღამის სიმშვიდეში მყუდრო ბინა მოეძებნა და დილას საღი და უფრო გამჭრიახე სახით გამოიყურებოდა. ყველგან საქმიანობა, ყველგან რაღაც ფაცაფუცი გეჩხირებოდაო თვალში. თავადს ქაიხოსროს ოჯახშიდაც რაღაც დიდი მისვლა-მოსვლა, მოსამსახურეების ტრიალი და მზადება იყო. დღეს პატარა შალიკოს სასწავლებელში წასასვლელად აწყობდნენ. ბუნებაც თითქო

თანაუგრძნო ამ გარემოებას, დილიდგან დაწყებული შეიყარა ცაში ღრუბლები და პირ-მოქუშული მუქარის სახით გადმოიციკრებოდა დაღვრემილი ცა. შალიკოს ოჯახის მოშორებას თითქო ისიც შეეპყრო და მწუხარების ნისლში გაეხვია. დაღვრემილ ბუნებას მწუხარებაში არც შალიკოს დედა—სოფიო ჩამორჩენია უკან. რაღაი კი ვერ გადაათქმევინა ქაიხოსროს თავის გადაწვევტი—კნენამ ნაღვლით დასერილ გულის მოსაღობლად ცრემლებს მიმართა. მთელი ორი-სამი დღე კნენას თვალებს ცრემლთა ნაკადული არ შეშრობია. შალიკო ღამ-ღამობით სოფიოს მკერდში იყო ჩაკრული და მის აღმზრდელ ძუძუებს ეკონებოდა. როდესაც ყველას მიეძინებოდა, გარშემო სიმშვიდე დამყარდებოდა, სოფიოს საწოლ ოთახიდგან რაღაც სლოკინის მზგავსი ხმა გამოისმოდა ხოლმე. ერთხელ ქაიხოსროს ძილში რაღაც უცნაური ხმა ჩაეწვეთა. უცებ ლოგინიდგან თავი წამოაჭყო, ყურები გამოიწმინდა და მთლად სმენად გადიქცა. ამ დროს კიდევ მოესმა ქალის სლოკინი და თან ტირილში მოთქმა. სინათლის გაჩაღების შემდეგ კნენამ შესწყვიტა ტირილი, მაგრამ ნამტირალევი თვალეები ნათლად გეუბნებოდათ მის გულის სიმწარეს. ქაიხოსრო დიდხანს იდგა კნენა სოფიოს საწოლის წინ და უმეტყველოდ ორივე ცოლ-ქმარი დასჩერებოდენ მძინარე შალიკოს პირის სახეს.

—თუ ასე მოიკლავ თავს, არ წაფიყვან, სულ არ დავეძებ მაგის სწავლას! უთხრა ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ ქაიხოსრომ კნენა სოფიოს და შვილის მოშორების გრძნობამ თვითონაც ააღელვა.

—არა, ჩემთვის ეგ სრულიადაც არ იქნება სასი-

მოვნა. შენ რაც გადაგიწყვეტია, კიდეც შევისრულე-
ბია, მაშ არც ამას დაიშლი, მხოლოდ ჩემი თხოვნა
ეს არის: მეც ჩემ შვილს უნდა წავჰყვე თან, ჩემს შვილს
სიკვდილის მეტი ვერაფერს მომაშორებს. ჩემს მკერდში
ჩაკრულ და აღზრდილ შვილს ვერაფერს ჩავუგდებ ხელში!
ორი ქალბი ერთმანეთზედ მოყოლილი ოჯახში გასათ-
ხოვარი გვიზის. ჩვენი ოჯახობით ქალაქში გადასვლით
იმათაც დავათხოვებთ. თან ჩემს შალიკოსაც აღვზრდით
და თუ ჩემი პატივის-ცემა გაქვს, ეს სურვილი შემი-
სრულე. აღელვებულის ხმით უთხრა თავის ქმარს კნი-
ნა სოფიომ და შალიკოს დახუჭული თვალები გრძნო-
ბიერად ამოუკოცნა.

ამ მოულოდნელმა სიტყვებმა ქაიხოსრო ძლიერ
ჩააფიქრა. დიდხანს ვერ მიეცა პასუხი სოფიოსათვის,
რადგან ცხოვრების ამ გვარმა ცვლილებამ სულ სხვა
გზაზედ დააყენა იგი. მას არ შეეძლო ასე უცებ გა-
დაწყვეტილი პასუხი მიეცა სოფიოსათვის, რადგან ამ
კითხვის გადაწყვეტილ პასუხს მოსდევდა მისი ცხოვ-
რების დახრწნა-დანამცვეცებაც. იმან ნათლად გაი-
თვალისწინა მომავალი მისი ცხოვრება ქალაქში,
თავის შესაფერ საზოგადოებაში ღია ცხოვრება;
წარმოიდგინა რომ ამ გვარ ცხოვრების შემაკავებელ
სახსრად მისი მამულის შემოსავალი ძლიერ ცოტა იყო,
თუმცა კი ადგილ-მამული სიერცე-სიდიდით ორ შეძ-
ლებულ თავადის ტოლა ექნებოდა, მაგრამ „რალა სი-
ცოცხლეა იმ თავადის სიცოცხლე, რომელსაც ადგი-
ლებს ვალში დაუწყებენ ყიდვას! ოოხ! ღმერთო,
ღმერთო, ნუ მომასწრებ იმ დღეს, რომ ჩემს ადგილ-
მამულში ვინმე სხვისი ფეხი დადიოდეს, პატრონობდეს და
სარგებლობდესო!“ ამოიხენეშა თ. ქაიხოსრომ და თა-

ვისთვის წაილაპარაკა. კნენა სოფიო, თითქო ქაიხოსროს პირის სახეზედ კითხულობდა იმას, რასაც გრძობდა ამ დროს მისი ქმრის გული, — მხოლოდ თვალ-ყურს ადევნებდა მის პირის სახის სულიერ მღელვარების გამოცვლას და სრულებით არ ეკითხებოდა ამ გვარ ხანგრძლივ სი^აუმის მიზეზს.

თავად ქაიხოსროსაც აღარაფერი უთქვამს მეორე დილაამდის. დილას ჩვეულებრივად ყველას ადრე გამოეღვიძა. ეძინა მხოლოდ კნენა სოფიოს, რომელმაც მთელი ღამე სულიერ ბრძოლაში გაატარა და მხოლოდ დილას დაღლილ-დაქანცულს ცოტა მიეძინა. ეძინა მასთან პატარა შალვასაც.

თავ. ქაიხოსრომ მათ ძილში ბიჭებს ყველაფერი ზამზადებია და თვითონაც სამგზავროდ გამოეწყო. მღელვარება კნენა სოფიოს ძილშიდაც არ ასვენებდა. ის ძილში ჰხედავდა, რომ მის პატარა შალიკოს მკერდიდგან აგლეჯდნენ და სადღაც უტხო ქვეყანაში მიჰყავდათ. აგერ შესვეს კიდევაც ცხენზედ!? წინ მამა მიუძღვის, დები, ნათესავები, გაღია-მოსამსახურეები, თვალცრემლიანი უკან მისდევენ. „ვინ მართმევს ჩემს შვილს?! ვის გავატან ჩემს შალიკოს?! მეც თან უნდა წავეყვე, მეც!“ ნაღვლით სავსე ათრთოლებულის ხმით შეჰყვირა კნენა სოფიომ და კიდევაც გამოეღვიძა. გამოეღვიძა მასთან მწოლარე პატარა შალვასაც. კნენა სოფიოს გულის ცემა შორს გაისმოდა. დიდხანს არ დამშვიდებულა მისი გული და აშლილი ნერვები. კნენას გოგოებმა სწრაფ პირისაბანი წყალი მოართვეს და შალვაც ქალაქში წასასვლელად ფიცხლავ გამოაწყვეს. ყველაფერი მზად იყო, რომ თ. ქაიხოსრო კნენა სოფიოს ოჯახში შევიდა. მათ ში-

რის ხანგრძლივი მუსიკით მარტო ქალაქში გადასახლებას ეხებოდა, რომელზედაც კნენას თავადი ქაიხოსრო სრულებით არ ეთანხმებოდა. „თუ ყმაწვილი უჩვენოდ გასძლებს—ჩვენ იქ საჭირო არ ვიქნებით, და თუ გაქირდება საქმე—მაშინ ვნახოთო!“ უთხრა ბოლოს კნენას თავ. ქაიხოსრომ და აივნიდგან მრისხანე ხმით გადმოიძახა: „აბა, ცხენი, ცხენი და შალვა“!

თავად ქაიხოსროს ბრძანება ფიცხლავ შესრულდა, რამდენიმე წამის შემდეგ ორივე მამა-შვილი ეზოს კარებს იყვნენ გაცილებული. ქაიხოსროს მთელი ოჯახი მტირალის თვალით ეთხოვებოდა პატარა შალვას; კნენა სოფლის კი ძლივს გამოჰგლიჯეს იგი ხელში, ძუძუებში ჩაკრულს დიდხანს უკოცნიდა ლოყებს, დედის ტკბილმა აღერსმა და ამგვარ გრძნობით სავსე მოსამსახურეების გამოთხოვებამ პატარა შალვასაც აუჩვილა გული და გზაში დიდხანს ვერ დამშვიდდა. მამის აღერსიანი სიტყვები კიდევ უფრო აღელვებდა და ცხარის ცრემლის ნაკადულით რწყავდა ვაშლის ფერად აწითლებულ ჩჩვილ ლოყებს.

ამ გვარ მდგომარეობაში მყოფს ჩვენს მგზავრებს არც კი შეუტყვიათ ქალაქში შემოსვლა, სანამ ქალაქის ხმაურობამ და ქუჩებში ანთებული ფარნების სინათლემ არ გამოარკვია ისინი. გუბერნიის ქალაქი, სადაც სასწავლებელ-სასწავლებლები იყო, ორმოცის ვერსის სიშორეზე იყო დაშორებული ქაიხოსროს სოფელს. ბნელდებოდა, ქუჩებში და მაღაზიებში სანთელი ახალი გაჩაღებული იყო, როდესაც ქაიხოსრო ქალაქში შემოვიდა. მიზეზი ასე დაგვიანებისა ის იყო, რომ ქაიხოსრო თავის ოჯახიდანვე გვიან გამოვიდა.

იმ დროს, რომელსაც ეს წინი მოთხოვნა ეკუთვნის ამ ქალაქში მართო ერთი კერძო სასწავლებელი არსებობდა, რომელიც ნიკო პეტრიძეს ეკუთვნოდა. ნიკო პეტრიძე არც მოწოდებით და არც სპეციალურ განათლებით ამ ასპარეზზედ სამუშევრად მომზადებული არ იყო. იმას თავის პედაგოგიური განათლება ღემნაზიის მეოთხე თუ მეხუთე კლასით ჰქონდა დამთავრებული. რადგან ღარიბი მშობლების შვილი იყო და ჯამაგირით უნდა ერჩინა თავი, მწერლად სამსახურს ისევ გაკვეთილების აღება არჩია. თავდაპირველად საქმეს შეძლების და გვარად კეთილ სინდისიანად ეკიდებოდა. მისი მომზადებული შევირდები ღემნაზიიდან არც ერთი არ დაბრუნებულა. ამით ნიკომ სახელი გაითქვა და ვისაც კი შვილი მოსამზადებელი ეყოლებოდა— უსათუოდ მის პანსიონში უნდა მიეზარებია. ნიკოს პანსიონი სავსე იყო ბავშვებით; მასწავლებელთა შორის რამოდენიმე ადგილობრივ საშუალო სასწავლებლებიდგანაც იყვნენ. ქაიხოსრომაც აქ მიაბარა თავისი პატარა შალვა. შალვა ამ დროს ათის წლის თუ იქნებოდა. ჰასაკის შესაფერ შალვა პირველ კლასისათვის უნდა მომზადებულიყო, რისთვისაც ნიკომ ორი წელიწადი დაუნიშნა მოსამზადებლად. ნიკომ შრომის და მოვლა-შენახვისათვის თვეში ხუთი თონიანი მოსახრავა ქაიხოსროს, რომელიც ამაზედ ძალა-უტყუბურად უნდა დათანხმებულიყო.

ასი მანეთი ქაიხოსროს წინდაწინვე გამოართვა პანსიონის პატრონმა, დანარჩენი კი ყოველს თვისა და თვის დამდეგს წინდაწინვე უნდა ეგზავნა. დრო მიდიოდა. პატარა შალვა თუმც სწავლაში კარგს ნიქს იჩენდა, მაგრამ კონკურსისთვის მაინც სუსტი მომზადებული იყო.

ზაფხულის დამლევსის ქალაქის ყველა სას-
წავლებლებში დაიწყეს ყმაწვილების მისაღები გამოცდა-
ღემნაზიის გაშლილი ეზო აკრელებული იყო სხვა და
სხვა სახის და ჰასაკის ყმაწვილებით. ჯგუფ-ჯგუფად
იდგნენ მშობლები და მოწიწებით შეჰყურებდნენ ღემნა-
ზიის შენობას. აგერ, ორ-ორი მწყობრად დამდგარი
შეგირდების გროვა მასწავლებლის წინამძღოლობით
მოეფინა ღემნაზიის ეზოს. აქ მდგომ ხალხის ყურად-
ღება ამ ყმაწვილების გროვამ მიიპყრო. ყველა ერთმა-
ნეთს ჩურჩულთ ეკითხებოდა: „ეს არის ნიკო პეტ-
რიძე? ბევრი ყმაწვილები ჰყოლია?! ალბად მის მომზა-
დებულს ბავშვებს ყველას ღებულობენ?!“

რასაკვირველია, ღებულობენ, რადგან ეკ მასწავ-
ლებლები იმის პანსიონშიდაც ასწავლიანო! წაილაპა-
რაკა ვიდაც გულნატკენმა მშობელმა.

ამ დროს წაიკითხეს სია და ყმაწვილები გამოსაც-
დელ ოთახებში დაარიგეს. აღელვებული მშობლები
გარს უტრიალებდნენ ღემნაზიის შენობას და გულის
ძგერით ადევნებდნენ თვალ-ყურს თავის შვილების ბედ-
იღბალს.

ნაშუადღევის სამი თუ ოთხი საათი იქნებოდა.
დაღლილ-დაქანცული მასწავლებლები ზანტად და-
დიოდნენ ეზო-კორიდორებში. ამ რამოდენიმე საათის
წინ თუ ყველა ერთის სახით და გრძნობით შეჰყურებდა
ღემნაზიის შენობას, ამ წამს იგივე ხალხი სულ სხვა
სურათს წარმოადგენდა: ბავშვებს დედები ძლივს ანუ-
გეშებდნენ, ზოგან დედებმე შვილებზედ უფრო მწუხა-
რების აღში იწოდნენ და ზოგს კი სიხარულის გამო
მხიარულებით საესე ღიმილი უკოცნიდა პირის სახეს.

აგერ ვილაცას ხმამ დასჭექა კორიდორში. ყველას ყურადღება იქით მიიქცა. კორიდორში მომავალს დირექტორს წინ უდგა თავადი ქაიხოსრო და მრიხანეს ხმით ელაპარაკებოდა. დირექტორმა ჯერ არ მიაქცია ყურადღება, რადგან ქაიხოსრო ქართულად ელაპარაკებოდა, მაგრამ როდესაც ქაიხოსრომ აწეულის ხმით ჰკითხა: „ვისთვის არის გახსნალი გემნაზია, ვისი შვილები უნდა სწავლობდეს აქაო“, დირექტორი შეერდა და თარჯიმანი მოითხოვა.

—ჰკითხეთ, ვინ ბრძანდება ან რას გაუჯავრებია ასე? უბრძანა თარჯიმანს დირექტორმა.

—ვინ ბრძანდებით? რას გაუჯავრებინართ? ჰკითხა თარჯიმანმა ქაიხოსროს.

—როგორ?! მე მეკითხებით, ვინა ვარ? ეგ მეკადრება თქვენგან, მეტი მაინც არა. მე, ადგილობრივ თავადს მეკითხებით ვინაობას, ჩემს შვილს უსპობთ განათლების ღონისძიებას და ჩემს ნაყმევს, ჩემს ხაბაზს კი კარგად იცნობთ, მათ შვილებს განათლებისკენ გზას უკაფავთ! მიუგო გაჯავრებულის კილოთი თ. ქაიხოსრომ.

თარჯიმანის მიერ გადათარგმნის შემდეგ დირექტორმა ამ თავადის გვარი იკითხა და დამშვიდებულის ხმით უთხა: „დამშვიდდით, დამშვიდდით კნიაზო, ყველაფერს შევიტყობ და მოგახსენებთ“. ცოტა ხნის შემდეგ ქაიხოსროს ბავშვის მიღებაზედ, დირექტორმა ცუარი გამოუცხადა, რადგან მისი შვილი სხვა ბავშვებზედ უფრო სუსტი მომზადებული აღმოჩნდა. დირექტორმა ამით შესწყვიტა ქაიხოსროსთან საუბარი და თავის ოთახში შებრუნდა. ქაიხოსროს მწარე ნაღვლით გული აევსო; დღეს მისი თავმოყვარეობა შერცხვა,

ჩირქი მოეცხო. გულზედ ჯილის ცემით მოშორდა ღემნაზიის ეზოს დი ბინისაკენ გაეშურა.

მეორე დღეს ქაიხოსროს ყველამ ურჩია, რომ მისი შალვა ღემნაზიის მასწავლებლისათვის მიებარებია. თუმც ცოტა მეტი კი დაუჯდებოდა, მაგრამ მაგიერად მიღებაში ეჭვი აღარ ექნებოდა. მეგობრების რჩევა ქაიხოსროსაც კკუაში მოუვიდა და შალვა ივან-ივანის ი—ეს შიბარა. ივან ივანი^ი თუმც ღემნაზიის შტატის მასწავლებლიად ითვლებოდა, მაგრამ ამ გვარად კერძოდ აყვანილი ბავშვებიც ბლომად ჰყავდა ოჯახში და კაი ფულსაც შოულობდა. იმის მომზადებას იმდენად არ გაჰქონდა საქმე, რამდენადაც ნაცნობობა, ამხანაგობა და თავისი მდგომარეობა შეველოდა მას.

მეორე წელიწადს შალვა ღემნაზიის მოწაფედ ითვლებოდა. მისი დიდი ხნის მისწრაფება განხორციელდა. შალვას ახოვან ტანადობას ღემნაზიის მუნდირი და მასთან ფორმისვე ქუდი, ღერბით, კიდევ უფრო აკეკლუცებდა. შალვა საცხოვრებლადაც ისევ იმავე მასწავლებელთან დარჩა, რომელმაც ღემნაზიისთვის მოამზადა.

III.

რაც დრო მიდიოდა, ისე ახალი ცხოვრების მოთხოვნილება სოფელსაც ეჩვეოდა. სოფელი ყოველთვის ქალაქის ცხოვრების კულში მიმდევარია. სოფელი, როგორც დიდს პატარა, ნორჩი ბავშვი, ისე ადევნებს თვალყურს ქალაქის ცხოვრებას, და სცდილობს არაფერში არ ჩამორჩეს მას. ამ გვარმა სენმა შეიპყრო თ. ქაიხოსროს ოჯახიც. იმ დღეს აქეთ, რაც შალვა სასწავლედ

ბელში მისაბარებლად წაიყვანეს; კნენინა სოფიოს შუბლი არ გახსნილა, ტკბილი სიტყვა მის პირიდგან არ ამოსულა. მთელი დღეები სულ გაფითრებული იყო. ვინ იქნებოდა ოჯახში ისეთი, რომ მისი გესლიანი მწარე ენა არ მოხვედროდა! უწყრებოდა ჭოგოებს, უწყრებოდა ბიჭებს, ესაყვედურებოდა ქმარს და ედავებოდა ქალიშვილებს, რომ მამას არ აწუხებდენ და არ აიძულებდენ ქალაქში გადასახლებას. რადგან კნ. სოფიომ ვერც სიტყვით და ვერც საქმით თავის მიზანს ვერ მიაღწია, ისევ ქალაქურად ცხოვრებას მიჰყო ხელი. რასაც კი ნახავდა ან ყურს მოჰკრავდა: ქალაქში, ის უეჭველად იმ კვირაშივე შემოღებული უნდა ყოფილიყო მის ოჯახში. ყველაზედ უწინ კნენინა სოფიო „პიანინოს“ ხმამ მოჰხიბლა. ის პირველად იყო თრევაზ გვარამიძის ოჯახში, რომელიც მას გარეშე მახლად მოხვდებოდა. თრევაზ გვარამიძე პატარაობიდგანვე სამხედრო სამსახურში იყო. მის ხუთ ქალიშვილებში ოთხი ქალიშვილი რუსეთში-ინსტიტუტში იყვნენ გამოზრდილნი, მხოლოდ უნკროსი, ლიზა კი შინაური განათლებული იყო. მათი ოჯახი ღია ოჯახად ითვლებოდა ქალაქში. ამ ქალიშვილების მწყობრმა სიმღერამ, პიანინოზედ თვალ-მოუხსწრებლად თითების სრიალმა და მუსიკის სიტკბოებამ კნენინა სულ გამოკვალა და იმ ღამესვე გადაწყვიტა: „ჩემს ქმარს გაყვრები და ამას მაინც გავიჩენ სოფელშიო!“

— „მართლაც, რა არის ჩვენი ცხოვრება სოფლად?! ამ ტყავის დაირის ბრიგინმა და „ბუზიკის“ წრიბინმა ყურები მთლად გამოგვიქვექა! სასიამოვნო საყურებელი, თუ გინდათ ეს იქნება?!. აი, მაშინ მიყურეთ: ჩემს დიდს დარბაზში* რომ იგრიალებს „პიანინო“

ნოს“ ზედმეტრენი ხმები და შორს, ძლიერ შორს ჩემს ფართე და გაშლილს ეზოს მოჰყენს სულის დამამშვიდებელს სასიამოვნო ჰანგებს?! ნუ თუ თავადის ოჯახი თავის ნაყმევის ოჯახიდგან ვერაფრით ვერ უნდა განსხვავდებოდეს?! დღეს დაირა და „ბუზიკა“ ყოველ გლეხის ოჯახშია!“ ჰტიქრობდა თავისთვის კნენა სოფიო და თან რევაზის ქალიშვილების ჩაცმა-დახურვას, მიხვრა-მოხვრას და საქციელს აკვირდებოდა.

„ჰიანინოს“ შეძენა ძლიერ ძვირად დაუჯდა თ. ქაიხოსროს. მარტო მისი ყიდვა და სოფელში შიტანა ათასს მანეთს აღემატებოდა. ახლა მასწავლებელი, ახლა მისი ჯამაგირი, ნოტები, ამის მიხეზით სტუმრების მომატება და ხარჯი, სულ სხვა იყო. ვაება თ. ქაიხოსროც ახალ ცხოვრების ბაღეში და რაც დრო მიდიოდა, ისე თან და თან ეხვევოდა შიგ.

თავ. ქაიხოსროს ქალები დიდები იყვნენ და ამის გამო მუსიკის შესწავლაც მათთვის უფრო ძნელი და ხანგრძლივიც იყო. ეს სულ თ. ქაიხოსროს ჯიბეს მძიმე ლოდით აწევებოდა. თ. ქაიხოსრო ამ გვარ ცხოვრებას სირცხვილით უარს ვერ ეუბნებოდა, თუმცა კი ნათლად ხედავდა, რომ მისი დიდებული ოჯახი გახრწნის გზას ადგა და სულ უკან-უკან მიდიოდა. მამულის შემოსავალი მარტო ქალიშვილებს არ ჰყოფნიდა. მასწავლებლის ფული, შალვას ხარჯი, მტერი, მოყვარე და ცხოვრების ბევრი სხვა მოთხოვნები დაკმაყოფილება თავ. ქაიხოსროს სულ ვალად აწევებოდა კისერზედ

თ. ქაიხოსროს ვალები თან და თან მატულობდა შინ მოსამსახურეებისათვის აგერ სამი-ოთხი წლის ჯამაგირი. მიუცემელი ჰქონდა. თუმც თ. ქაიხოსრო

დღემდის ძლიერ უარზედ იდგა და ქალაქში გადასახლებას არ აპირებდა, მაგრამ დღეს კი გადასახლების სურვილი შემოეპარა. „ეგებ იქ მაინც ავიშორო ეს მუქთა შტამლებიო!“ ჰფიქრობდა თავისთვის თ. ქაიხოსრო.

მუსიკის მასწავლებელი ხანგრძლივი ვადით სოფელში საცხოვრებლად ვერსად ვერ იშოვეს. ამას ისიც დაემატა, რომ შალვას მასწავლებელთან ბინა აღარ ჰქონდა, რადგან ის მასწავლებელი უმაღლეს ადგილებზედ გადაიყვანეს და ჰატარე შალვაც თავის მშობლებს ჩააბარა.

ეს გარემოება-ლაკმაროდა, რომ კნ. სოფიო ქმრის დაუკითხავად გადასახლებულიყო ქალაქში, მაგრამ ახლა ხომ თ. ქაიხოსროც თანახმა იყო გადასახლებაზედ.

...ის ქუჩა ამ ქალაქში მყუდრო, მშვიდი და წყნარი ქუჩა იყო. ამ ქუჩაზედ ბევრი კაი ოჯახი იდგა. ეტლის მისვლა-მოსვლა ძლიერ იშვიათად იყო, რადგან თითქმის ყველა სამსახურით სცხოვრებდა და უბრალოდ ფულის ხარჯს ყველა ძლიერ ერიდებოდა.

რაც ამ ქუჩაზედ თ. ქაიხოსროს ოჯახი გადმოქსახლა ეტლების ტრიალი, ხმაურობა და მთელ ღამეობით ყოველად წამებულ „მრავალ ჟამიერის“ კვილეულივილი მეზობლებს მოსვენებას არ აძლევდა. ეს ქუჩა მათი მოსვლით მთლად გამოიცივალა, გაცოცხლდა, სხვა თავის ტოლ ქუჩებს კიდევაც გადააქარბა.

თ. ქაიხოსროს იმედებმა აქაც უმტყუნეს. ქალაქში ცხოვრებამ ხარჯში კიდევ უფრო გადაამეტა. აქ თვატრი, კლუბები, ახალ მოდის ტანისამოსები და სხვა და სხვა დროს გასატარებელი საღამოები თ. ქაიხოს-

ზოს მოსვენებას არ აძლევდა. კენინა სოფიო არც თუი
ზონ და არც თავის შვილებსა რაფერს აკლებდა არავის
უკან არ რჩებოდა. ის სრულებით იმის გაგებაში არ
შედიოდა თუ თ. ქაიხოსროს საიდგან შემოპქონდა ეს
ფულები.

ქალაქში გადასვლის მეორე წელშივე დაუგირავა
თ. ქაიხოსრომ ადგილობრივ ურიას მთელი მისი ეზო
და სახლ-კარი და ამ ფულით, როგორც იქნა, ერთი
ქალიშვილის გათხოვება-და მოასწრო...

დრო მიდიოდა. პატარა შალვა კლასიდან კლას-
ში გადადიოდა. თუმც ივან ივანიჩის გადაყვანით შალ-
ვას სხვა მასწავლებლების ყურადღებაც ჩამოაკლდა,
მაგრამ ჯერ-ჯერობით საქმე მაინც წესიერად მიდიო-
და. შალვა ახლა კაი მოზრდილი, კოკობ ულვაშებიანი
დასრულებული ყმაწვილი იყო. გემნაზიის გათავებამ
სულ რამდენიმე წელიწადი უკლდა.

მის გარეგნობას ზეციური ნიჭის სიუხვე ყველგან
გამარჯვების გვირგვინს ადგამდა. შალვა ისეთ ასაკ-
ში იდგა, როდესაც ჭკუას გრძნობები სჭარბობენ და
ხშირად პირველი მეორესთან, დროებით, დამარცხებუ-
ლი რჩება ხოლმე.

აღელვებულ ხორციელ სიამოვნებას გარემოცა
მთელი ქაიხოსროს ოჯახი. ამ გვარ ცხოვრების მსვლე-
ლობამ შალვასაც დაავიწყა თავისი პირდაპირი მოვა-
ლეობა და ააღელვა მასში ყმაწვილური ლტოლვილე-
ბანი. შალვას ნორჩ გულის სიღრმეში მიყუჩებულმა
სიყვარულმაც იჩინა თავი და კოკობ ვარდის მსგავსად
უცებ იფეთქა. შალვას თ. რევაზ გვარამიძის უნცროსი
ქალი ლიზიკო გაგიჟებით მოსწონდა. ლიზა გარეშე
ბიძაშვილად მოხვდებოდა შალვას. ლიზა და შალვა

ყოველთვის ცალკე, სადმე მივარდნილ კუთხეში იჯდნენ და რაღაც საიდუმლო მუსიკით სტკებოდნენ ხოლმე, მაგრამ ვინ იფიქრებდა, თუ მათ ნათესაობის დაძმური კავშირო არ აერთებდათ?!

ლიზა რამოდენიმე წლით უფროსი იყო შალვაზედ. ლიზა, როგორც სუსტი აგებულების ქალი, მამას სასწავლებელში არ მიუცია. მათ შორის ამ გვარგრძნობების დანერგვის მიზეზი ლიზის მომხიბლავი ქების შესხმა იყო. ერთხელ შალვამ რაღაც საარშიყო ლექსი წაუკითხა ლიზას. ლიზის ლექსი ძლიერ მოეწონა. მიზეზიც ეს იყო, რომ კიდევ უფრო აქო და ადიდა მისი პოეტური ნიჭი და ლექსის სილამაზე. შალვა ლიზის სიყვარულით გატაცებული შეუდგა ლექსის წერას. მეორე დღეს განგებ მასზედ დაწერილი ლექსი უძღვნა და თან ათრთოლებულის ხმით თვითონვე წაუკითხა:

„სატრფოვ! ხშირად ლალი ფიქრი
გამიტაცებს სუბუქ ფრთითა,
ვითომც მე შენ მოგხვევივარ,
სავსეს ეშხით, სიამითა.“

„დასტკბი გიჟო! მეუბნები,
აჰა ჩემი წრფელი გული!
ბაგე ბაგეს ჩავაკნოთ
და ჩავართოთ სულთან სული“!

—მე, შენებრ ღმერთს პოეტურ ნიჭით არ დაუ-
საჩუქრებია; მაგიერად გიძღვნი ამ უმანკო და საფლავამდის დაუვიწყარს ბაგეთა ამბორს! უფხრა ლიზამ თავის მკერდში მიკრულს აკახცახებულს შალვას და თავდავიწყებულ აღტაცებით ნორჩი ტუჩები ნახად ამოუწუნა.

შალვას აგებულებაში პირველმა კოცნამ ელექტრონის ძალისებრ დაირბინა და რაღაც საიდუმლო გრძნობანი აუშალა.

ამის შემდეგ შალვას მეტ ბედნიერებად ქვეყანაზედ აღარ მიაჩნდა რა, თუ ლიზიკოს უჯდა გვერდით და მის სიყვარულით სტკებებოდა. — შალვამ სწავლაში კოტლობა დაიწყო. რაც დრო მიდიოდა ისე ლიზიკოს სიყვარული შალვას ნორჩ გულში მაგრად იღვამდა ფესვებს და ყმაწვილს სწავლაზე გულს უგორობდა.

ყოველ ზაფხულში თავად რევაზ გვარამიძე ოჯახობას ან სოფლად და ან სადმე საზაფხულო აგარაკში ისტუმრებდა. ერთს წელს რაღაც შემთხვევით, თავადი ქაიხოსროც იძულებულიყო თავისი ოჯახობა სადმე აგარაკზე გაეგზავნა, რადგან კნენინა სოფიოს კუქის ტკივილი შემოეპარა. რაც უფრო ახლოვდებოდა აგარაკად წასასვლელი დრო, ისე ლიზიკოს სახეს რაღაც ფიქრების პირბადე ეფარებოდა. შალვას დანახვა რაღაც სირცხვილის დაღს ასვამდა მის პირის სახეზედ.

შალვა, თუმც ამას ვერაფერს ვერ ნიშნავდა მაგრამ თედოძე სტუდენტის, ლიზას მამის ოჯახში რამდენჯერმე შეხვედრამ, შალვა ექვის ნისლში გახვია. ლიზამ გვიან შეიტყო, რომ შალვა მის სიყვარულით მთლად დაბრმავებული იყო. გვიან მივიდა იმ მოსაზრებამდის, რომ იმის გულში შალვას სიყვარულს ბინა არ ჰქონდა, იგი კაი ხნის დაბევეებული იყო თედოძე სტუდენტის მიცემულ სიტყვით.

ლიზა გვიან მოვიდა გონს; მან გვიან იგრძნო, რომ შალვას ის, როგორც საცოლვე ისე უყვარდა და არა ნათესავი. ლიზაში კი სულ სხვა გრძნობას ჰსძრავ-

და შალვას სიკეკლუცე, მისი გამჭრიახე ნიქიერება და პოეტური აღტაცება. ლიზა შალვას ისე უყურებდა, როგორც ბავშვს, ნორჩ ქმნილებას, რომელშიდაც ყოველგვარი ლტოლვილებანი, ახლა იშლებოდენ და სიხარულით შენატროდა მის მომავალს.

რაც დრო მიდიოდა, ისე იქვიანობა თან და თან მაგრად იქერდა შალვას თავის ბრკყალებში. ლალატს და სიმუხთლეს ხედავდა იქ, სადაც ლიზა სრულებით მართალი და უმანკო იყო. შალვა მოხერხებულ დროს და ალავს ეძებდა ლიზასთან მოსალაპარაკებლად, მაგრამ ყველგან და ყოველთვის თედომე სტუდენტი უშლიდა ხელს. ერთხელ სალამოს ასე შევიდა თუ რვა საათი იქნებოდა. ლიზიკო ბაზრიდგან შინ მოდიოდა; რაღაც ნავაჭრი ხელში ეკავა და ღრმა ფიქრებში გართული შალვას წყნარის ხმით ნათქვამმა სიტყვებმა „ეს, რა გიყილია, მოიტა, მე წამოვიდებო“ — გამოარკვია. სულ რამოდენიმე დღე იყო მას აქეთ, რაც ლიზამ უკანასკნელად ნახა შალვა, მაგრამ ამ მოკლე დროსაც ძლიერ დაეშორებია ისინი ერთმანეთს. ლიზა პირ-და-პირ ველარ უყურებდა შალვას, შალვაც ისე თამამად აღარ ელაპარაკებოდა ლიზას, როგორც უწინ. ცოტა ხნის სიუჟმე ჩამოვარდა მათ შორის. ვერც ერთი ვერ ახერხებდა მუსაიფის დაწყებას, არ იცოდენ რაზედ დაეწყოთ მუსაიფი.

— შალვა, რატომ არ დადიხარ ჩვენსას?! ჰკითხა ბოლოს ლიზიკომ.

— ახლა დრო არა მაქვს, ვგზემენებია, მომზადებაა საჭირო! მიუგო ცივად შალვამ.

— მთელი დღე სულ ხომ არ მაცადინობ? თუ გსურდა სალამოსაც შემოხვიდოდი!

—რომ შემოვსულიყავ, შერე? ამით ვის რას ვასია-
მოვნებდი? მიუგო შალვამ.

—როგორ? აქამდის თუ სასრამოვნო იყო შენი
მოსვლა, ახლა რამ შეცვალა? ჰკითხა კიდევ ლიზამ
და ისე აჩვენა თავი, ვითმოც და აქ არაფერი ამბავიაო.

—ამის პასუხს თქვენი მეგობარი—თედოძე სტუ-
დენტი მოგცემსთ?! იმას ჰკითხეთ?! აქ უცებ შესწყვიტა
ლიზამ მუსაიფი და ფეხს გაუჩქარა, სურდა მალე მი-
სულიყო შინ, რადგან შალვა საშინელის ალელვებუ-
ლის ხმით ელაპარაკებოდა.

შალვას სურდა დღესვე გაეგო ლიზასაგან უკანას-
კნელი სიტყვა. სულ რამდენიმე საჯენი იყო კიდევ
ლიზას მამის სახლამდის. შალვა შინ შეყოლას არ აპი-
რებდა. ორთავენი ალაყაფის კარებთან შეჩერდნენ. ლი-
ზა სთხოვდა შალვას, სახლში შეჰყოლოდა, შალვა კი
ძლიერ უარზედ იდგა.

—ჩემი შემოსვლა შენთვის რა საჭიროა? ვინც
გიყვარს ხომ გვერდში გიზის?! გულ-ახდილად უთხრა
შალვამ.

—ის მიყვარს, როგორც საქმრო, შენ კი რო-
გორც ჩემი ნათესავი, ბიძაშვილი! გულ-ახდილადვე
უპასუხა ლიზამაც.

—შენს „პირველს კოცნაში“ ეს სრულებითაც
არ გამოიხატებოდა.

აქ ლიზა მების დანაცემივით გაშეშდა. პირველმა
კოცნის ფახსენებამ თავზარი დასცა მას და კიდევ უფ-
რო თვალსაჩინოდ დაუსურათხატა მისი შეცდომანი:
კიდევ შეწყდა მათ შორის მუსაიფი. იდგნენ გულმწყ-
რალნი, არც ერთი ხმას არ იღებდა...

— შენ იქნები დედი ჩემის წინაშე პასუხის მგებელი! მშვიდობით! მხოლოდ ამ სიტყვებმა დაარღვია ეს ხანგრძლივი მათ შორის დუმილი და შალვა ხელ-მიუცემლად გაშორდა ლიზას.

კვირა დღე იყო. სადღესასწაულოდ მორთული ხალხი, წირვის შემდეგ ქალაქის ბაღს სასიეროდ მოედო. ყველა რაღაც მუსიკაში იყო გართული. ყველა თავ-თავის საქმიანობაზედ ბაზაობდა. ხალხის გასართობლად სამხედრო მუსიკა ჯერ კიდევ არ გამოსულიყო, რომ უცებ ორმა გემნაზიელმა ადელვებულის სახით ბულვარს გვერდი გაურბინა. მათი აღშფოთებული სახე და ჩქარი მსვლელობა უნებლიეთ იქცევდა მაყურებლის ყურადღებას. „რა ამბავია, ყმაწვილებო! სად მირბიხართ?“ ჰკითხა მოსეირნე ხალხში ვიღაცამ. „მოსწავლემ თავი მოიკლა, ექიმთან მივდივართ!“ მიუგეს მათ და შეუწერებლადვე გაეშურენ.

ამ ამბავმა ელვის სიჩქარით მოირბინა მთელი ბაღი და ამოდენა ხალხი ერთ წამს გემნაზიის შენობას მიაწყდა. ყველა ცნობის მოყვარეობამ შეიპყრო, ყველა მოუთბენლად ჰკითხულობდა შეგირდის ვინაობას და მკვლელობის მიზეზს. გემნაზიის ეზომ ხალხი ვეღარ დაიტია. ალაყაფის კარები დაჰკეტეს და შიგ არავის აღარ უშვებდენ. აგერ რაღაც ზარ-დამცემი ხმა გაისმა ხალხში. რაც გემნაზიის შენობას უახლოვდებოდა, ისე ეს ხმა თან და თან ძლიერდებოდა. ბოლოს ეტლიდგან შალვას დედა, კნენინა სოფიო ორმა თავადმა გადმოიყვანა და გემნაზიის შენობაში შეიყვანა... „შალვა, შვილო!“ იკივლა კნენინა სოფიომ და შვილის ოთახში, იატაკზედ უგრძობლად გაიშხვართა. ძლივს მოიყვანეს კნენინა სოფიო გონზედ: გონზედ. მოსვლისათანავე

მივარდა შალვას და ზისი დაკოდილი მკერდი თავის მკერდში ჩაიკრა. ძნელი გასაშორებელი იყო ამ გვაზად ჩაქრული დედა-შვილი.

შალვას რევოლვერი მკერდში დაემიზნა, მაგრამ აცდენოდა; იგი მსუბუქად იყო დაქრილი. მკვლელობის შიზეზი იმ დღეს ძნელი შესატყობი იყო, თუმცა კი ხალხში ყველა დარწმუნებით ამბობდა, რომ მკვლელობის მიზეზი „სიყვარული“ იქნებაო. ეს ხმები შემდეგში დირექტორის სახელზედ დატოვებულმა შალვას ბაოათმა სრულებით გაამართლა.

შალვა საავადმყოფოში კაი ხანს იწვა. მამა მისს, თ. ქაიხოსროს იფად არ დაჯდომია მისი ეჭიმობა, მაგრამ ხარჯს ვინ ნაღვლობდა, რომ დამწვარზედ კიდევ მღუღარე არ დასტმულიყო. გემნაზიის მმართველობაში შალვა გემნაზიიდან გამორიცხა. საავადმყოფოდან გამოსვლის შემდეგ შალვას გემნაზიის ტანისამოსი აღარ აუცვამს; მის ტანს ამის შემდეგ შავი შალის ჩოხა, წულა-მესტი და ლეკურ-ხანჯალ-რევოლვერი აშვენებდა.

თ. ხუსკივაძე.

(შემდეგი ექება)



ცხოვერების მოყვანი



ვლისის პირველი დღეს იყო საღამო ხანი. მეს თბილისიდან ვეშურებოდი ზემო ქართლისკენ. საშინელი სიციხე დასწოლოდა მზხეილის ქუჩას, რომელსაც თუმცა რწყავდენ, მაგრამ დღის სიმბურვალე ზაფხულის ჰაერისა კიდევ სულს უხუთავდა, ადაშიანს. ჯერ კიდევ არ დაძრულიყო ქალაქი ბაღებისაკენ მოძრაობდა და გართობა-გასიერებებისათვის. მხოლოდ იშვიათად ერთხელ საღამე ქაოივთა, თუ საღამე გაირბენდა შორიდგან ოთხ-ამოდებეთ მიმქროლოთ კვიცი ცხენები და შეენიერი ეკიპაჟით მუშათერდის ზალში შეაბრძანებდა ამ წუთი-სოფლივ ვინმე ბეჭნიერს, თორემ კვქანუბაც არსად აწ იყო კაცის სულისა, თუმცა თბილისში ამ ქაშად. I მხ ათასზე მეტი მტოვრები ითვლებოდა.

—საკვირველია! რომ ხალხს ასეთსუსულის შემხუთველს პაპანაქება სიცხეში შეუძლია იცხოვროს აქ, ვთქრობდი ჩემთვის. ერთს დღეს ასეთს სიცხეში ცხოვრებაც კი ჯოჯოხეთია. ზაფხულში აგარაკდ გასვლა ზომ მარტო რჩეულთ შეუძლია, დანარჩენი ამ გახურებულს ქვაბში უნდა იქნენ უმოწყალოდ ჩახარშულნი...

ან რამ მოუყარა, ნეტავ, ერთად თავი აქ ამოდენა მიღეთის ხალხს, რას შეუდგენია ესეთი ძლიერი და ცხოველი ძალა სხვა და სხვა დროს და დაუსახლებია განგებ სწორედ აქ, ამ ადგილს, ძალზედ აუშუშავებია, აუმოძრავებია, ერთს უშველებელს მღელვარებაში მოუყვანია და კვალიც დაუჩნევია ჩვენი ისტორიის და კულტურისათვის? სად ჰქონდა, ნეტავ, მოკლა, ან იმდენი შრომის უნარი ამ ერთს მუქა ჩვენს ერს და ერთს ბოხზა ქვეყანას, რომლის ზურგზე გამუდმებით უთარეშნია აზიის ურიცხვს ველურს ბარბაროსობას, რომ ესეთი დიდი და ძლიერი ქალაქი შეექნა? ეს მეტად რთული საკითხია, მკითხველო, რომლის პასუხი მთელ ჩვენს წარსულ და აწმყო ცხოვრებაში მარხია...

ჩემს ახალ-გაზდობაში არა ერთი და ორი ზაფხული-მეც გამიტარებია ტფილისში. მაგრამ მკვინ ახალ-გაზდობის მცნება სულ სხვა იყო. მე იმ დროს, დღე დღითქმის ლამეც გამუდმებულ მუშაობაში. იმედებით აღსავსე ვიყავი და ყოველს ჯათას, ტანჯვა-მწუხარებასაც ადვილად და მხიარულად ვიტანდი. მე მაშინ კიდევ მომწონდა ზაფხულობით თბილისი. წიგნთსაცავები ყოველგან დაცალიერებული იყო და მეც სრულ თავისუფლებას ვგრძნობდი იმდენ წიგნებსა და ჟურნალ-გაზეთებში. საღამოს ჟამს მივმართავდი ჩვენს „ტკვილად. მოდუდუნე“ მტკვარს და მის მღელვარე ზვირთებში თევზივით დავსრიალებდი. ცურვით მინდოდა, მტკვარს ვაღმა ვავიდოდი, მინდოდა, გამოვლმჯ გამოვიდოდი და, მერე, რა დიდ სიამეს და ნეტარებას ვგრძნობდი. მე იმ ჟამად ეს წუთები, ჩემს დღეში არ დამავიწყდება, რადგან პლეტის არ იყავს.

„...ერთხანად მეც ეს სოფელი
ვარდის ფრად შეჴვენებოდა:
ოცნების ზღვაში მცურავი,
სული ნეტარი სტკებოდა,
თან ხორციც, გაბრიყვებული,
ტკბილ-ერუანტელით ღნებოდა...“

ახლა კი... ახლა მე მარტო-ხელობას და დიდ
მოწყენილობას ვგრძნობ თბილისში ზაფხულობით
და მიწდა, რაც შეიძლება, მალე განვშორდე იქაუ-
რობას.

*
* *

მატარებელმა უკანასკნელად დაისტვინა, მოსწყდა
იგი სადგურის ბაქანს და თბილისის გახურებულს არე-
მარეს მალე მოგვაშორა. მთიულეთიდან დაიძრა გრი-
ლი ნიაფი და შევნიერი ყვავილებით, ბალახებით, ბუჩ-
ქებით და მოლით შემკულს მთა-გორებს, რომლებზე-
დაც ანგელოსებს უფრო შეჴფერის მიმოსვლა, თვალს
ვერ აშორებთ და მრავალ-ტანჯულას ძველის საქართ-
ველოს არე-მარის ცქერით სტკებით. მეც ფანჯრიდ-
გან გადავჴურებდი, როგორც მჩვევია ხოლმე ყოველ-
თვის მგზავრობის დროს, ამ სანახაობას, რომ უეცრად
ვიღაც ქალის ტკბილი ხმა მომესმა:

— ფარნაოზ როსტომის ძეგ!

იმ წამსვე ქალისკენ შემოვტრიალდი და დაკვირ-
ვებით შევხედე მას.

— აჰ! თქვენ? ეს თქვენა ბრძანდებით? შევსახე
გახარებულმა.

ხელი გულიანად ჩამოვართვი ნინო ქაიხოსროს
ასულს და სკამზე ერთად ჩამოვჯექით.

— მე თქვენ, შამოგხედეთ. თუ არა, იმ წამსვე გი-

ცანით... აი, მთხ მთასაკი შეხედვებში, — სწორედ ჩვენ-
ზეა ნათქვამი...

— დიახ! არის ხალხმე ცხოვრებაში ძმუიათი, მაგ-
რამ ბედნიერი, სასიამოვნო, მოულოდნელი წუთებიც...
ცოტად გამოცვლილობათ; ისე: კი ძალიან კარგად
ბრძანდებით. ყუთხარი მას.

— ცოტად გამოცვლილვარ კი ვრა! ეს ერთი შე-
ხედვით შეჩვენებათ ასე.. მე ძლიერ მოვხუციდი სუ-
ლიერადაც და ხორციელადაც... თქვენ კი ისევ ისე
ხართ ყოჩაღად; როგორც მინახებართ, კარგად, ტან-
მრთელად... უფრო უკეთესადაც დაშვენებულხართ...
ნინო მთავრებში დანახატა უწინდელი, ახალ-გაზ-
დური, შამამი დამკინებე და მისტყუარულე გამომეტ-
ყველებო.

ნინო ქართლსარძს ასევე კარგად, თხატუქს დაბნ
დრუკებრძვ, ციცოლბლი ამ თორმეტე წლის წინაღ. იმ
დრძს, რძდესაც მე ტფილისში ერთ საშუალო სას-
წავლებლბნ შაღალს კლასში ვიყავი, ნინო ქართვ გემ-
ნაზრას ათავებდა და ყრთი საუკერესო მოსწავლეგავანო.
იქვე მშინდელ ქაღალშილებში. იმ დრძს ჩვენ, ყველა
საშუალო სასწავლებელთა მოსწავლენი, ქაღებიც და
ვაყებიც, რომელნიც ჩვენის სურწილით თქთთგანტ-
თარების საქმეს ვემსახურებოდით; თბილისში ხშირად
მოწყყრიდით ხალხმე ერთად თავს; ვმართავდით წრეებს,
სამკითხველოებს და ბიბლიოთეკებს, კახრსებდით და
სებს; ფრწერდით ჟურნალგაზეტებს, ყუზანდით ზო-
გიერთ ჩვენგანს საზღვარ გარეთ და ფულოებითაც
ვენშარებოდიო, უსწერდით რეფერატებს, ზავებულო-
ბით სოფლად მიგვქონდა წიგნები ხალხში გასაქრე-
ლებლად, ვმართავდით წაჭმოცვენებს და სხ., ნინო

ემ დროს სული აყვამ იყენი საფრთხე ახანგობისა იმის
ძალიან უყვარდა ლიტერატურა, ზედ-მინაწილ იცოდა
ქართული და რუსული ლიტერატურა. ფრანგულ ლიტე-
რატურის შესწავლასაც გულთანად შეუდგა. ნინოს პირ-
ველი ლექსი და ჰეტარა მოთხრობა, რომელიც ჩაწეს
ფილმტონად დაისტამბა მაშინ ქართულს გაჭეხში
ფორმირდაც და შინაპრსითაც წარმოადგენდა ერთს ჩი-
ნებულს სალიტერატურულ ნაწარმოებს. ყველა მის წაც-
ნობა შემდგომებზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ნინოს
ლექსში და მოთხრობებში და ახლოგაზდა ავტორს ყველა
წინგანი შეპყრობდა როგორც მალაღმის ქიქილ შემ-
კულის არსებაც, რომელიც მცირე წვლილს მანც შევი-
ტანდა ჩვენს ღარიბს ლიტერატურაში.

გემანზიის კურსის დასრულების შემდეგ, ნინო მას-
წავლელად წავიდა ერთს პრევიციკლურს პეტარა
ქალაქში, სადაც, შემდეგ, ერთს რუსის აფიცერს გაჭ-
ყლოდა ცოლად. მე იგი, მას შემდეგ, რაც მასწავ-
ლებლად განწესდა, ვლარ მინახავს არც ცხოვრებაში,
არც ქართულს ლიტერატურაში.

ახლა ასე მოულოდნელად შევხვდით ერთმანეთს
ვაგონში და, საჭამ დრო ნებას გვაძლევდა მხიარულად
გავერთეთ საუბრით.

გარეგანი სიტყვის გამოყენება და ვლადფერი ცუ-
ტათი შეცვლოდა ნინოს. მაგრამ აწავე დროს იგი მაინც
სხვა აღაშიანად მიჩვენა. წინანდელ ნინოს მაგიერად,
რომელიც წარმოადგენდა მხიარულს, ცელქს, აღტა-
ცებულს და სიცოცხლით სავსე ახალგაზდას, ჩემს წინ
იჯდა დადარბილებულიც ესე ფიცდა ცხრა კოსდა
ათის წლის მადევილ-წარბა, გრძელ წამწამებიანი,
შნოიანად შავ-თმებ შალდა ავარცხნილი ქალი, კიდევ

ტურთა და შვენერი, მაგრამ რაღაზედაც გულ-გატეხილი და ნაღვლიანი სახის გამომეტყველი...

იმისი სახე და თვალები თითქო კითხვით ნიშნისა ცხატავდა და დამორჩილებულის კაცის გრძნობასაც. ამ ნაირი სულის მდგომარეობა და სახის გამომეტყველება ხშირად შემინიშნავს ხოლმე ისეთი ადამიანებისთვის, რომელნიც ცხოვრებაში სულ სხვა გზით წასულან, რომელთაც ვერ შეუსრულებიათ თავიანთი ხვედრი დანიშნულება, რაიმე მიზეზისა გამო, უღალატნიათ თავისი იდეალისათვის და, ამიტომაც, უკმაყოფილოდ გრძნობენ თავიანთ თავს და გამწარების, პესნიმიზმის დალიატყვიათ. და შესანიშნავი ის არის, რომ ყოველთვის ნიჭიერს ადამიანებს ემართებათ ესეთი საქმე... შუაზედ ოღნავ გაპაზილი მომხიბვლელი ნიკაპი მეტად შვენოდა; გრძელი, მოხდენილი ყელი და კისერი ნინოს ცოტათი ჩასუქებოდა და შოლტივით ავარდნილი ტანადობა ჩასქელებოდა. ზარივით მორაკრაკე ხმაც შესამჩნევად შეცვლოდა, მაგრამ მაინც ლამაზი ალტის ტემბრს მოგაგონებდათ ახლაც.

— ვიცი, ყველაფერი ვიცი, ნინო ქაიხოსროს ასულა, მასწავლებლად აღარ ბრძანდებით, გათხოვლით კიდევ... ღმერთო! რამდენი რა მაქვს თქვენთან სალაპარაკო და არ ვიცი, საიდან დავიწყო? როგორ ცხოვრობთ? სწერთ ლექსებს და მოთხრობებს, თუ აღარ? კიდევ ისე შვენირად უკრავთ როიალზე, თქვენ ხომ მუსიკითაც გატაცებული იყავით?

ნინომ სასოწარკვეთილებით გაიქნია თავი. იმას თითქო ეწყინა, რომ ასეთს საგნებზე დავუწყე გამოკითხვა.

— არა, მე ყველაფერს თავი გავანებე. რად მინდოდა? ან ვისთვის იყო საჭირო?

— თქვენთვის... პირველ ყოვლისა თქვენთვის იყო საპირო, თქვენი სულისა და ხორცისათვის. ეს ხომ უშველებელი დანაშაულობაა— ისეთი ტალანტი, როგორიც თქვენა გქონდათ მონიჭებული, კაცმა მიწაში ჩაფლას ასე უღმერთოდ...

— აბა, რასა ბრძანებთ, რა ტალანტი, ჩის ტალანტი? — გულწრფელად და ნაღვლიანად დაიწყო წინომ ლაპარაკი; — ჩემი ტალანტი, ნიჭებულობა, შემოქმედებითი ძალა, ყველა ეს მხოლოდ მოჩვენება იყო, ზერე-ლედ მოვლენილი... მე, მართლაა, ნიჭი მქონდა, მაგრამ მაკლდა ის, რაც ყველაზე უფრო უმთავრესია: შინაარსი არ გააჩნდა ჩემს ცხოვრებას, სურვილი არ მქონდა მუშაობის, ცხოველი ინტერესი შრომისა... მარტო ის აზრი, რომ ამა და ამ დანიშნულის დროს უნდა გავათავო სამუშაო-მეთქი, მაშინვე ყოველი ხალისი მეკარგებოდა და კალამიც ხელიდგან გამიფარდებოდა. უსაქმურობამ დამაწერა მაშინ ლექსიც და მოთხრობაც, თორემ მე გულწრფელად არ მყვარებია პრაფერი, არაფერსაც არ გავუტაც-ნივარ, მეშინოდა ცხოვრების და შრომას გავუტრიალდი. აბა, რა უნდა გააწყოს აქ მარტო ნიჭმა. მე ახლა გამზმარი ყვავილი ვარ. საკვირველი, მაგრამ კარგი და შევნიერი ყვავილი დაქვანა. თან და თან ცვივა ამ ყვავილს ფოთლები და განქრავს იმისი მიმზიდველი სურნელები. ნაყოფს ასეთი გამკენარი ყვავილი ველარ გამოიღებს! ნულარც მზამაგონებთ, გვააყვა, წარსულს ცხოვრებას, რაც იყო, იყო... ის ადამიანები, რომელთაც ნიჭს, სილამაზეს, სი-ცოცხლეს უქებდენ, პირ და პირ აღერსით ტაშს უკრავდენ, ვერ შეგუებებიან იმ მართალს და კეშმარტს აზრს, რომ ისინი არაფერიც არ არიან და ტყვილიად იცდენენ

თავიანთ თავსაც და სხვებსაც.. მე შეეაჩვიე თავი ასეთს მართალს აზრს.

—მაშ როგორ-ღა ატარებთ დროს, რა გართობთ, ნინო ქაიხოსროს ასულო? რას აკეთებთ? ასე ცხოვრება შეუძლებელია...

—არათქმისა არ ვაკეთებ! ჰაერს ვყლაპავ, ვიცვამ-ვიხურავ; ზოგჯერ ლექსებსაც ვკითხულობ და მოთხრობებსაც, ძალიან იშვიათად როიალზე ვუკრავ, ყოველთვის მოწყენილი ვარ და გული ჩემი

„ივსება წვეთ-წვეთად

„ნალველითა და შხამითა..“ და

ერთი მწერლის თქმის არ იყოს: სიცოცხლეს სევდით აღსავსეს ვცდილობ ბედნიერება ვუწოდო...“ მე ვხარჯავ ბევრ ძალ-ღონეს და მოხერხებას, ვიცხოვრო ისე, როგორც სცხოვრებენ ყველანი ამ ქვეყნად...

—თქვენ შეილები არა გყავთ?

—მყავდა შეილები და მადლობა ღმერთს, აღბად, ჩემ საბედნიეროდ, დამეხოცნენ. მკვახედ მომარტყა სიტყვა ნინომ. ხმაში ეტყობოდა საშინელი გაბრაზება.

ძალიან გამაცვიფრა ასეთმა კილომ და ვკითხე:

—რატომ ამბობთ: ჩემ საბედნიეროდ? ვერგამიგია...

—ან რად უნდოდათ სიცოცხლე ისეთს უბედურებს, როგორც ჩემი შეილება იყო. ვერც თავს გამოადგებოდენ, ვერც ხალხს.. მე მყავდა ვაჟი, ძალიან ნაზი და დიდ-თავა არსება, მეტად წყნარი და გონიერი. მისს მოვლასა და აღერსს გადავატანე ჩემი სიცოცხლე. მაგრამ იგი მომიკვდა ტვინის ანაეზით... კიდევ მეყოლა ქალი, რომელიც უკრო ჯან-მრთელი და მხიარული, ცელქი იყო. მაგრამ იგი ყელ-ჭარკებამ (კისერამ) მომიკლა... ახლა თქვენვე განსაჯეთ! განა მართალს არ ვამბობდი, „ჩემ“

საბედნიეროდ დამეხოცნენ-მეთქი“? რა დიდი ტანჯვა და ჯოჯოხეთი უნდა ყოფილიყო იმათთვის სიცოცხლე და ეს წუთისოფელი?

მე შევცქეროდი ნინოს და ღრმა თანაგრძნობის და შებრალების გრძნობა მიტრიალებდა გულში მისდამი. და ნინოსაც არ ეთაკილებოდა მიეღო ჩემგან ასეთი თანაგრძნობა. იმას უნდოდა თვისი მოკლული გულის პასუხი გულწრფელად გარდაეშალა ჩემთვის, როგორც ნახევრად დავიწყებულს ახალგაზნობის დროს დამეგობრებულ ამხანაგისათვის, რომელსაც ასე მოულოდნელად წაატყდა გზაში... ნინმო განაგრძო საუბარი:

—ალბად, ჩვენი გვარის ნაშიერი უნდა გარდაშენდეს... მე აღარ მინდა გავიტარო თავში აზრად, რომ კიდევ შეილის დედა გავხდები... დეე, მე უკანასკნელი ვიქნე ჩემს გვარში... მართლა, რა ამბავია, სულ ჩემზე ვლაპარაკობთ. მიაბზეთ, თქვენ როგორღა ცხოვრობთ. მე ხომ თქვენი არაფერი გამიგია!

—მე, აბა, ჩემი ცხოვრების, რა უნდა გამბოლო...

—თქვენ კიდევ ერთი ხართ, თუ დაქორწილდით?

—არა! თუმცა ბევრჯერ მქონდა შემთხვევა დავქორწილებულეყად... მაგრამ რაღაც არ ხერხდებოდა...

—რატომ არ ხერხდებოდა?

—და თქვენთან ერთად მეც განვიმეორებ: რატომ არ ხერხდებოდა? ახლა კი, ნინო ქაიხოსროს ასულო, გვიანდაა. ჩემა სიყვარულის ცეცხლიც ჩაქრალაია. რაც მომკვდარა, იმას ველარ აღვადგენთ. სიყვარული, თუ გნებავთ, ერთ გვარი თავის დავიწყება. მე ახლა ისეთს ხანში ვარ. რომ ჩემს თავს ერთს წუთსაც ვერ დავივიწყებ და, მერე, ისიც გვარ-დაწერილ ცოლის სიყვარულისთვის... გრძნობა განჰქრა, ნდობაც აღარ მაქვს... გარდა ამისა,

გადავეჩვიე, ესე იგი, შევეჩვიე: ამ გვარს ცხოვრებას და სხვასთან, მეორე ადამიანთან ერთს ოთახში თავისუფლად ვერ მოვთავსებულვარ...

ნინომ ღრმად ამოიოხრა.

— დიახ, გრძნობა ჰქრება, მიდის ნელ-ნელა... მე ყოველთვის ასე ვფიქრობდი და თქვენც დამიმტკიცეთ ეს: გრძნობანი ჰქრებიან!...

— არა, ყველა გრძნობაზე და ყველა ადამიანზე არ ითქმის ეს. ხან და ხან გრძნობანი ყუჩღებიან, წყნარდებნიან და ქრონიკულს ხასიათს იღებენ... ნამეტურ თუ პირველ აღორძინების და თავის ჩენისათანავე უპასუხოდ დარჩნენ... და, თუ ერთი უბრალო შემთხვევა მიეცა, თუ ერთი გულიანი, თანამგრძნობი და კეთილი სიტყვა, თვალი და გარემოება შეხვდა, გრძნობა იმ წამსვე კვლავ გამოცოცხლდება, განახლდება და გაიშლება...

— მე არ ვიცი ასეთი გრძნობა, ვერც გავაგებ მაგისას ვერაფერს და მაგისთანა გრძნობას ველარც ვაჩვიცილი...

მე ცოტა შიფფიქრდი და მერე გარდაწყვეტით ვუთხარი:

— არა! ასე ცხოვრება შეუძლებელია! ეს სიცოცხლე კი არა, სიკვდილია, სიკვდილზე უარესიც... თქვენ უნდა გამოცოცხლდეთ, გაფხიზლდეთ, თვალებზე ხელები მიისვამოისვათ და იმუშაოთ.. იმუშაოთ. მხოლოდ შრომას შეუძლია თქვენი გამობრუნება, გამოცოცხლება, აღმატება, მკვლევრით აღდგენა... თქვენ ჯერ კიდევ ახალგაზდა ქალი ხართ. განაგრძეთ ფრანგული ლიტერატურის შესწავლა, ქართულ ლიტერატურაში მუშაობა; ლექსები თუ აღარ გემარჯვებათ ახლა, მაკიერად სწერეთ მოთხრობანი, თქვენ თუ სახელისთვის არ გინდათ სწე-

რომ, მოჰკიდეთ კალამს ხელი სასყიდლის გულისთვის. თქვენს ნაწერებში ჰონორარი მიიღეთ და მარტო ამის გულისთვის მაინც წერეთ. მე მგონია, არც თქვენი ქმარი იქნება ისე მდიდარი, რომ თქვენს სალიტერატურო ნაშრომში აღებულს საფასურს ხელი ჰკრას...

ნინომ თავი კვლავ მძიმედ გაიქნია.

— აბა, ვინ ქართული ლიტერატურა, ან უკეთ რომ ვსტკვათ, ვინ თქვენი ლი-ტურა-ტურა“ და ვინ სალიტერატურო ნაშრომის საფასური, ჰონორარარი!!!..

ნინომ მწარედ და შხამიან აღ გადიხარხარა:

— ბარე ორიოდეს დაგისახელებთ, განაგრძო მან, თქვენში ისეთს ნიჭიერს და მართლაც ჭეშმარიტი ტალანტით შემკულს მწერალს, რომელმაც ევროპაში რომ დაბადებულიყვენ, არ ჩამორჩებოდენ არც ერთს შესანიშნავს მგოსანს და პუბლიცისტს, მაგრამ საქართველოში კი შიმშილით კვდებიან და, მიკვირს კიდევ იმათი ჯინიანობა, რომ გულს არ იტყვენ და კალამს ხელიდან არ აგდებენ... დანარჩენნი... თითქმის ყველანი თქვენი ლიტერატორები ქართულს მწერლობას მალე სტოვებენ და სხვა გამოსარჩენ სამსახურს ეძებენ, რომ შიმშილით არ მოკვდენ, ესენი უკეთესები და ნიჭიერებიც არიან და ჭკუიანდაც იტყვიან, ამას რომ ჩადიან. უნიკონი აღგილსაც ვერ შოულობენ ვერსად თქვენებურ გულ-ქვა რედაქტორებს დადგომიან მოჯამაგირებელ და შიმშილით სული ხდებათ. ეს უბედურნი უდროვოდ ესალმებიან წუთი-სოფელს, ან „წითელ კახურს“ ჰკიდებენ ხელს და საუკუნოდ იღუპებიან... ვწერო... თქვენ, ალბად, დამკვინით, მაგრამ თქვენ ეს არ გეკადრებათ. ვწერო, ჩემი ნაჩხაბნი ვის რად უნდა? მე ჩამოვრჩი ცხოვრებას, მო-

ვეძღურდი და რაღა უნდა დავწერო ისეთი, რომ იმაში ვინმემ ფული გაიმეტოს?!...

მცბეთის სადგურზე ზარა დაჰკრეს.

—აი, მეც მოვედი. ახლავე უნდა გადავხტე აქ. აქედგან ტროიკით უნდა წავიდე კავკაზში, სადაც ჩემი ქმარი გადაიყვანეს. იგი ამ ჟამად იქ მიცდის.

—მშვიდობით, მშვიდობით, თარნაოზ როსტომისძევ! გმადლობთ, ნუ დამივიწყებთ. რა გახარებული ვარ, რომ თქვენ გნახეთ და გემუსაიფეთ. ეს თქვენი ნახვა ახლა ამ გზაში მთელს ჩემს სიცმარწვილეს მომაგონებს... მშვიდობით... ვინ იცის, ვნახავთ-ღა კიდევ ერთმანეთს?

ნინოს თვალეებზე ცრემლი შევნიშნე.

—მშვიდობით!

და ნინო ქაიხოსროს ასული წავიდა.

*
* *

მცბეთის სადგურზე შემთხვევით თვალი მოვჰკარ, სხვათა შორის, ორ კაცს, რომელთაც მარტო ზრდილობა მაიძულებს, „მწერლის“ სახელი ვუწოდო. ორივე ეს კაცი კოჭ-დაბალი და მუცელ-წამოზებრილი იყო და ქერა თმა და წვერ-ულვაში ჰქონდათ. ერთს თავზე ვხურო გაბრიდატებული რუსის „კაკარდიანი“ თეთრი ქუდი, თვალეები ცოფიანივით ამღვრეული ჰქონდა და სახის მოყვანილობა სრულიად უნიჭო კაცს მიუგავდა. მეორე კი საშინლად თავწვრილი და გოჭივით თვალწვრილიც გახლდათ. „პლუტური“, მეტად გაქნილი კაცის სახე ჰქონდა და, თუმცა გონიერი კაცის თვალში ესეც საბრახობელას ჰგავდა და სრულს სასაცილო სუ-

რათს წარმოადგენდა, მაგრამ კოხტობასა და კულაბზი-
კობას, ეტყობოდა, მაინც არ იშლიდა. საკვირველია! ამ
ჩემი მუშტის ტოლა თავში აზრს საიდან ჰპოულობენ.
რომ მწერლობას ასე ხარბად ეტანებიან? ეს დიდი გა-
მოცანაა, მკითხველო. ამათ ორთავეს სადგურის ბუფეტ-
ში ცხელ-ცხელი ხაქაპურები ეყიდათ, გზაში ზოგს მი-
იქამდენ და ზოგიც ხელში ეჭირათ. საზარელი შესახე-
დავი იყვნენ... სადღაც ახლო სოფელში ძალზედ ესვათ
ღვინო, ჩამთვრალიყვნენ და კიდევ ხარბად ეტანებოდენ
ხაქაპურებს! ღვინის ორთქლით თვალების უბეები. ერთს
იმათგანს საშინლად დაბიჟვინებოდა, ხმაც ცოტად ჩაბ-
რინწებოდა და სიარულის დროს სამკედურის საბერვე-
ლივით ქშინავდა. აშკარად ეტყობოდა, რომ ქეიფი,
„ქამა-სმა, კარგად შესარგი“ — ამისი სატრფიალო საგანი
გამზადრიყო და ჩვენი წუთი სოფლის ზღვაში, რომელ-
საც სალაზღანდაროდ ცხოვრებას ვეძახით, დიდის სიძ-
მოვნებით უყვარდა ჯყუპალაობა.

— კაცო, საითო? მომადახა მან, მაგრამ მე პასუხის
მაგიერად ხუმრობით ქოლგის წვერი კოჭებში დაეუპირ-
დაპირე და, ცოტას გაწყდა, არ წაიქცა. მე რაღაც
უწიამოვნო მწარე ღიმილი გამომეხატა და უნებურად
გულის სიღრმიდან ამომსკდა სიტყვა: საწყალობელი!

მართლაც და, ფრიად საწყალობელია, მკითხველო,
ქართველი ინტელიგენტი და, ნამეტურ, ქართველი
„ლიტერატორი...“ მომაგონდა პოეტის სიტყვები:

„ქკუა ხაშია,

გრძნობა არტალა!“...

და მწარე ფიქრმა შემიბჟრო...

*
* *

კარგი სანახვია ქართველი ინტელიგენტი ქაბუჯობის, სტუდენტობის დროს. იგი ამ დროს უნივერსიტეტის ყმაწვილ კაცთა, თვის ტოლ-ამხანაგთა შორის გაცხარებით ბაასობს და მჭერმეტყველობს შექსპირის უდიდეს სამხატვრო ნიჭზე, დედა-კაცთა ემანსიპაციაზე, ზნეობის და პოლიტიკის უაღრეს, დიდ-მნიშვნელოვან სკანდალებზე, პროლეტარიატის დანიშნულებაზე და უკანასკნელ, თვის სამშობლოზედაც კი... ცეცხლ-მფრქვევი ვეზუფის მქუხარე ორთქლი და ალი ვერ შეედრება იმის საკირესავით გახურებულს გულ-მკერდს, რომლის ძირიდან საოცრად მოხეტიაეს დიდი კეთილ-შობილების და აღზნებულ, მზურვალე სიტყვების ტალღები. ეს ტალღები ძლიერი ამოქრავების, აბოპოქრების დროს, თუ მარჯვედ არა ხარ, გაგიტაცებენ, უეჭველად გაგაქანებენ და... წაგლეკავენ.... იგი ამ დროს იბრძვის, მუშტებს მალლა ცას უშევრს და წარბ-შეკრული იმუქრება. აი, მაშინ არის იგი დასახატავი... კარგი სანახვია ქართველი ინტელიგენტი აგრეთვე მაშინაც, როდესაც იგი ჩაფიქრებული მარტოხელად „ობოლი სულივით“ მაგიდას უზის და იმის წინ... კახურის შვენეირი წვენი ქიქიდან ალის ფრად გამოსკვირს ლამპრის შუქზე. მაგრამ უფრო დიდებულის შარავანდედით მაშინ არის შემკული მთლად მისი არსება, როდესაც მას, თვის ტოლ-ამხანაგებიანა ერთად ყოველ „დაწყველილ საგნისთვის“ აშკარად შეუფურთხებია და ამ წუთი-სოფლის დამატკობელ სიამოვნებას მისცემია მთელის თვისის ეშხითა და ნეტარებით... აი, ამ დროსაც დასახატავია, ჩემის ფიქრით, იგი. ამ დროს იმის ნახვას რა შეედრება? მთელი არსებით იგი მისცემია ქეიფს და მხიარულებას და უნდა როგორმე გაერთოს, თავ-დავიწყებით დასტკბეს და გაიხაროს. შუბლი და სახე იმისი გახსნილია და ბრწყინვალე,

გული მომღბენი და მომღერალი, თითონ დოინჯ—შემოდგმულს ვაშაკს ჰგავს და ყვინს სალამს არ აძლევს, და მართლა, დღეს იგი ნაშდელი და ქეშმარიტი ყვინია, ამ წამს სულ ყველაფერი იმას ემსახურება, მას შეჰხარის და შეტრფის. მაგრამ გართობა, სრული გართობა, ან უკედ ვთქვათ, ნამდვილი გალოთება არას ვხით არ ხერხდება, რადგან ამ ძალზედ, განგებ გადარდიმანდებულს ვაშაკს თვისი გულის კუნჭულიდგან „დარდი“ მაინც არ შორდება და არა... სრული თავ-დავიწყებული გალოთება და „დატკობა“, რომელიც წარმოედგინა იმის ვახურებულს ოცნებას, შეურყვევლ და გულუბრყვილო განუყოფელ ბუნების შეიღებს თუ ესტუმრება, თორემ ამ ცოდვილს ცხრა მთის მანძილის დაშორებითაც არ ეკარგება. მაშინ ეს ჩვენი მოქეიფე ინტელიგენტი და „ლიტერატორი“ (ჩვენებური ლიტერატორები თავიანთ თავს «ქეშმარიტს ინტელიგენციას» უწოდებენ) თვის თავს ძალას ატანს, გულ-შეკრდს და ძარღვებს ღვინით საშინლად იხურებს და, გამოუტდეღ მერონგურესავით, უნდა როგორმე ყიზილბაშური ბაიათები შეშოსძახოს და თვისი გულის დამატკობელი ჰანგები იმღეროს. მაგრამ, მის-დასავალალოდ, რადაცნაირი უსიამოვნო, ჩახრინწებულო ხმები გულის აღმგზნებ ჰანგებს არ წააგავს და ჩვენი მოქეიფე საშინლად სწუხს და შფოთავს...

ბოლოს, იგი, თვისი ჟინის მოსაკლავად, იძულებულია უმატოს სადღვეგრძელოების სმას და «რჩების» თქმას. ხანგრძლივი და ბევრი ღვინის სმა თავს ურეტინებს, ტვინს უხურებს და იგი მოჰყვება უწინოდ ოსუნჯობას და ტლინკვას. დაიწყება ერთი სასაცილო სანახაობა, მაგრამ ამდენი ოსტატობა და ხერხიკ საქმეს ვეღარას შევლის, იმისი «დარდია», გულის ქრილობა შეხარხოშებულ

ჩვენს «ქეშმარიტს ინტელიგენტს», ანუ ლიტერატორს კიდევ მაცდურივით თავში საშინლად ჩაჰკრავს და თვალებს საცრდავად დააქყეტინებს... და მხოლოდ მაშინ, როდესაც მის თვალთა წინაშე სახლის კედლები და მინდორ-ველი მოხდენილად ატრიალდება და ჰაერში ლეკურს ითამაშებენ, როდესაც მის სამზღვარ-გადაბიჯებულს და დავიწყების უფსკრულში ფრთა-გაშლილს ოცნებას კეკლუცი ტურფა და აზვიროებული გულ-მკერდი მოეჩვენება, — მაშინ მხოლოდ თითქმის სრული „გალოთება“ ჯადოსავით მომხიბლველის ეშხით ტკბილად უამბობს და შთანთქმავს თავის სანეტარო, სიამის მომგვრელს მყუდროებაში.

მხოლოდ ასეთსა და ამგვარს მდგომარეობაშია სრული თავის დავიწყება და... სიკვდილიც. ის ჭიაც, რომელიც ილიას მგზავრს ოდესღაც გულს უღრღნიდა, კვდება... და ეს ჩვენი «სწავლული კაციც» სუბუქად, ძალიან შხატედ გრძნობს თავის თავს.

ამ წამს ვერ წარმოიდგენთ, რა საშინელი რევოლიუციაა მოსალოდნელი ამ მოქიფის ამფსონებს შორის, თუ სადმე გრილი, ნაზი, სულის გამაცოცხლებელი ჰაერი დაიძრა შორიდან. ეს ქეშმარიტად, მეტის მეტი ტრაგიკული მომენტი იქნებოდა! გაღეღილს ნაქიფთარს გულზე დაცალიერებული ბოთლი, კეკლუცი ლამაზი ქალის მაგიერ, სრიალით დაგორდებოდა და სურათად თქვენი თვალის წინ დაიხატებოდა გალოთებული ამფსონების კახურში ჭყუბალაობა და საზიზღარი, გულის ამღვრევი სიტყვებით საფსე «ლოთური» სიმღერები და ქვეყნის სამასხროდ აშკარად ტლინკვა... მკედრეთით აღმდგენელი ცვრები ნაზი, გამაცოცხლებლის ჰაერისა, აზრზედ უფრო გამაღებულის სისწრაფით, ერთბაშად მოხვდებოდა

გაშეშებულს შუბლს ქართველი ლიტერატორისას და მის გულს კვლავ აუვარდებოდა კაეშანის მწვავე და მწარე ტკივილები.

მაგრამ რა მანქანების ძალით უნდა დაიქროლოს ამ დროს მკვდრებით აღმდგენელმა და სულის გამაცოცხლებელმა ჰაერმა? ირგვლივ, ყოველის მხრით მთელი არე-მარე შეხუთულია. მოძრაობა შემწყდარია. საქეიფოდ თვალის წარმტაცად აღყვავებულს წალკოტს სულ მთლად ყარაულები არტყია და ისინი არ უშვებენ იქ სიცოცხლის ცხოველ-მყოფელს შუქს. ამიტომაც არის, რომ ჩვენში დღეს შესწყდა მოძრაობა და ამდღორდა, ამყაყდა ცხოვრება...

საკვირველია, ღმერთმანი, კაცის ცხოვრება! სანამ მასში არ გამქრალა ცნობიერების ნაპერწკალი, მანამ მას არ შეუძლია სრულიად უარ ჰყოს თვისი თავი და მიეცეს სრულს, განუსაზღვრელს თავის დავიწყებას და პირადი დატკობის მომაკვდინებელს წუმპეს. მაგრამ ვინ არის იგი, ეს ჩვენებური «ლიტერატორი»? იგია — ის, რომელსაც რუსეთიდან მობრუნებისა და თვის უბედ-იღბლო სამშობლოს დანახვისათანავე გასტენია გული, გაცრუებია იმედი, დაუმარხავს იდეალები, დაუკარგავს ნიჭი, რომ იგრძნოს ჭეშმარიტება, ე. ი. ნამდვილი და საოცარი გმირული თავ-გადასავეალი სახელოვან მამა-პაპათა, რომელთაც თავი თვისი შესწირვს მამულს და დამოუკიდებლობის დროშა მოიტანეს მეცხრამეტე საუკუნის კარამდე, შეჰქმნეს ანბანი და ლიტერატურა, საპოლიტიკო ცენტრალიზაციის იდეა და საერო კულტურის ძლიერი მოთხოვნა განახორციელეს; რომ შეიგნოს მან შენიერება და ძლიერება ამ ედემის მსგავსი ქვეყნისა, და გულში ღრმად ჩაისახოს და საქვეყ

ნოდ აშკარად ატაროს თავის ქვეყნის სიყვარული და მუდმივი სამსახური, იმისი სასოება და მომავალი.. ჩვენებური ინტელიგენტი და ლიტერატორიც სრულიად გადაგვარებულია და ვაი იმ ერს და იმ ქვეყანას, სადაც ასეთი ფუქსავატი, თავ-ქარიანი «ინტელიგენტები» და «ლიტერატორები» იბადებიან!..

შექსპირი, ფილოსოფია, მეცნიერება, პოლიტიკა, ქმშარიტება, სიყვარული და გაუბედურებული მამულის თავ-დავიწყებული, ნიადაგი სამსახური, — განა ყველა ეს ადამიანის ოცნების ნაყოფი და ცდუნება არ არის? დღეს, თუ კაცი მოინდომებს, მის გახურებულს გრძნობა-გონების არე-მარეზე არ იქნება სახსენებელი, არც შექსპირისა, არც ზნეობის და პოლიტიკის უაღრეს საკნებისა და ფილოსოფიისა, არც სიყვარულის და სინიდისისა, არც მამულისაც... დიახ, მამულისაც კი, ჩემო კარგო მკითხველო! ყველაფერი «ამ წუთი-სოფლის ცხოვრების» ნიადაგზე ინტერესის და უბრალო პირობათა საქმეა. და მაშ, რალად უნდა იხეთქოს კაცმა თავი და გაიმწაროს ეს წუთი-სოფელი, თუ ყოველივე, მართლაც, სიზმარი, კაცის უნიადაგო თანტახია და ცდუნებაა და აღარაფერს არ უჩანს მკვიდრი საფუძველი და საუკუნო ცხოვრება?.. აი, ამ ყოფაში ჩავარდნილი ქართველი ინტელიგენტი და ლიტერატორი სასოწარკვეთილი საშინლად წამოიყვირებს, რომ «ყოველივე ამ ქვეყნად ზღაპარია და სიზმარია» და უბედური, თვალე-გამობლენცილი და ტვინ-დარეტიანებული ცასა და დედა-მიწას შორის არის საქვეყნოდ ჩამოკიდებული... შერცხვენილ-შეგინებული და... ქანაობს... ქანაობს საშინლად თავში დაკრული და გალო-თე-ბუ-ლი..

და შენ კი «მამული საყვარელია!» ჩემო სამშობლო მხარეო, უბედურო საქართველო! ვინა გყავს შენ ქირის-უფალი და დამტირებელი? სად არიან დღეს შენთვის თავ-გამოდებულნი, რომ შენს სახელს, შენს არსებითს ინტერესებს ემსახურებოდნენ? ან, დავიჯერო, რომ ეს ჩემი გულის ჩივილი და ღაღადი სულ ამაოა და ფუჭი?.. ნუ თუ ისე საშინლად გამწარდა შენზე ისტორია და ბედის ჩაღბიც ისე უკულმა დაგიტრიალდა, რომ შენს შვილებს, რომლებზედაც შენ უნდა დაგემყარებია შენი სიკეთე და მომავალი, ვეღარ აღუნთებ გულში სიყვარულის ცეცხლს, რომ გაუჩინო იმათ ერთი საზოგადო სული, ერთი საქვეყნო გული, ერთი დიადი, მარადის სანეტარო მიზანი? დავიჯერო, ყველაფერი ჩვენთვის საუკუნოდ უარ-ყოფილი და დავიწყებულია? უკეთესი შენი მგოსანი, შენი გულ-წრფელი ქირისუფალი და დამტირებელი, რომლის «გული დააღწია» შენს სიყვარულს, ამ შენმა ჯოჯოხეთურმა ყოფამ გამწარა, რომ საშინელის ტკივილით ჰკოდებს და იმდუღორება:

«ბედო შევ-პირო, უპირო:

ამრევო გზა და კვალისა!

სულს ნუ ამომხდი, მაცალე

დახამხამება თვალისა!...»

ვაი, თუ აღარსადაც აღარ არის დღეს შენი სახსენებელი, შენი თვით-მპყრობელი ძლიერი აზრი. მკვდრეთით აღმდგენელი, ცხოვრების და უკვდავების მომნიჭებელი სული და არსებობა?...

შვილნი შენნი ერთმანეთის შურის ძიებით, მტრობით, გამწარებულის სიძულვილით გამსჭვალულან იმ დროს და იმ წამს სწორედ, როდესაც შენ საუკუნოდ უნდა დაიღუპო, შუბლზე სირცხვილ-აღბეჭდილი და

შეგინებული... არა, მამულო!. უძვირფასესო, «საყვარე-
ლო მამულო!..» აღუნთე შენს უბედურს შვილებს გულ-
ში კვლავ სიყვარულის ცეცხლი. ჩაუნერგე უსაზღვრო,
თავ-დავიწყებული შენდამი სამსახურის ნიჭი, რომ ყვე-
ლა შენი შვენიერი და მდიდარი არე-მარის შვილნი და
ოჯახნი ერთს მკვიდრს და დიადს შეურყეველს
სხეულს წარმოადგენდეს.. თორემ ხომ იცი:

„ვაჰ, თუ რაც წახდეს,
ვედარა აღსდგეს,
ველარ აჰყვავდეს ახლის შვენებით,
და რაც დაეცა,
ის წარიტაცა
შემან ყორანმან, ვით უმწე მსხვერპლი?“

ზომლელო.



პრობრაქა

ეთნოგრაფიული და იუჩიდიული ცნობების
შისაკრებად. *).

45. ბაღჩებში, რა და რა ყვავილებს უფრო სთესვენ?
46. რა და რა ხეხილს არ აყენებენ სახლის ახლო და რომელს განგებ დარგვენ ხოლმე; რა არის ამის მიზეზი?
47. ბაღების, ბოსტნების წვიმისაგან, სიცივისაგან, მწერებისაგან, ფრინველისაგან, ცხოველებისგან და ან ქურდებისაგან დასაცველად რა საშუალებას ხმარობენ ხოლმე?
48. როგორი ღობეები იციან? რისას ან როგორ აკეთებენ და რას ეძახიან მათ?
49. სამუშაოდ სადმე მიდიან ხოლმე თუ არა?
50. განსაკუთრებითი საქმე ქალებს აქვთ თუ არა?
51. რა ხელოსნობას ან მრეწველობას უფრო მისდევს ხალხი?
52. სხვა და სხვა საქმისთვის დრო აქვთ ამორჩეულის თუ არა?
53. რა და რა სამუშაო იარაღი აქვთ ყოველი საქმისთვის?

*) იხ. «კრებული» № VII-

54. გაცვლა-ვაჭრობა არის მათში თუ არა?
55. რა გააქვთ გასასყიდად?
56. ხომ არა აქვთ-რა ფულის სამაგიერო?
57. სავაჭრო მოდის რამე თუ არა?
58. რა და რა სავაჭრო შემოაქვთ? საიდან და რომელი გზით.
59. უცხოელებთან ვაჭრობა აქვთ თუ არა?
60. სავაჭრო მოედნები აქვთ თუ არა?
61. ვაჭრობას ქალებიც მისდევენ?
62. ზომები აქვთ რამე თუ არა?
63. სასწორი იციან? თუ იციან, როგორია?
64. სასწორზე წონის გასაგებად საუნების სიმძიმეს რას შეადარებენ ხოლმე?
65. რითი და როგორ ზომავენ ან ჰყოფენ მიწას?
66. როგორა ჰნიშნავენ მიჯნას მინდორში, ტყეში და სხვ.?
67. იციან რამე მიუდგომელი საგნის გასაზომად, მიუწ-თოველი სიმაღლის გასაგებად?
68. რასა ხმარობენ სიგრძის, სივრცის, ზედა-პირის (სივ-რიფანას), სითხელის, დასაპნევი საუნების, ფულის და კიდევ სხვა საუნების გასაზომად?
69. რა და რა საზომი იარაღი აქვთ ხელოსნებს?
70. როგორა ზომავენ კუთხეებს, სამკუთხედებს, მრავალ-კუთხედებს, წრეს, ბურთს და მათ ნაწილებს?
71. თავისებურად რას ეძახიან ყველა ამას?
72. როგორ ჰყოფენ დროს, წელიწადს, თვეს, კვირას. დღეებს, საუთებს და სხვ. რას ეძახიან ყველა ამას?
73. დროის საზომი (მაჩვენებელი) იარაღი აქვთ რამე თუ არა?
74. აქვთ რამე ასტრონომიული ცოდნა, რომ დროს

აღსანიშნველად, მოკზაურობაში, ზღვაზე ყოფნის დროს გამოიყენონ?

75. როგორ იტყობენ დროს?
76. რა და რა უქმეები, ან ღირს-შესანიშნავი ფაქტები ახსოვთ დროს აღსანიშნველად?
77. აქვთ რამე ცოდნა დროს დასათვლელად, რომელიც კალენდრის მაგიერობას უწევს?
78. რა და რა ნიშნებით იტყობენ შემოდგომის, ზამთრის, გაზაფხულის დადგომას ან იმას, როგორი იქნება თვითეული მათგანი?
79. თვლა ათეული, ოცეული თუ სხვანაირია?
80. თითებით, კენჭებით, მარცვლებით თუ როგორმე სხვანაირად იციან თვლა?
81. საგნებს წყვილ-წყვილად, სამ-სამად, ოთხ-ოთხად, ცხრა-ცხრად თუ სხვანაირად სთვლიან.
82. რომელ საგნებს სთვლიან ასე და რომელს სხვანაირად?
83. უფრო ადვილად როგორ შეაერთებენ, გამოაკლებენ გაპყოფენ და ამრავლებენ ხოლმე?
84. რა და რა საძნელო ამოკანები, შარადები, რებუსები უფროა გავრცელებული?

III. ოჯახის წყნე-ჩვეულებანი და სხვა უროვნული თვისებანი.

1. სიყვარული მამა-კაცთა და დედა-კაცთა შორის არის თუ არა?
2. მანდილოსანს ჯეროვან პატივს სდებენ თუ არა? როგორ ეპყრობიან მას?
3. რა და რა მოვალეობა აქვთ ხნის-და მიხედვით სხვა-და-სხვა წოდებაში?

4. ჩვეულებად აქეთ თუ არა ქალის გაყიდვა?
5. ცოლის პატიოსნებას და უმანკოებას აფასებენ?
6. მრავალ-ცოლიანობა გავრცელებულია თუ არა?
7. რა გვარი ჯვარის წერა არის მიღებული?
8. საცოლოს მოტაცება ჩვეულებად აქვთ თუ არა თუ? აქეთ, — როგორ იტაცებენ ხოლმე?
9. ქორწინების წესებში გამოიხატება რითიმე ამ ჩვეულების (მოტაცების) გავლენა?
10. ქორწინების რა და რა წესებია დარჩენილი, რომელნიც საცოლოს ყიდვას მოგვაგონებენ?
11. რა და რა უმთავრესი ქორწინების ხანა შეიძლება აღენიშნოთ და რას უწოდებენ ამ ხანას?
12. როლის უფრო იციან ჯვარის-წერა?
13. კვირაში რომელ დღეს სთვლიან საუკეთესოდ ჯვარის დასაწერად?
14. რამდენ ხანს გასტანს ხოლმე ქორწილი? როგორ ხარჯს შვრებიან ერთის მხრით საქმრო და მეორეს საცოლო?
15. რა საჩუქრებს აძლევენ ხოლმე ქორწინებაში მონაწილეების მიმღებთ?
16. მზითვად რას აძლევენ ქალს? და წერილებით უნდა აიწეროს საქორწინოდ მზადება, პურის ცხობა, ჩიჩილაკის და გვირგვინების კეთება. როგორ და როგორ კეთდება ყოველივე ესე?
17. რა მნიშვნელობას აძლევს ხალხი ყველა ამ საგნებს?
18. თანდათანობით დაწერილებით უნდა იყოს აწერილი ჯვარის წერის მსვლელობა; თავ-თავის ალაგზე უნდა იყოს ჩართული ლექსები თუ ლოცვები, რასაკვირველია თუ ესენი იციან ჯვარის წერის დროს.
19. ჩასწერეთ კლოები იმ ლექსებისა, რომელნიც ჯვა-

რის წერის დროს არის შემოდებული, უმთავრესი-
მათში მანც; ადგილობრივი ხასიათისა რომელია-
მათში და რომელია უცხოეთიდან გადმოტანილი?

შენაშენა: თავ-თავის სახელი დაცული უნდა იყოს შეუ-
ცვლელად ყველა შემთხვევაში და არა მარტო ჯვარის
წერის დროს.

20. საცოლოს და საქმროს მაყრები ვისგან შესდგებიან?
21. რა დამოკიდებულებაა ქორწილში მონაწილეობის
მიმღებთა შორის?
22. რა მნიშვნელობა აქვთ ნათლულებს, ძმებს ნეფე-
დედოფლისას და მოპატიებულ პირებთ?
23. მაყრებს და ძმადეს რა საქმე აქვთ მინდობილი?
24. ვის ეძლევა უპირატესობა ზოგიერთს შემთხვევაში
ქორწილის დროს: დედას, თუ მამას, მაგალითად და-
ლოცვის დროს?
25. უღედ-მამო ნეფე-დედოფლის ალაგს ვინ იჭერს?
26. რითი განსხვავდება ობოლის, უკანონო შვილის
ქორწილი ჩვეულებრივ ქორწილისაგან?
27. ქვრივი რომ მეორედ დაქორწინდება, არის თუ არა
მის ქორწინებაში რაიმე განსხვავება?
28. რა ნიშნები გვიჩვენებენ ნეფე-დედოფლის ბედნიე-
რებას და უბედურებას?
29. რა საშუალებას ხმარობენ მომავლის უბედუ-
რების ასაცდენად ნეფე-დედოფლისათვის?
30. მისდევენ თუ არა იმ ჩვეულებას, რომ ქორწინების
დროს არავის არაფერი დაავალონ, რათა ნეფე-
დედოფალს უყვარდეთ ერთმანერთი და იქონიონ
სიმტკიცე?
31. რა მნიშვნელობა აქვთ კუდიანებს ქორწილში?

32. რა საშუალებებს ხმარობს ნეფე-დედოფალი, რომ არ იქმნენ თქალ-ნაკრავნი?
33. რა ჩვეულება იციან, როცა პატარძალს მოიყვანენ პირველად ქმრის ოჯახად?
34. რა ნიშნებით სჯიან ახალ დაქორწინებულთ მომავალ შთამომავლობაზე.
35. სად და როგორ უშლიან საქორწინო ლოგინს?
36. საჭიროა თუ არა დასამტკიცებელი საბუთი, რომ ახალ გათხოვილი უმანკო იყო?
37. თუ ახალ-გათხოვილი უმანკო არ დარჩა, რა ცვლილება ხდება ცოლთა და ქმართა შორის?
38. არსებობს ჯადოსნობა, ან სხვა რომელიმე ცრუმორწიქნეობა ვაჟების დასაბადებლად?
39. ცოლქმრობის შესრულების დროს რა ნიშნებსა ან ჩვეულებას ადგანან?
40. თუ ხმარობენ ზომებს ორსულობის ასაცილებლად ან ნაყოფის გასაფუჭებლად?
41. ორსულს ადამიანს გარეგანის ნიშნებით ატყობენ, ვაჟი ეყოლება თუ ქალი?
42. მშობიარე ქალი, ვიდრე ლოგინად ჩაწვებოდეს, ეთხოვება თუ არა თავის ნათესავებს?
43. რა ჩვეულებებს ადგანან მშობიარობისა და ორსულ ადამიანის მოვლაში?
44. ქმარი მშობიარობის დროს ესწრება, თუ არა და რაში მდგომარეობს იმის მოვალეობა?
45. სადსწარმოებს მშობიარობა?
46. მშობიარე ქალს ცალკე ოთახში, შინაურებისაგან განკერძოებით აწვენენ თუ არა?
47. იციან რაიმე ჩვეულება მშობიარე ადამიანის განსაწმენდად?

48. მშობიარობის დროს მოიწვევენ ბებიებს?
49. სუფევს ასეთი ცრუმორწმუნეობა, რომ ბავში ვერიცოცხლებს, თუ მოიწვევს ბებიას ოდესმე შვილი მოკვდამია ან სრულიად არ ჰყოლია, ან მომკვდარან მისგან წინეთ ნაბეზიარნი ბავშვი, ან იგი ქმარს ღალატობს, ან და უკანონო ცოლია თვისი მეუღლისა?
50. რა საშუალებას ხმარობენ მშობიარობის შესამსუბუქებლად, ან დასაჩქარებლად?
51. როდესაც მშობიარობა გაკირდება, ქმარს არ მოაშვებინებენ, ან არ გაახდევინებენ ქმარს, არ გაახსნევინებენ პერანგის ღილეზს, არ ახდიან ბუხრის სახურავს, არ გამოსწევენ უჯრასა, ან და არ ალებენ ზანდუქს?
52. ანთებენ თუ არა საქორწინო სანთლებს?
53. სწამთ, რომ ბავში იმავე დღესა და საათს დაიბადა, რა დღესა და საათსაც ჩაისახა საშოში?
54. უდღეონი ხშირად იბადებიან და რა ცრუმორწმუნეობა სუფევს ამ მოვლენის ასახსნელად?
55. რა საშუალებას ხმარობენ მუცლის გაფუჭების, ან ბავშვის უდღეურობის ასაცილებლად?
56. რას უშვებიან ბავშვის ამხანაგს?
57. აქვს, თუ არა, ნაბუდარს რამე დანიშნულება?
58. რა ნიშნებს აკვირდებიან ბავშვების სხეულსა, მის ნაწილებსა და პირველს დაკვირვებაზე?
59. რა საშუალებას ხმარობენ ცუდ ნიშანთა მოსასპობად?
60. სხეულის რომელ ნაწილების გასწორებას სცდილობენ ბებიები?
61. სუფევს ისეთი რწმენა, რომ ბოროტნი სულნი მშო-

ბიარეთა და ბავშვებისა განსაკუთრებით მავნენი არიან?

62. სუფევს ცრუმორწმუნეობა, თითქო სცლიდნენ ბავშვებს ბოროტნი სულნი, და სხვ.?
63. როგორ ააცილებენ მავნე სულს მშობიარეს ან ბავშს?
64. სჯერათ, რომ ყრმათათვის სული ანგელოზებს ჩამოჰქონდეს და ესწრებოდენ ისინი ბავშვების დაბადებას?
65. პატარა ბავშვებს როგორ უხსნიან, თუ საიდან გაჩნდა ახლად ნაშობი?
66. რა ჩვეულებით სწარმოებს ბავშვებისთვის სახელების ამორჩევა?
67. რა ცრუმორწმუნეობას ადგანან სახელების ამორჩევაში?
68. ცდილობენ, რომ ერთსა და იმავე ოჯახში ერთი და იგივე სახელი ერთის მეტს არავის არ ერქვას?
69. ამ შემთხვევაში მიიღება სახეში ამ ოჯახში მიცვალებულს სახელი?
70. აქვსთ თუ არა ჩვეულებად რომ ბებიისა, პაპისა და ან სხვა ვინმეს სახელი უწოდონ ბავშვებს?
71. სხვა კიდევ რა ჩვეულება სუფევს ახლად დაბადებულთა შესახებ?
72. აქვსთ თუ არა ჩვეულებად ახლად ნაბოძის გაკრეკვაკვეცა?
73. რა ადათსა და წესს ადგანან, როდესაც ბავშს ჯვარს ჰკიდებენ, ან სხვა და სხვა ტანისამოსს (პერანგს, ქამარს) აცმევენ?
74. თუ არსებობს წინადაცვეთა, რა ჩვეულებას ადგანან ამის შესრულებაში?

75. კერძოდ დახასიათება გამასპინძლებისა და განსაკუთრებული სანოვაგე ავადმყოფობის დროს?
76. რა სასმელ-საჭმელი მიაჩნიათ დედაკაცის მშობიარობისაგან განთავისუფლების შემდეგ?
77. რას აძლევენ საჩუქრად მშობიარეს?
78. რომელ დღეზედ ღვება ლოგინიდან მშობიარე?
79. რა ჩვეულება აქვთ ბავშვების გახვევასა და დაბანის დროს?
80. რამდენ ხანს გასტანს ძუძუს წოვება?
81. რა ცრუ მორწმუნეობა სუფევს ძუძუს წოვების დედისა და ძიძის რძის შესახებ?
82. საეკლესიო წესებს გარდა, კიდევ რა ჩვეულება იციან მონათვლის დროს?
83. რა ცრუ-მორწმუნეობას ადგანან ნათლის ღების დროს თმის მოკვეცისა და ემზახის წყლის შესახებ?
84. რა დამოკიდებულება არსდება მიმრქმელთა ურთიერთს შორის და მიმრქმელთა და მირონღებულის მშობელთა შორის მეორეს მხრივ?
85. რა გეგმის აკვანი იციან?
86. რა ცრუმორწმუნეობა სუფევს აკვნის შესახებ; რატომ არ ვარგა, როცა ცარიელ აკვანს არწევენ?
87. რას ნიშნავს, როდესაც ბავშვი ძილის დროს სტირის, ან იცინის?
88. ბავშვთან ერთად რას სდებენ აკვანში, ან მაშინ, როდესაც მას პირველად აწვენენ აკვანში, ან შემდეგ?
89. კერძო ჩვეულებანი, წესნი და ადათნი ბავშვების მონათვლისა, დაბადებისა და სხვა შემთხვევებში—იმის შემდეგ, როცა დედას წინად ნაყოლი ბავშვი უკვდება?

90. ვის აპირებენ ბავშვის მოპარვას, როცა ისინი კვდებიან?
91. არის ისეთი ცრუმორწმუნეობა, რომ ბავშვს მთვარე იპარავდეს?
92. აქვთ ჩვეულებად სხვის ბავშვის მოტაცება, როცა საკუთარი უკვდებათ?
93. მისდევენ თუ არა ბავშვების გაყიდვის ჩვეულებას, თუ ისინი სუსტნი და უძლურნი არიან?
94. როგორ ატყობენ ახლად ნაშობს, ან და საზოგადოდ ბავშს, რომ ის დღეგრძელი იქნება. (მაგ. ბავშვის სირბილის დროს მაწის დიდად ხმაურობა, ან მისი უდროოდ ჭკუის გამოჩენა-ნიშნავს, რომ ის მალე მოკვდება)?
95. როგორ უვლიან ავადმყოფ ბავშვს?
96. რა საყმაწვილო სათამაშოებია გავრცელებული?
97. იციან თუ არა საყმაწვილო დღესასწაულები?
98. რით განირჩევა საყმაწვილო ტანისამოსი დიდების ტანსაცმელიდან, და რომელ წლიდან იწყებენ ქალ-ვაჟნი დიდებივით ჩაცმა-დახურვას?
99. იციან გუნსაკუთრებული დღესასწაულები, თამაშობა, სერიი და დროს გატარება ქალ-ვაჟთა ერთმანეთთან დასაახლოვებლად და გასაცნობად?
100. რა ხერხს ხმარობენ საარწიყოდ?
101. რა აზრისაა ხალხი ქალთა პატრიონების შესახებ?
102. რას ჩაიან ქალები, რომ ვაჟებს თავი მოაწონონ? სად ბანაობენ და რით, რას სვამენ და რას ასმევენ სხვას და სხ.?
103. რა ცრუმორწმუნებრივს საშუალებას ხმარობენ გულის მოსაჯადოებლად, ან გულის ასაგორებლად?
104. რა ადათი სდევს თან ქალ-ვაჟთა ასაკში შესვლას?

105. რა აღადოს ადგანან მაშინ, როდესაც ქალიშვილს პირველად მოდის თვიური, ან რიგი? უყურებენ ქალს, როგორც უწმინდურს არსებას, სანამ რიგისაგან განთავისუფლდებოდეს?
106. რა წესებით ხვდებიან სრულ-წლოვანების მიღწევას?
107. რა ხანში მოსდით ქალ-ვაჟთ სურვილი უწვლილებისა (შეკავშირებისა, ცოლქმრობისა): რამდენს ხანს გასტანს შვილოსნობა (ნაყოფიერება) ორივე სქესისა?
108. არსებობს თუ არა ჩვეულება სურვილის არა-ბუნებრივ დასაკმაყოფილებლად?
109. არსებობს რაიმე ადამი დასაკუთრისებისა?
110. გავრცელებულია მშობლების სიყვარული ბავშბისადმი? ეალერსებიან, თამაშობენ იმათთან?
111. არსებობს ადამი ბავშბის მოკვლისა?
112. სწამთ, რომ მშობლებს უფლება აქვთ შვილების სიცოცხლესა და სიკვდილზე?
113. მშობლებს ბავშბის გაყიდვის უფლება აქვსთ?
114. მიღებულა ბავშბის აღზრდა და რაში მღვოძარეობს იგი?
115. რა ხანში უთავდებათ ბავშბს აღზრდა?
116. რა წლოვანებამდე ზრუნავენ საზოგადოდ მშობლები თავის შვილებზედ?
117. სრულს წლოვანების შემდეგ შვილები მოხუცებულ მშობლებს პატივს სცემენ თუ არა?
118. ვის უფრო პატივსა სცემენ: მამას, თუ დედას?
119. მოხუცებულების პატივის ცემა რამდენად არის გავრცელებული?
120. ოდესმე ხომ არ ყოფილა ჩვეულებად მოხუცებულ

მამა-კაცთა მოკვლა, რომელთაც მუშაობა ჰქონდათ შვედლოდ? რა თქმულებანი არსებობენ ამის შესახებ?

121. რა აზრისანი არიან რჯახის წევრების და საზოგადოდ შინაურების ურთიერთობაზე, საზოგადოების და მისი წევრების დამოკიდებულებაზე (დამოკიდებულება ხალხისა სახელმწიფო პირებთან, მაჩულებთან და სხვა)?

122. ყველა ამ დამოკიდებულებასთან რა თქმულებანი ზედ დართული?

123. მშობლიურ წყევლას, ლოცვას რა ძალა აქვს? თქმულებანი და ზეპირ-გადმოცემები ზედ დართულნი?

124. პირმშობა როგორ აქვთ წარმოდგენილი? ცრუმორწმუნეობანი მასთან ზედ დართულნი.

125. მახლობელ ნათესავთა რა და რა თაობან არჩევენ (იცინან)?

126. რა მნიშვნელობა აქვს ამა თუ იმ თაობის ნათესავთა ცხოვრებას სხვა და სხვა შემთხვევაში (მაგ ქორწილში და სხვა)?

127. რა გვარი ეროვნების დამახასიათებელი ნიშნები შეიძლება კიდევ აღინიშნოს?

128. რა უფრო ეტყობათ, სიმზიარულე თუ მოწყენა, საზოგადოებრობა თუ მარტოობა და სხვა?

129. სიცილი და ცრემლი ადვილად მოსდით თუ არა? განსხვავება სქესებად და წლოვანებად აღნიშნეთ?

130. რა სახელებით და სიტყვებით იხსენებენ ხასიათის სხვა და სხვა ელფერს: სიმზიარულეს, გულგრილობას, სიმზურვალეს, სიზანტეს და სხვა?

131. რა სახით და რა მოძრაობით გამოსთქვამენ ხოლმე თავიანთ გულის პასუხს და სხვა და სხვა გრძობას?

132. რა ნაირ განსაკუთრებულ სახელებს უწოდებენ ამ გვარ ქცევას, მოძრაობას და სხვა?
133. სალამის და გამოსალმების დროს, აგრეთვე, როდესაც პირობას სდებენ, რა გვარ მიხვრა-მოხვრას და ხეულის ქნევას ჩადიან?
134. რამდენად გავრცელებულია დაკვირვება?
135. რომელიმე ახალი საგანი მათ ყურადღებას დიდხანს იპყრობს თუ არა?
136. რა გვარ საგნებს უფრო უკვირდებიან?
137. ცნობის-მოყვარეობა ძალიან აქვთ გამჭადარი თუ არა?
138. ცვლილებას და ახალს უფრო ეტანებიან, თუ ძველ ჩვეულებას მისდევენ?
139. ამ მხრივ არის რამე განსხვავება სქესებად და წლოვანებად?
140. მოსაზრება განვითარებულია თუ არა?
141. კითხვებს ადვილად და მალე შეიგნებენ ხოლმე, თუ არა?
142. გონებითი ნიჭი ადრე თუ გვიან ვითარდება?
143. მოქანცვა რომელ წლიდან დაეტყობათ ხოლმე?
144. იგივე სქესებად და წლოვანებად როგორ განირჩევა?
145. შეიძლება, რომ ხანგრძლივ გამოკითხვას გაუძღონ ანუ კრძელი ამბავი მოისმინონ თუ არა?
146. შეიძლება (რომ) რამდენიმე განყენებულმა საგნებმა მათი ხანგრძლივი ყურადღება მიიპყრას?
147. მხესიერება განვითარებულია თუ არა? მალე იხსოვებიან და დიდხანს ახსოვთ?
148. მხესიერება სქესებად და წლოვანებად როგორ განირჩევა?
149. განსვენებული დიდხანს ახსოვთ?

150. საოცნებო წარმოდგენა რამდენად მკვირცხლი აქვთ?
151. საოცნებო წარმოდგენა სქესებად და წლოვანებად როგორ იცვლება?
152. ძალიან მისდევენ მოგონილობას?
153. სიზმრებს ხშირად ხედავენ? რამე მნიშვნელობას აძლევენ?
154. საპოეზიო სიტყვიერებაში დასურათებას, მეტაფორებს, პოეტურ შედარებას და სხვას შეხედებით თუ არა?
155. სიკეთე და ბოროტება, სიმართლე და უსამართლობა, ღვთის მოყვარეობა და ურწმუნოება როგორ აქვთ წიროდგენილი?
156. თავიანთ შეხედულებას ამ საგანზე რა განსაკუთრებულ სახელებით იხსენიებენ?
157. მეგობრობა გავრცელებულია? მჭიდროა იგი თუ არა? მეგობრებს ერთმანერთში რა მოვალეობა მიუძღვის?
158. ძმად და დათ მოკიდება (დამშობილება) არსებობს თუ არა?
159. რა გვარ სიტყვებით და ქცევით გამოაცხადებენ ხოლმე თავიანთ ზრდილობას, პატივისცემას, მეგობრობას, სიყვარულს, აღერსს ანუ პირიქით ზიზღს, სიძულვილს და სხვა?
160. რა გვარი ლანძღვა-გინება და წყევლა აქვთ ჩვეულებად?
161. ვინც იწყევლება სჯერა მას, რომ მისი ნატურა ასრულდება? იმაში რა უფრო აჯერებს?
162. რა გვარი წყევლა და ავი სურვილი მიაჩნიათ უბრალოდ ანუ უფრო მძლავრად?

163. რა გვარი ღანძლე-გინება მიაჩნიათ უფრო უკადრისად?
164. პურადობა გავრცელებულია?
165. რა და რა წესებს იჩენენ სტუმრების დახვედრაში?
166. არიან თუ არა განსაკუთრებული შემთხვევანი, როდესაც ნათესავების და მახლობლების ნახვა სავალდებულოა?
167. გულ-შემატვივრობა გავრცელებულია? ეტება იგი მხოლოდ ახლო ნათესავებს, მეგობრებს და თანამემამულეებს, თუ საზოგადოთ-ყველა ადამიანებს?
168. გლახაკთა შესახებ ხალხი რა აზრისაა? მათხოვრობა რამდენად გავრცელებულია? მათხოვართა დაწესებულნი საზოგადოებანი არსებობენ თუ არა? ვინ ზრუნავს და რით აძლევენ მოწყალებას მათხოვრებს?
169. ავადმყოფებს უვლიან თუ ღეთის ანაბარად სტოვებენ, მეტადრე განუკურნებელ სენით მოკულთ?
170. მონათა, ტყვეთა და საზოგადოთ იმათ ვინც უფრო დაბლათ სდგანან, როგორ ეპყრობიან?
171. სუსტებს როგორ ეპყრობიან? სჩაგრავენ მათ თუ ეწევიან?
172. შინაურ პირუტყვებს როგორ ეპყრობიან? დიდ-ხანს აწვადებენ დაკლის, ნადირობის დროს და სხვა შემთხვევაში?
173. კაცთ მკამელობაზე და ადამიანთა ზვარაყად დაკვლაზე გარდმოცემანი არსებობენ თუ არა?
174. ჩხუბი და დავიდარაბა რამდენად გავრცელებულია?
175. მხდალნი არიან თუ მამყენი?
176. პირობაზე როგორ არიან, ასრულებენ თუ არა?
177. ფიცხნი არიან თუ დინჯნი?

178. რამდენი ჰგრძნობენ შეურაცყოფას? რა შეურაცხეყოფა მიაჩნიათ ყველაზე საწყენად?
179. პატიოსნება როგორ ესმით და გაუპატუროება რაში გამოისახვის?
180. გავრცელებულია თუ არა, და თუ გავრცელებულია, რა გვარია შურის ძიება?
181. სიცრუე და ცბიერება უყვართ თუ სძაგთ?
182. რა გვარ თვისებათა სცემენ პატრეს და რა გვარი თვისება სძაგთ?
183. რა ხელობას უფრო პატივსა სცემენ და რა გვარი ხელობა უკადრისად და სუსირცხოვ, მიაჩნიათ?
184. სისუფთავეს და სიწმინდეა ადამიანთა შორის, სახლში, პირუტყვის მოვლაში და სხვაში რამდენად მისდევენ?
185. აბანოს ეწყობიან თუ არა და იმის მაგიერობას რა უწყევს მათ?
186. ზაფხულობით წყალში ბანაობა უყვართ თუ არა?
187. რა ნაირი ცრუ მორწმუნებანი არიან შეკავშირებულინი აბანოსთან, ტანის თუ სხეულის სხვა ნაწილების დაბანასთან?
188. თავსუფალ დროს სად და როგორ ატარებენ?
189. ხალხში საზოგადო დროს გატარება რა ნაირია მიღებული?
190. დღით სძინავთ თუ არა?
191. ძილი ხანგრძლივია? მსუბუქად სძინავთ თუ ღრუბად?
192. მოზრდილთა შუა რა გვარი თამაშობაა გავრცელებული?
193. გამწვავებულ ქალაღდის თამაშობას ეტანებიან თუ არა?
194. როდის და რა შემთხვევაში თამაშობენ ამა თუ იმ სათამაშოს?

195. რომელი თამაშობა უფრო დაძველებული ანუ ახალია და რომელ მათგანს აძლევენ უპირატესობას?
196. მუსიკა, სიმღერები და სხვა თქმულებანი, რომელნიც თამაშობას შეეხებიან, ჩასწერეთ.
197. გავრცელებულია თუ არა მუსიკა, სიმღერა, ცეკვა და სხვა და სხვა გასართობი?
198. რა ნაირი ცეკვა იციან? სახელი რა ჰქვიათ და როგორ ასრულებენ?
199. სამხედრო, სანადირო, საარშვიყო, საარწმუნოებრივი და სხვა ცეკვა არის თუ არა? ცეკვაში მონაწილეობას ვინ იღებს?
200. რა გვარ სამუსიკო საკრავებს ხმარობენ?
201. ამ საკრავებს რისგან, როგორ და ვინ ამზადებს? რა ნაირი ხმა აქვთ საკრავებს? როგორ ხმარობენ?
202. მუსიკას რომელი სქესი და რა ხნის უფრო ეტანება?
203. სიმღერა გავრცელებულია თუ არა? რა ხასიათისაა სიმღერა—მხიარულია თუ სევდიანი?
204. ჯგუფად მღერიან, მეორე ერთ ხმაზე და სხვა და სხვა? უპირატესობას რას აძლევენ?
205. მუსიკალური სმენა განვითარებულია თუ არა?
206. ჰამმა არსებობს თუ არა და თუ არსებობს, რა გვარი?
207. ხმის აწვევ-დაწვევა, აჩქარება და დაგვიანება რა ნიშნებით გამოიხატება?
208. არ შეიძლება, რომ ჩაიწეროს რომელიმე უბრალო კილო სიმღერისა?
209. სიმღერაში რითმი არის თუ არა?

საქართველოს

დედა-ქალაქი

ტფილისი

გაგრძელება*)

ერეკლე ამ დროს სამშვილდე-ბირთვისის ასაღებად წასულიყო და ეომებოდა აბდულაბეგს. შეიტყო-რა ტფილისის განდგომა, ქალაქს ჩამოვიდა, ფიცხლავ გაარიგა საფრის კაცნი, ჯარი გუნდ-გუნდად გააწყოდა შეემა მტერს. ცალკე ციხიდგან და ცალკე ქალაქიდგან შეიქმნა ისეთი საზარელი სროლა „ყუმბარა-ზარბაზან-თა“, რომ კომლისაგან ციხე აღარ ჩანდა, ხმისა და ზრიალისაგან ქალაქი ირყეოდა. აბდულაბეგი სამშვილდედან უგზავნიდა მეციხოვნეთ პურსა და ღვინოს. ომი გაგრძელდა დიდხანს. ამ გაჭირებულ დროს ერეკლეს უღალატა ქალაქის მელიქშაყ: „შესწამეს ქალაქის მე-

*) იხ. „კრებული“ 1899 წ. № VI.

ლიტონალას ლალატი და ციხელების ლაპაქი; დაიქორა იგი მეფემ, პატიმარჰყო ცოლ-შვილით აქალას, წაართვა მელიქობა და 1000 თუმანი ჯარიმა; გარნა ანტონი პატრიარქის შუამავლობით ისევ განათავისუფლდა პატიმრობისაგან, და მელიქობა უბოძა პაპას. (პაპუნა, გვ. 409).

ომი თან-და-თან მწვავედებოდა: „ზარბაზანი და ყუნბარა ასე მოდიოდის ქალაქზე, ვითა ცეცხლი წვიმსო“; მეტეხის ზარბაზანს ესროდნენ მეფის სასახლესაც, გარნა ვერას „ავნებდიან მყოფთა ქალაქისათა“.

მეფემ გორიდან მოატანინა დიდი ზარბაზანი (2000 ლიტრის წონით), რომლის გასატენად უნდებოდა 10 ლიტრა ტყვია და ამის შესაფერი წამალი. ეს ზარბაზანი მიუმართეს მეტეხისა და თაბორის ციხეებს, მისი ყუნბარა, რასაც მოხვდებოდა, აქცევდა და მუსრავედა, მის ხმისაგან ქალაქი ირყეოდა. თუძცა ამ ზარბაზანმა დიდად შეაძრწუნა ციხელები და დიდი ზარალიც მისცა, გარნა იგინი ისევ მედგრად იბრძოდნენ. ამიტომ ეს ზარბაზანი მეფემ წალებინა სოღანლულს, მტკვარში გამოატანინა, თელეთზე შემოატარა და თაბორის მთაზე ამოატანინა. იქილგან მოუმართეს იგი თაბორის ციხეს, იერიშის ჯარიც მოამზადეს, დაიწყეს სროლა და შემდეგ იერიშით მიესივნენ ციხეს, „გადაფრინდნენ“ მასში და აიღეს. მტერი შემუსრეს, მისი საქონელი იავარჰყვეს. მეფემ დაასაჩუქრა თვისნი გმირნი, ხოლო ქალაქის ციხეში ჩააყენა თვისი ჯარი, ხოლო ციხესა და ქალაქს შორისი კედელი დაანგრია (1748 წ.).

ესრე განთავისუფლდა ეს ციხე და მასთან ქალაქი ტფილისიც სპარსთა დიდი ხნის პატონობისაგან: 1616

წლიდგან 1748 წლამდე ტფილისის ციხეში იდგნენ სპარსთა მეციხოვნენი და ამ დროს განმავლობაში მხოლოდ 12 წელიწადს (1723 წლიდან 1735 წლამდე) აქ უფლობდნენ ოსმალნი.

თავისუფლებით სტკებოდა ტფილისი 1748 წლიდან 1795 წლამდე, ე. ი. აღამაჰმადხანის შემოსევამდე.

ამ 47 წლის თავისუფლების ეპოს (1748—1795) ტფილისი ისევ მოშენდა, გაიზარდა, გადიდდა, მოეწყო. ქალაქი გამშვენდა სასახლეებითა და ბაღ-ვენახე-ბითა. გაიმართა აქ სასულიერო სემინარია, სამრევლო სკოლები, სტამბა, თეატრი, საფლურგ (ზარათხანა), ხაზინა, ჯაბახანა, ყუმბარა-ზარბაზნების ჩამოსასხმელი ქარხანა, სიძველეთა დასაცავი სახლი, ქარვასლები, საყდრები და სხ.

აქვე ვურთავთ იოსებ დელაპორტის მიერ შეკრებილ ცნობებს *) შესახებ ტფილისისა, სადაც იგი იყო 1768 წ.

„ტფილისი არა ვრცელი, გარნა ლამაზი ქალაქია. მასში ძალიან კარგი სახლებია—საერო სადგურები და მკვიდრთა სახლები, და შემოდინან დაფუმატო, პალატები. უკეთესნი კი უცილობლად ისინი არიან, რომელნიც მეფეს ეკუთვნიან. მეფის სასახლეები გაწყობილია მრავალის დარბაზებით, რომელთა ფანჯრები აქეთ მდინარის მხრივა და ვრცელ ბაღების მხრივ. სავაქრო მოედნები ქვით ნაშენია და სუფთად ინახება. საფრანგეთში, პირ-იქით, სავაქრო მოედნები აუშნოე-

*) იხ. ქ. ტფილისის ისტორიკულ-აღწერა, ზღ. იოსელიანისა, (რუსულ.) გვ. 274—275.

ბენ უკეთეს და უმთავრეს ქალაქებს. აბანოები ბევრი არ არის და მათ სატფურებს ამჯობინებენ. ეს სატფურები კამარიანებია და აშენებულია ქვით. სინათლე მათში ჩადის ზემოდან. საბანელნი, რომლებშიაც ჩაწვებიან ხოლმე ადამიანი, გაკეთებულია თლილის ქვით. ქართველთა სახლებში საკმაო სისუფთავეა. აქ არის ეკლესიები: 13 მართლ-მადიდებელთა, 7 სომხისა და 1 კათოლიკეთა. საქართველო ისეთი ქვეყანაა, სადაც სცხოვრობენ უმეტესის სიამოვნებით და მცირე ხარჯით. საქართველოში უხვად არის პური, ბალ-ბოსტნის მოსავალი და ხილი. პური და ხორცი ფრიად გემრიელია და მეტადრეკი ნადირის ხორცი. კასპიის ზღვა და შტკვარი, რომელიც მთელს ამ მხარეზე მიმდინარეობს, მოქარბებით იძლევიან ზღვისა და მდინარის თევზეულობას. აქაური ღორის ხორცი ძალიან გემრიელია. ტახიც ბევრია; მათი ხორცი ღორის ხორცზედაც უფრო გემრიელია. ღვინო მეტად კარგია და ხალხი არ იქნება, რომ ქართველზე მეტს ღვინოს სვამდეს.

„აქაურ დედაკაცებზე უმშვენიერესი არა იქნება-რა. განუცვიფრებლად მე ვერ ვუყურებდი მათ. ამ ქვეყანას შეიძლება ეწოდოს სიმშვენიერის სადგური. აქ შეიძლება შეხვდეთ ულამაზო დედა-კაცს ისევე, ვითარცა სხვა ქვეყნებში სრულს ტურფას. ამისთანებს აქ ყრველს ნაბიჯზე შეხვდებით. მე, რასაკვირველია, არ ვაზვიადებ. ძნელია წარმოიდგინოთ ისეთი შნოიანი მოყვანილობა, სწორე ტანოვანობა, უაღმატებულესად საამური ქცევა და მიხრა-მოხრა, რომელიც მიპნიქები-ათ ქართველ ქალებს. თქმულბაა, აქაურ ქალის საოცარი სილამაზე საფრხედ გაუხდაო მაჰმადს, რომ იგი

აქ მოსულიყო. ეს მშვენიერი ქართველი ქალები, თი-
თქოს, იმიტომ ყოფილიყვნენ გაწენილები, რომ შეეყ-
ვარონ სხვებს და სიყვარული აღუგზნონ მათ. ძნელია
უცქირო მათ და არ იგრძნო ვნება, როდესაც შეეწვე-
ვი მათს მორთულობას. საქართველოში არსებობს თა-
ვისუფალი მსჯელობა შესახებ რჯულისა. აქ არიან
სომეხნი, ბერძენნი, ურიანნი, ოსმალნი, სპარსნი, ინ-
დოელნი, თათარნი, რუსნი და სხ. ევროპიელები. გარდა
სომეხნი ყველაზე მეტნი არიან. ქართველთა და სო-
მეხთ შორის სუფევს სიმძულვარე, რომელიც წარმოს-
დგება მათის ზნეთა და ჩვეულებათა განსხვავებობა
გამო.

„ტფილისში ასხმენ ზარბაზნებს, ზამბურაკებს და
ყუმბარებს, გარნა ესენი ოსმალურზე მდარეა. ამზადე-
ბენ თოფს წამალსაც, გარნა ცუდს. უკეთესი ღვინო
ქართველთა არის კახური, რომელიც არ ჩამოუვარდება
„პონტაკს“.

დელაპორტი, როგორც ზემორე ითქვა, ძალიან
აქებს მეფის სასახლეს. აი ამ სასახლის აღწერა პლა-
ტონ იოსელიანის სიტყვით. ერეკლე მეორის სასახლე
აშშვენებდა ქალაქს მის გაოხრებამდე აღამაჰმადხანის-
მეორე (1795 წლამდე).

პლატონ იოსელიანი სწერს: *) „სასახლეს სახელ-
დობრივ ჰქონდა სიგრძე ჩნ საყენი. მისი საფუძველი
აღმოყვანილი იყო მდინარის კლდიან ნაპირიდან. აგუ-
რის სქელ კედლებად. პირველი, ბნელი სართული,
დამყარებული კლდეზე, მთლად აგურის კამარა-გადავ-

*) ქ. ტფილისის სიძველეთ-აღწერა, გვ. 246—247.

ღებულნი იყთ და ითვლებოდა სასახლის სარდაფადა და საყინულედ. მეორე სართულიც აგრეთვე იყო თაღებიანი-კამაროვანი, შიდალ-ფანჯრებიანი აღმოსავლეთის მხრიდან და მისი კედლები გამშვენებულ იყო ღორკოკინებითა, ქვებითა, სარკეებითა და ხეების დეხატულ რტოებითა. ამაში ინახებოდა სასახლის საუნჯე, ხალიჩები და სხ. და ერქვა-მას საღარო. მესამე და უმთავრესი სართული დანიშნული იყო საცხოვრებლად მეფისა, დედოფლისა და მათის შვილებისა. ამაში დარბაზები და ოთახები იყვნენ 32. ერთს ამ დარბაზთაგანს ათბობდა ბუხარი. დარბაზებს, რომელნიც გადასკვეროდნენ მტკვარს, ჰქონდათ მაღალი ფანჯრები. ამ საღურის აქეთ-იქით მხარეს მიდგმული იყო ორი სახლი, ოროლ სართულიანი და სარდაფებიანი. ყოველი ამათგანი შესდგებოდა 20 ოთახისაგან და მათში სცხოვრობდნენ დედათა და მამათა ამაღა მეფისა და დედოფლისა. მეფის საჯინბო მიდგმული იყო ჩრდილოეთ კედლის ბოლოს, რომელიც მიბჯენილი იყო მდინარის კლდოვან ნაპირზე.

„სასახლის წინ, მოედნის შუაში, ამოყვანილი იყო შადრევანი მარმარილოს ქვით. წყალი-მოტანილი იყო მილით წაკვისის მთებიდან. წყალი ამოუხსუხებდა მარმარილოსაგან ვაკეთებულ ორის ლომის პირით და მით მზიჩწყოდა სასახლის ბაღები. თვით ბაღშიც არა დიდს შენობაში, იყო აბანო გოგირდიანის წყლისა. ამ აბანოს წყალი მოდიოდა უმთავრეს ბაზარზე და სიონის ქუჩაზე თიხის მილებით ტფილისის მინერალურ წყლების საგროვებელიდან. აბანოს მთელი იატაკი მარმარილოს ქვებით იყო დაფებული.

„სასახლის სამხრეთით, როდენიმე საჯენის სიშორეხედ, იყო ფულის საქრელი სახლი, რომელიც თვისის ფანჯრებით მდინარეს გადაჰყურებდა. იგი მთლად კამაროვან-თაღებიანი იყო და კამარებში ჰქონდა სარკმელები.

„ფულის საქრელ სასახლის დასავლეთით იყო ძველინდელი ეკლესია, გუმბათიანი, წმ. იოანე ნათლისმცემლისა. იგი დანგრეულ იქმნა 1824 წ. მისი ადგილი დღეს უჭირავს სინოდის კანტორის სახლის ჩრდილოეთ ნაწილს. ამ ტაძრის გვერდით იყო ათ-ათახიანი სასტამბო სახლი, სადაც 1709 წლიდგან იბეჭდებოდა ქართული თხზულებები,—სასულიერო და საერო, ხუცურადა და მხედრულად.

„მეფის სასახლის სამხრით აღმართული იყო სხვა სასახლე მეფის ვახტანგ VI, მარმარილოს კედლებიანი, მოვარაყებული, ლაჟვარდოვანი და მოსარკვევებული. ეს სასახლე დანგრევის ოსმალთ 1725 წ.

„კიდევ იქით სამხრეთისკენ მდინარის ნაპირას იყო შენობები—ქსენონნი უცხოეთიდან მოსულ სტუმართა მისაღებად, და სხვა საოჯახო სახლები. სასახლის ახლოს აშენებული იყო მეჩითი გამაჰმადიანებულ მეფეთათვის. აქ ინახებოდა ყოველი ადგილობრივი სამუსიკო იარაღი.

„სასახლის წინ, მოედანზედ, იყო საყდარი უფლის კვართის საოხად. იგი დანგრეულ იქმნა 1804 წ.

„ალაგი, რომელიც ეჭირა სასახლესა და მისს პირდაპირ მზრუნველობაში მყოფ შენობებს, მტკვრის პირაპირ იყო სიგრძით, დაახლოებით, 160 საჯენი“.

აქ აღწერილი სასახლე ის სასახლეა, რომელშიაც დიდის დიდებით შემოვიდა აღამალომეღხანი 1795 წ., დიდად მოიწონა და, გაკვირვებულმა მისის სიმშვენიე-

რით, სთქვა: „სპარსეთის ხელმწიფე ვარ და ამისთანა სასახლე მეც არა მაქვსო“. *)

ტფილისში იყო აგრეთვე რამდენიმე სხვა სასახლეც, სახელდობრ სეიდაბათისა, მეფე იესესი, მეფის ძე დავითისა, მეფის ძე სვიმონისა, დარია დედოფლისა, გურია-სამეგრელოს მთავრებისა და სხ:

სეიდაბათის სსსხლე იყო კალას ძირში, მალლობზე; დელაპორტის სიტყვით (1768 წ.) „საამო იყო მისი გარემოცა და შიგნითი მორთულობაც. მთელი მისი მალლობი დაყოფილი იყო ფოლორცებად, სადაც გადმოაჩქეფდნენ ნაკადულები და გადიოდნენ მიღები. ¹⁾ იგი დაანგრის სპარსებმა 1795 წ. და ეხლა იმ ადგილას ბოტანიკური ბაღია ²⁾.

აქვე შეფის სსსხლე იყო აშენებული ძველს ნანგრევებზე, იქ, სადაც ეხლა ორბელიანთა სახლებია (მიხეილის ხიდან) და მათ წინ აღექსანდრეს ბაღი. იესეს სასახლეს ეკუთვნოდა ის ბაღიც, რომელსაც ეხლა ჰქვიან „საინჟინერო ბაღი“. ამავე ბაღში ჰმარხია თვით იესე მეფეც. ³⁾

მეფის ძის სვიმონის სსსხლე (1718 წ.) წმ. გიორგის ეკლესიითურთ გაოხრებულ იქმნა 1795 წ.; იგი განაახლა გიორგი მეფემ. ამავე სასახლეში მარიამ დედოფალმა მოჰკლა ლაზარევი და აქვე შეიპყრეს იგი

*) ა. ჯ. - თბუღიანა. „მთაბე“ 1895 წ. № VIII, გვ. 161.

¹⁾ ზ. იოსელიანი. ქ. ტფილისის სიძველეთ-აღწერა, გვერდი 250.

²⁾ იქვე, გვ. 250

³⁾ იქვე, გვ. 251.

და შარგზაენეს რუსეთს. წმ. გიორგის ეკლესია
(„კარის ეკლესია“ არქიელის მოედანთან) დღესაც არა
სტობს.

ღარიკ დედოფალს სსსსლე იყო ავღაბარში, რომე,
ლიტო შემდეგში შეისყიდა მიტროპოლიტმა თეოფილაკ-
ტემ და მასში მოათავსა სემინარია და სასულიერო
სამრევლო-სკოლები. 1821 წელს აქ დააარსეს ფერის-
ცვალების მონასტერი.

გარნა ყველა ეს სასახლენი და თვით ტფილისიც
გაოხრებულ იქმნა ყაენის ალამაჰმადხანისაგან 1795 წ.
უმთავრესი მიზეზი ტფილისის აოხრებისა სპაჩს-
თავინ ის იყო, რომ ერეკლე მეფემ უკუაგდო ყაენის
„ვალიობა“ და რუსთა ხელმწიფის მფარველობა თავს
იდვა. ზევითაც შევნიშნეთ, რომ ოსმალთჲ სულთანმა
და ყაენმა მთელი საქართველო თვის შიარის გაიყვე-
სო (1636 წ.) და ყაენს ხელს ამერეთით და სულთანს
ამერეთი და სამცხე. მას აქეთ ყაენები ნიშნავდნენ
ამერეთის მეფეებს, გარნა ეს მეფენი ხშირად ეურჩებ-
ოდნენ ყაენებს და რუსეთის ხელმწიფეს სთხოვდნენ
მფარველობასა და დახმარებას. თვით ვახტანგ VI ხომ
თვისის სახლობითურთ რუსეთში გარდაიხვეწა. შემდეგ
გამეფდა თეიმურაზ II და იგიც მფარველობის სათხოვ-
ნელად პეტერბურღს წავიდა და აშტარხანს მოკვდა,
ერეკლემაც დიდი მეგობრობა გამოუცხადა რუსებს და
ერთხანად მათი მხედრობა, რომელსაც ძლიერ უფრთ-
ხოდნენ ყველა ყაენები, გადმოიყვანა საქართველოში
(1769 წ.) და მანვე დასდო რუსეთთან ხელშეკრულობა
(1783 წ. 24 ივლ.) და რუსის ხელმწიფის მფარველობა

4) იქვე, გვ. 251.

იტვირთა: ამ ხელშეკრულობამ ფრიალ დააღწია სპარს-
ნი, რომელნიც ძველადგანვე თვის დაჭიმობელ ძლიერ-
რებას მოელოდნენ კავკასიონის ჩრდილოეთ მხრიდან,
ჯარნა ამ დროს სპარსეთი სუსტი იყო შინაურ ამბო-
ხებათა გამო. ხალხი ეს ამბოხება რომ შიშობდა, სპარს-
ეთი დაწყნარდა და ყაენების ტახტი დაიჭირა აღა-
მაჰმადხანმა, სპარსთა ელჩები გამოეცხადნენ ერეკლე
მეფეს. და სთხოვეს „რუსეთზე ხელი აიღეო“. *) გარდა ეს
ელჩები რუსეთის ერთმორწმუნეობისა და ძლიერების
შოიმედე, მეფემ უიმედოდ გაისტუმრა. **) ყაენმა დიდ-
ძალი ჯარი შეჭრობა და ისევ ელჩების პირით შემო-
უთვალა ერეკლეს: †) რუსეთის ერთგულობაზე ხელი
აიღეო“. რუსების ერთმორწმუნეობასა და მფარველობა-
ზე დაიმედებულმა მეფემ ყაენის ელჩებს მოახსენა: „არამც
თუ მარტო აღამაჰმადხან თაჟის ჯარითა, — მთელი აზი-
ის ჯარები რომ მოვიდნენ ჩვენზე, მაშინაც ხელს ვერ
ამაღებინებენ რუსეთის ერთგულობაზედ“. †) ყაენმა უვი-
სი ლაშქარი არეხზე გადმოიყვანა და მესამედ გამოუგ-
ზაგნა ერეკლეს ელჩი და მოახსენა: „ეს არის არეხში
გამოველ და კიდევ ელჩი გამოვეგზავნე და მეც თან მოვ-
დევ ელჩისა. კარგი მეფე ხარ და შენი წახდენა არ მინ-
და, ოღონდ ის ჩემი სურვილი აღმისრულე და ამის და-
სარწმუნებლად ერთ-ერთი შენი შვილი და ერთი შენი
შვილიშვილი გამომიგზავნე მძევლად, მაშინვე გავტრი-
აღდები და წავალ“. მეფემ პატიოსანი პირობა და ერთ-

*) ა. ჯ. ორბელიანი „მოამბე“ 1895 წ. № XIII, გვ. 127.

†) იქვე, გვ. 127.

‡) იქვე, გვ. 132.

*) იქვე, 132.

მორწმუნეობა არჩია, ელჩი დააჭერინა და ტფილისში გამოგზავნა. *) ყაენი სწრაფის ნაბიჯით ტფილისისაკენ წამოვიდა.

რის იმედი ჰქონდა ერეკლე მეფეს, რომ უპასუხოდ სტოვებდა ძლიერის ყაენის შემოთვლილობას და აპატიმრებდა მისს ელჩს?

ქვეყნისათვის თავგადადებულსა, რაინდსა და ღვთისმაცყვარე მეფეს, რომელიც უკვე 77 წლსა იყო, ეგონა, რომ მისნი მფარველნი უიმედოდ არ დასტოვებენ და მოაშველებენ 3,000 მეომარს, **) აგრეთვე მოვლენ 25,000 ჯარელნი, რომელნიც ის-ის იყო მეტვეს შეურიგდნენ და შემწეობა აღუთქვეს, 16,000 ქიზიყელნი, 10,000 იმერეთიდგან, 10,000 ქართლიდგან, 10,000 ყაზახ-პორჩალოდგან; ***) ამას გარდა 40,000 მეომარი მეფის ბრძანებით უნდა გამოსულიყო ფშავ-ხევსურეთი-დამ. 4) გარნა ეს ასრე არ მოხდა. ერეკლეს მოეშველა მხოლოდ იმერეთის მეფე სოლომონი 2,000 მეომრით და სხვა არავინ.

რა იყო ამის მიზეზი და რად გაუცრუვდა დამსახურებულება და მისი იმედები ღირსეულ მეფეს?

მეფემ თვის დამარცხებამდის არ იცოდა ანუ, უკედ

*) იქვე, 134. ბუტკოვი (ტომი მეორე, გვ. 137) ამბობს: „არეხს გამოსცილდა რა, ყაენმა ერეკლეს შემოუთვალა ჩემს მფარველობაში დარჩიო, თორემ საქართველოს წემოვესევიო, დამემორჩილე და ფიცით აღმიტყვი, რომ მომცემ იმოდენა ხარკს, რაოდენსაც ქართველთა მეფენი აძლევდნენ ყაენებს. გარნა ასრეთი შემოთვლილობა ერეკლემ უპასუხოდ დასტოვაო“.

**) იქვე, გვ. 335.

***) ა. ჯ.-ორბელიანი, „მოამბე“, 1895 წ. გვ. 131.

4) „მოამბე“ 1895 წ., საქართველოს ისტორია გვ. 472.

ესთქვათ, არ ეჯერებოდა, რომ მის გარემო გაჩენილიყო სხვა-და-სხვა წრე ქვებუდანა კაცებისა; ხოლო ამ ორპირ და ორგულ კაცებს, რომელთაც „ღმერთი სწამდათ და იმისი მტრები-კი იყვნენ, ძალა ერეკლეს მეფობისა უკვე მოეკლათ“, მეფემ-კი, როგორც ესთქვიდ, არ იცოდა ესა ქალაქის გაოხრებამდის.

რამ დაჰბადა ამ ქვებუდანა კაცების წრეები? — ა) შურმა, გაუტანლობამ და მტრობამ ძმათა შორის და პოლიტიკურად გაუწურთენელობამ და სახელმწიფო სარგებლობის გაუგებლობამ მათ მიერ, რომელნიც სამართველო საქეს ძლიერ ახლოს იდგნენ და ბ) შორსგანუქვრეტელობამ ერეკლესამ, რომელიც ვერ ამჩნევდა, ანუ, უკედ ესთქვათ, ამჩნევდა, გარნა ჯეროვან ყურადღებას არ აქცევდა, თუ გარეშე მტერნი, მისდაჰმი მეგობრად შემოჩენილნი, როგორ უთხრიდენ მას სამარეს.

ვახტანგ VI- რომ რუსეთში გადასახლდა, ქართლის ტახტი დაიჭირა თეიმურაზ II, კახეთის ბაგრატიონთა სამეფო დინასტიამ, თუმცა-ღა ეს ტახტი ეკუთვნოდა ვახტანგის მემკვიდრეს ბაქარს და ამის შვილს ალექსანდრეს, რომელსაც რუსის მხედრობაში დიდი თანამდებობა ეჭირა. ამ ალექსანდრეს ქართლში ჰყვანდა მრავალი მომხრე და მათ შორის გივი (შაჰყულიხან) ამილახვარი, ბატონიშვილი აბდულაბეგ იესეს ძე და სხ. თვით ალექსანდრე ტრიალობდა დაღისტანსა, ადირბეიჯანსა, სპარსეთსა და იმერეთში და სცდილობდა ქართლის ტახტი დაეჭირა. ერეკლეს გადუღდნენ აგრეთვე ქსნისა და არაგვის ერისთავები, რომელნიც ერეკლემ დაამხო და მით უფრო გაიმრავლა შინაური მტრები. ყველა ესენი დაწანწალებდენ შინა და გარედ და რევდენ ქვეყანას

და საშვიროებაში აგდებდნენ მას. ყველა ამას ზედ დაემატა ისიც, რომ მოხუცებულმა ერეკლემა წ. მარტს 1794 წელს მთელი სამეფო, საბატონიშვილოებად დაჰპყრო და თავის შვილებს ჩააბარა ცალკე საბატონიშვილოებად შეტქმენენ ქიზიყი, კახეთი, თიანეთი, დუშეთ-მთიულეთი, ქსანი, გორი, სურამი, ყაზახ-ბორჩალო და სხ. ყველა ბატონიშვილმა გაიწინა თავისი ამაღლა და მიმდევრიდნ მეთურად მოეწყო საერთო სამეფოზე ზრუნვა ყველამ დაივიწყა. მათ მიხედვით და მათ მიერვე გაყოფილ-განაწილებული თავად-აზნაურობა აგრეთვე აღარ ზრუნავდა სურათო სამშობლოსთვის, მას მხოლოდ აწუხებდა საკუთარი კერძი და კუნძული. დარია დედოფალი, რომელიც, ბუტკოვის სიტყვით, *) განაგებდა და საქართველოს, სცდილობდა ტახტის კანონიერი მემკვიდრე (გიორგი ერეკლეს ძე) გადაეყენებინა და მემკვიდრეობა დამტკიცებინა თავის შვილის იულიანის თვისა და ამიტომაც დაიწყო დედოფალი არა თუ არ უფროსადა აღამაჰმადხანის შემოსევას, არამედ იმედიც ჰქონდა, რომ თუ საქართველო ყაენის უფლობას დაემორჩილებოდა, გიორგი ბატონიშვილის მემკვიდრეობა ბაიუფრონზე გადავიდოდა. ხოლო თვით აღამაჰმადხანის ჯაშუშებიც, რომწონიც ტფილისში იყვნენ; სცდილობდნენ გაეძლიერებინათ მძულვარება ბატონიშვილთა შორის და თავის მხრივ შემწეობასა და ტახტს აღუთქვამდნენ იმას, რომელიც უფრო ცხადად დამტკიცებდა თავის მემკვიდრეობის კანონიერობას. ²⁾

ყველა ამას ზედ დაემატა აგრეთვე აქაური მოწი

*) ბუტკოვი, ტ. II, გვ. 336.

²⁾ იქვე, გვ. 337.

ნავე სომხების ლალატიც. ამათი მოთავე იყო ოსეთა არღუთაშვილი, რომელიც რუსეთში იყო (და შემდეგ შეიქმნა ემბიაწინის კათალიკოსად). აღექსანდრე ბატონიშვილის შემდეგ საქართველოს უმათავრეს მტრად შეიქმნა ეს იოსებ არღუთაშვილი, რომელსაც ტფილისის სომეხთა შორის ჰყვანდა ჩუმი დასი და აგენტები. ამთ კარგად იცოდნენ საქართველოს ვეი და კარგი და სამეფო სახლის ვითარება და ბეჯითად, გარნა საოღუმელოდ, მოქმედებდნენ ყველგან, საცა საქნო იყო. ოსეთა არღუთაშვილის უმათავრეს ჯაშუსად ითვლებოდა არტემ არარაკვი (არარაცოანი) და მას ჰშველოდნენ მიმბაშა სოლომონ (ოსეთა არღუთაშვილის ძმისწული); მის კარბაში იოსებ ბებუთაშვილი; ქალაქის მელიქი დარაჩია ბებუთაშვილი, ამილახვარი ოსეთა ყორღანაშვილი, მდივანბეგი სულხან თუმანიშვილი, ამის ძმა მანუშარ და სულხანის შვილი შიოშ; იოსებ და ავეტიქა შაღბათაშვილები*). ამთსავე განზრხხვასა და მისწრაფებას ემსახურებოდა მაშინდელი ემბიაწინის კათალიკოსი ლუკა, რომელიც აღამაჰმადხანს, საქართველოსკენ გამოლაშქრებულს, მიართვა 100,000 მანათი სამხედრო სახარჯოდ**) და აგრეთვე ყარაბაღის სომეხთა მელიქები მეჯნუნი და აზო. ამ მელიქებს რომ დიდრ კავშირი ჰქონდათ ოსეთა არღუთაშვილთან, ეს სწანს იქიდგან, რომ ამ უკანასკნელმა შეადგინა ამ მელიქების ისტორია და წარუდგინა რუსის მთავრობას 1790 წ., ***) ე. ი. ორისწლის იმის შემდეგ, რაც მეჯნუნი და აზო

*) ა. ჯ. ორბელიანი, მოამბე, 1895 წ., VIII, გვ. 122 — 123.

**) ბუტკოვი, ტ. II, გვ. 337.

***) იქვე, ტ. III, გვ. 220.

თვისი გარემოება შეატყობინეს გენერალს ტეკელის. იგინი სწერენ გენერალს, რომ რუსთა და ქართველთა გამოლაშქრებამ განჯაზედ ჩვენში იმედები განაღვიძაო, გარნა ბურნაშოვის დაბრუნებამ რუსეთს უკიდურესს მდგომარეობაში ჩაგვყარაო. თუმცა ჩვენ ძლივს გამოვახწიეთ და თავსაფარი ვიპოვეთ ტფილისშიო (1788 წ.), გარნა ჩვენი ცოლ-შვილი იქვე ყარაბაღში დაგვრჩა ჩვენის მძევნვარე მტრის იბრეიმხანის ხელშიო.*) აი ეს სულმდაბალი და გაიძვერა მეჯნუნი, რომელიც ერეკლეს შემოეთარა 1788 წელს და მის ფერხთა მტვრადაც არ მიაჩნდა თავი თვისი, ახლა, 1795 წელს მენკენისთვის, იგი მოუძღოდა აღამაჰმადხანის მოწინავე ლაშქარს, რომელსაც შეეფეთა დავით ბატონიშვილი (გიორგის ძე) და მოუკლა სარდალი.**)

მეფემ არა იცოდარა ამისთანა დიდის შეთქმულობისა და დაიმედებული, რომ დაბარებული ლაშქარი დროზედ მოვა და იზრუნავს ქალაქის გამაგრებისათვის, 7000 მეომრით წავიდა სოღანლულს. გადიოდა დღეები და მეშველი ჯარი არსად იყო. იულონი გორს იყო და დაუჯდომელს არ იშორებდა, გიორგი ბატონიშვილი სიღნაღში იჯდა თავის 4,000 გაწურთნულის ჯარით. მაგრამ ეს ცოტაა კიდევ. სოღანლულში მყოფ მეფეს აცნობეს, რომ ქალაქის მცხოვრებთა ნახევარი უკვე აიყარაო; მეფე ძლიერ დაღონდა, გარნა მისი დაღონება უფრო გაორკეცდა, როდესაც მეორე დღეს ნახა, რომ მასთან მყოფი ქიზიყის სარდალი ზაქარია ანდრონიკაშვილი თავისის 2000 მეომრით ღამე გაპარულიყო, და-

*) იქვე, გვ. 212.

**) იქვე, გვ. 259.

ეტაცა სამი ფარა ცხვარი და ქიზიყს წასულიყო.*) მიუხედავად ამისა მეფე ძლიერად შეეხებოდა მტრის მოწინავე ჯარს და სახელოვანად დაამარცხა იგი და დიდი ზიანი მისცა. ერეკლეს ძლიერამოსილებამ ისე გააოცა ყენი, რომ მან წარმოსთქვა: „როგორიც ქართველების ვაჟკაცობა გამეგონა, იმაზედ უკეთესნი ყოფილანო“. ასრევე ძლიერად დაამარცხეს მტრები ქართველებმა მეორე და მესამე დღესაც. ყენი შეშინდა და თადარიგი ნახა, რომ აიყაროს და სპარსეთს წავიდეს.

ყველა ეს ამბები მოხდა პარასკევსა, შაბათსა, კვირასა და ორშაბათს. ამავე ორშაბათ ღამეს არტემ არაქციანმა ქალაქიდან გააპარა ყენის ელჩი, რომელიც ერეკლეს ჩაებარებინა მელიქის დარჩია ბებუთაშვილისთვის თელეთებზე გადიყვანა, მიაცილა ყენის ბანაკამდე და თვითონ ისევ შემოიპარა ქალაქში. ელჩმა უამბო ტფილისის უნუგეშო მდგომარეობა, ერეკლეს ჯარის სიმცირე და ქალაქის გაუმაგრებლობა. ასაყრელადა და დასაბრუნებლად გამზადებული ყენი შემოტრიალდა და ქალაქისკენ წამოვიდა (11 ენკენისთვეს.) ერეკლემაც გამოსწია ქალაქისკენ და კრწანისის ვიწროები ჩაახერგინა. დღე იყო ნისლიანი. ქალაქში მოვიდა ამბავი, ერეკლე მეფე საშინლად დაამარცხესო. სოლომონ მეფე, რომელიც ერეკლეს წინააღმდეგე გამოეგზავნა ტფილისს, აიყარა და იმერეთისკენ წავიდა. დაკით ბატონიშვილი, რომელიც ტფილისის გორებზე, სოლოლაკის თავს, ტაბახმელისკენ, იდგა 400 კაცითა და 4 ზარბაზნით, აგრეთვე აიყარა და კახეთისკენ წავიდა. ყიზილბაშის ერთმა დასტამ ტაბახმელისკენ გა-

*) ჯ.-თრბუჯიანი, მოამბე, 1895 წ., VIII, გვ. 137.

მკსწიჯ, რომ გზა შეუკრას მეფეს. კრწანისის ვიწროებში ქართველები დაერივნენ ყიზილბაშებს, დახოცეს მრავალი და თვითონაც ზედ შეაყვდნენ მათ. მეფეს დარჩა მხოლოდ 300 კაცი. აბანოებთან რამ ჩამოვიდნენ მეფე და მისი 300 მეომარი, აბანოებისავე მალღობზე გამოქნდნენ სპარსთა დასტები, რომელთაც შემოტევა უნდოდათ, მაგრამ ციხიდგან ზარბაზნები დაუშინეს და შეაყენეს ივანი, მეფემ გამოაჩწია მტრებს დაქალაქისკენ გამოსწია. გარნა იგი ერთგულმა ყმებმა შეაყენეს ავლაბრის ხიდთან და საგურამოსკენ წასვლა ურჩიეს. მეფემ გაქუსლა ცხენი, გარნა, ხიდეს შუას რომ მიიღო წია, შემოატრიალა ცხენი უკანვე და დაიძრა: „ნეტა სად მივდივარ? წივალ და მეც ჩემ შვილებთან მოვკვდები ამ ქალაქის ხალხში და იმათ ვნებას მე ვერა ვნახავ“. მაგრამ ივანე მუხრანბატონმა ცხენის ჯილავს ხელი აუტაცა, გამოატრიალა, იქით-აქედგანაც მივარდნენ ბატონიშვილები აღმასხან და ივანე, ცხენსაც ქიზიყის მოურავმა მათრახი დაუკრა და საჩქაროდ გაარბენინეს გულმოკლული ერეკლე მეფე.

მოსე ჯანაშვილი



მზროვის მებარეურობა.

(მოკლე განხილვა)

(ველენი საქართველოს მებარეურობითა ამხანაგობათ)

გაგრძელება *).

საშუალოდ გამოხარშულ ძაფს აკეთებენ ორ გვარად: 1) მომყავო და სოდას ცხელი წყლით და 2) თბილა ჰაზნიასი წყლით. პირველ შემთხვევაში 90°-დე გაცხელებულ წყალში ურევენ (ხსნიან) ცოტა სოდას და ცოტა ღვინის მარილს ან გოგირდის სიმჟავეს; მეორე შემთხვევაში კი 25—35°-დე გამოთბარ წყალში ხსნიან 10% საპონს. ამ გვარ წყალში ძაფს გააჩერებენ ერთხანს, სადაც ძაფი ჰკარგავს თავის წონის 5—10%-დე. შემდეგ სწურვენ მაგრად ზემოაღნიშნულ მანქანით და აშრობენ.

აბრეშუმის სრულიად გამოსახარშად დღეს ხმარობენ საპნიან ცხელ წყალს. წინად წყალში ურევდნენ სხვა და სხვა სიმჟავეს და მარილებს; დღეს კი ცნობილია, რომ არაფერი არ ხარშავს აბრეშუმს ისე კარგად, როგორც საპნიანი ცხელი, თითქმის მდუღარე, წყალი. საპონი არამც თუ აკლის ძაფს წებოს, არამედ ასაზრდოებს მას, ე. ი. ალბილებს მას და აფუნთუშებს. ერთი სიტყვით აბრეშუმს უყვარს საპონი. მდუღარე საპნიან წყალში, ჩაჰკიდებენ და აბრუნებენ ძაფს 35—40 წუთამდე; ამ რიგად აკლიან ყოველრევე წებოს; შემდეგ სწურვენ, ავლებენ რაოდენჯერმე თბილსა და ცივ წმინდა წყალში, სწურვენ მაგრად და აშრობენ. ამ რიგად იხარშება სრულიად ძაფი და ეძლევა სინაზე, სიმსახრე და საოცარი ბრწყინვალება. თუ ჰსურთ ეს ძაფი შეღებონ თეთრად ან ნათელ ფერებად, მაშინ მას ხელახლად ხარშვენ ისევ ცხელ წყალში, რომელშიაც ხსნიან 17% საპონს. ხშირად სრულიად გამოსახარშ ძაფს სკიმენ მქანიკურად აუზში, რითაც ეძლევა ძაფს მეტი ელვარება, ბრწყინვალება. საჭიამე მანქანას ეწო-

*) იხ. „კრებული“ № 7 1899 წ.

დება კტირეზი--(etireuse). როცა ძაფი უკვე კარგადაა-
გამოხარშული, მას რამდენჯერმე გაატარებენ (გააჩანჩხაღე-
ბენ) წმინდა წყალში ან ხელით ან მანქანით; შემდეგ სწურ-
ვენ მაგრადლა აშრობენ ან ლებვენ. აქვე უნდა შევნიშნოთ,
რომ საზოგადოდ ტეინტურის ქარხნებში სახარშავი და
სარეცხი წყალი უნდა იყვეს რაც შეიძლება მეტი ლბილი,
უკირო და ტკბილი, რომ მით მან გახსნას და განაშოროს
აბრეშუმს მეტი წებო და მეტი საპონი და თან მოანლო-
მოს ცოტა საპონი. ერთის სიტყვით, საპონი არ უნდა შე-
ჰყვეს აბრეშუმს. ამიტომ თუ ფილატიურში კირიან მკვრი-
ვე წყალს აქვს დაფასება, აქ ტეინტურში სრულიად წი-
ნააღმდეგ, ტკბილ, უკირო წყალს უჭირავს პირველი ად-
გილი და სწმენდს აბრეშუმს შესანიშნავად.

ახლა შევეხოთ ტეინტურის მეორე ნაწილს ანუ თვით-
შედღებვას. ყველამ უწყის, თუ რა დიდი მნიშვნელობა
აქვს ადამიანის თვალში და გემოვნებაში ტანსაცმელის
ფერებს. ბაშბისაა, შალის თუ აბრეშუმის რომელიმე ნაქ-
სოვი, უწინარეს ყოვლისა მყიდველი აქცევს ყურადღებას
სახეს და ფერს; ამიტომ ქსოვის მოგონებისათანავე უხსო-
ვარი დროიდგან ადამიანი ცდილობდა გზოვა საღებავი-
მასალა. როგორც ვიცით მზის სპექტრის მიხედვით არსე-
ბობს შვიდი უმთავრესი ფერი: წითელი, წარისჯი, ყვითელი,
მწვანე, ცისფერი, ლურჯი და იისფერი, ყველა ეს ფერები
ერთად შეკრებილნი ჰქმნიან. თუთა ფერს, შავი ფერი კი
არის არყოფა, განშორება ყოველივე ფერისა;—მაგრამ გარ-
და ამ უმთავრესი ფერებისა, არიან ბევრი აურაცხელი
გარდამავალი ფერები, ტონები, ნიუანსები და სხვა. ძვე-
ლადგანვე, თითქმის ამ საუკუნის 70 წლამდე ყოველივე
ზემონათქვამ ფერების შესადგენად ხმარობდნენ მცენარეუ-
ლების და ცხოველთა საღებავთ: მაგ., თრიმლს, რკოს,
სუმახს და ნიგვზის კანის წვენს, ენდროს, ჰიისფერს, წი-
თელ ხეს, ბროწეულის კანს, ზაფრანას, სანტალს, ლილას
და სხვა. ყველა ამ საღებავებს ჰქვია ბუნებრივი ანუ ორგა-

ნიუფი სავაჭრო. თუმცა ორგანიზული საღებავები ძირელ
კაზგი ფერის მიმცემი და მეტადრე ფრიად გამძლენი, იყუ-
ნენ, მაგრამ დღეს ევროპის ტეინტურმა შეიძულა იგინი
თავიანთ სიძვირის გამო, და საყოველთაო ხმარებაში შე-
მოვიდა თავის ცხოველი ფერების და მეტადრე სიიაფის
გამო ეგრედ წოდებული სელფონური ანუ მისერაფური სა-
ღებავები, რომელნიც წარმოშობა უორგანო ნივთიერები-
დგან ქიმიურმა მეცნიერებამ. ხელოვნური საღებავები პირ-
ველად შემოიღო ხმარებაში გინონმა (ლიონში) 1848 წელს.
შემდეგ 1856 წელს ინგლისელმა ქიმიკოსმა ჰერკენმა შეამ-
ზადა რამდენიმე საღებავი და ბოლოს ლიონელმა მეცნი-
ერმა ჰერკენმა 1859 წელს აღმოაჩინა შესანიშნავი წითე-
ლი საღებავი, რომელსაც უწოდა ფუქსისი (fuchsine).
ვერგენის აღმოჩენით ისარგებლეს ძმათა რენარკმა (ლიონ-
ში) და შემოიღეს ხმარებაში ვრცლად ეს საღებავები.
დღეს კი ხელოვნურ საღებავების ფაბრიკაცია (დამზადება)
ისე გავრცელდა, რომ კეთდება ყოველწლობით 140 და
150 მილიონი ფრანკისა. ამ ხელოვნურ საღებავებს საძირ-
კვლად დაედოთ ოთხი ნივთიერებანი: ბენზისი, ანთრა-
ნაკვანთი და ანტრაქინი, რომლებიც მზადდება სხვა და-
სხვა ზეთების, უმეტესად კი ნავთის ლექიდგან, ფსიდი-
გან და კუპრიდან, რაბიცი წინად იყვნენ ტყუილად უსარ-
გებლოდ ქარხნებში, სწამლავდენ და ამყარებდენ ჰაერს,
სვრიდენ იქაურობას, არ იცოდნენ კი. რა ეყოთ ამ დანარ-
ჩენ მასალისათვის. იმ ოთხ ზემოთქმულ ნივთიერებიდგან,
ე. ი. ბენზინიდან, ფენოლინიდან, ნავთალინიდან და ან-
ტრაკენიდან სხვა და სხვა ქიმიურ მარტივ და რთულ
ელემენტთა და ნივთიერებათა ზეგავლენით (რეაქციით)
შეპქმნეს აურაცხელი საღებავები, მაგ.: ალიზანისი, სოფრან-
სინი, ანილინი, დიფენილამინი, ციტრონისი, რუკ-კონგო, რუკ-

სო, პურბურანი, რაკსელინი, კროცეინი, ბორდო, ამარანტი, აზო-ბლე და სხვა და სხვა.

რაც შეეხება აბრეშუმის შეღებვას, იგი ხდება ისევ ზემოთქმულ აუზებში, რომელშიაც ხსნიან საღებავს და რომელშიაც აბრეშუმს ჩაჰკიდებენ ჯოხით. გარდა ამისა არსებობს ამ ჟამად მშვენიერი საღებავი მანქანა ბ. კორრონისა, (Machine à teindre en flottes de M. Corron). მაგრამ საღებავის როლი მით არ თავდება, რომ მხოლოდ ფერი მისცეს. ფერთან აბრეშუმს უნდა მიეცეს ელფერი, ელვარება, სიმსახრე (élasticité), სინაზე, სინარნარე და სხვა აბრეშუმის ღირსებანი. ამ შემთხვევაში დიდი მნიშვნელობა აქვს საღებავის ღირსებას, წყალს, მანიპულიაციას და მეტადრე ერთგვარ საჭიშვე მანქანებს, რომელთა შემწეობით აბრეშუმი იკიმება და ეძლევა ის ზემოხსენებული ელვარება-სინაზე. ამ გვარ მანქანას უწოდებენ შვეილეზს (chevilleuse). შვეილეზის შემდეგ აბრეშუმს ატარებენ კიდევ მეორე მანქანაში, რომელსაც ეწოდება ეტირეზ-ლაუსტრეზი (etireuse lustreuse) და რომლის დანიშნულებაა მისცეს ფერს მეტის-მეტი კაფა და ელვარება. მას შემდეგ აბრეშუმს ჰვენენ და აშრობენ სეშუარში (საშრობ ოთახში), რომელიც მუდამ ბნელია და საოცარი სუფთა.

მაგრამ გარდა დართულ-დაურთველი ძაფისა ტინტურში ხარშვენ და ღებვენ გამოუხარშავ აბრეშუმის ქსოვილებსაც. ამას ხშირად ჩაღიან წმინდა ქსოვილებისათვის, რადგან, როგორც ვიცით, გამოუხარშავი ძაფი (რომელშიაც წებოა) ბევრად უფრო მაგარია, ვინემ გამოხარშული, ამიტომ, რომ ძაფი არ დაუწყდეთ წმინდა ნაქსოვისათვის, ჯერ ქსოვენ მათ დამერე, რაგვარადაც სურთ, ისე ხარშვენ და ღებვენ. მათი ოპერაციებიც (ხელობა) იგივეა, რაც

უბრალო ძაფისათვის; იგივე თბილი ან ცხელი სოდიანი ან საპნიანი წყალი, იგივე საღებავები და სხვა; მხოლოდ ჯოხის ნაცვლად ნაქსოვებს ჰკიდებენ აუზებში ხის ცილინდრებით და შესაღებავად და საჭიმავად არის აგრეთვე მოგონილი განსაკუთრებითი მანქანა, რომელსაც ეწოდება ფარჩუელის საღებავი მანქანა ბ. კარრონისა (Machine à teindre en pièce).

IX

3. ტისაჟი ანუ ქსოვა.

ახლა გადავიდეთ ტისაჟზედ. აბრეშუმის ინდუსტრიაში ყველაზედ უპირველეს ნაწილს წარმოადგენს ტისაჟი, იგი ამასთანავე ყველაზედ უფრო სამნიშვნელოა, მაგრამ სამწუხაროდ მისი აღწერა უსურათოდ ფრიად ძნელია; ერთ-ჯელ თვალით ნახვით, ან სურათებით ადამიანი ერთი ათად უფრო ადვილად გაიგებს, ვინემ ვრცელი აღწერით. მიუხედავად ამისა ვეცდებით მაინც გავაცნოთ მოკლედ მკითხველს ევროპიული ქსოვა.

აბრეშუმის ქსოვა ევროპაში წინად იყო ფრიად სადა, იგი სულ ერთიან გადმოღებული იყო აღმოსავლეთიდან (ე. ი. აზიიდან), უმეტესად ჩინეთიდან, ინდოეთიდან, და სპარსეთიდან. ყველაფერს აკეთებდნენ ხელით და უბრალო მანქანებით (საფეიქროებით). დღეს კი ტექნიკურ მეცნიერების საშუალებით ევროპის გენიოსობამ შეჰქმნა აურაცხელი მექანიკური მანქანები და მით ერთიან გარდაქმნა და გააძლიერა ტისაჟის ინდუსტრია.

როგორც წინადავსთქვით, ტისაჲი შეიცავს რამდენიმე ნაწილს, რომლებიც ისე გართულდნენ ამ ჟამად, რომ წარმოადგენენ განსაკუთრებულ ინდუსტრიებს; პირველი ნაწილი ტისაჲისა შეიცავს შენისა და ტრამის დაქსადებას, ე. ი. ქსელისა და ჩასაქსოვის დამზადებას, მეორე—სურათებისა და კარდონას (მაყაოს) მომზადებას სხვა და სხვა სახეებისათვის; მესამე—თვით ქსოვას და მეოთხე ნაწილს კი ეძახიან ფინისაჲს (finissage) და აპრეტს (apprêt) ე. ი. ფარჩეულობის გაწმენდას და გაუთოვებას.

ტისაჲის პირველ ნაწილში შედიან ა) დეკადჲჲი (ანუ ძაფის ლოტრებზედ დახვევა), ბ) კანეტჲჲი, ანუ ძაფის კანეტებზედ (მაქოში ჩასადებია) დახვევა, გ) ურდისაჲი, ანუ ქსელის გაბზა და დ) ჰლიაჲი, ანუ ქსელის რვილზედ დახვევა. შევეხოთ მოკლედ.

ა) დეკადჲჲი. საქსოვად დამზადებული, გამოხარშულ-შედებილი ან გამოუხარშავი ძაფი შულოებიდგან გადააქვთ ლოტრებზედ ერთგვარ მანქანით, რომელსაც ჰქვია დეკადჲჲი (devidoir ou mécanique à dévider). დევიდუარი ორ-გვარია—გრძელი და მრგვალი. გრძელს ხმარობენ დიდ ქარხნებში, რგვალს კი პაწია ატელიებში (სახელოსნოებში). მასთან ცდილობენ, რომ ლოტრებზედ დახვეული ძაფი იყვეს ფრიად თანასწორი და თან ერთი და იგივე სიგრძისა; ამისათვის ხმარობენ ერთგვარ მანქანას, რომელსაც ჰქვია შესასწორებელი მანქანა (machine à détraîner.)

ბ) კანეტჲჲი წარმოადგენს კანეტებზედ დახვევას. მაქოებით ჩასაქსოვ ძაფს ლოტრებიდგან ახვევენ კანეტებზედ, ლერწმის ან ბზის ხის პაწაწა ლულებზედ, რომლებსაც შემდეგ სდებენ მაქოში. კანეტებზედ სახვევ მანქანას ჰქვია კანეტჲჲი (cannetière).

გ) ურდისაჲი — ეწოდება ქსელის დამზადებას. ამისათვის იღებენ ლოტრებზედ დახვეულ და საგანგებოდ არჩეულ ძაფს, რომელსაც ეძახიან ორგანსენს. ამ ლოტრებს 40-დან ვიდრე 200-მდე და მეტს ამარგებენ ერთ ფართოსა და გრძელ დაფაზედ (ფიცარზედ), რომელსაც ეძახიან კადრს (cadre). აქედგან ძაფები გადიან რკინის დახვრეტილ სიფრიფანაში, შემდეგ სავარცხელში და ეხვევიან დიდს რვილზედ (ცილინდრზე), რომელსაც ეძახიან ტამბუკს. მასთან ცდილობენ ისე რიგად დაახვიონ და დააწყონ ძაფები, რომ ყოველი ძაფის მონახვა სწრაფად შეიძლებოდეს. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს ქსოვაში ძაფის გაწყვეტის დროს. ამ ქსელის დამზადებელ მანქანას ჰქვია ურდისუარბი (ourdissoir). იგი ბევრი სისტემისაა. უმთავრესად ცნობილია ორი სისტემა სალაიერას ურდისუარბა და დაეჯერაშას. ურდისუარბს ამუშავებენ ხელითაც და მექანიკურ ძალითაც.

დ) ზღიაჲი შეიცავს ქსელის პატარა რვილზედ დახვევას და მით საქსოვად დამზადებას. ქსელს ახვევენ რვილზედ ან პირდაპირ ტამბურიდგან, ან არა და ტამბურიდგან ქსელს ახვევენ ჯერ მურგვად, შემდეგ მიაქვთ სხვა სპეციალურ სახელოსნოებში და შლიან ამ მურგვებს და შესაფერის მანქანით ახვევენ რვილზედ.

მეორე ნაწილი შეიცავს სურათების და მაცაოს (კარდონის) მომზადებას ანუ უკეთ — საქსოვ სახეების შედგენას. მკითხველმა კარგად იცის, რომ ყოველგვარი ქსოვილი წარმოადგენს ორს უმთავრეს ტიპს: უსასხოს და სასასხოს; პირველი ფრიად სადაა და მარტივი, მეორე კი მეტად თუნაკლებად რთული. ჩვენ ვიცით, რომ კაცის ესთეტიკურმა გემოვნებამ ანუ უკეთ გრძნობებმა წარმოშობებს ქვეყნად ყოველივე ხელოვნება და მასთან ქსოვის მოგონე-

ზისათანავე ადამიანი ცდილობდა მიეცა ნაქსოვისთვის სხვა და სხვა სახე, ფერი და მით დაეკმაყოფილებია თავის გემოვნება. თავდაპირველად მხატვრობის და ქსოვის ტექნიკის განუვითარებლობის გამო ნაქსოვთა სახეებიც იყვნენ მარტივი და უშნონი. დღეს კი ეს ორი დარგი ისე განვითარდა, რომ მაგ. ევროპაში არამც თუ შეუძლიანთ მოქსოვონ შესანიშნავ სინამდვილით და გემოვნებით ყოველგვარი ყვავილები, ცხოველები და მცენარეთა სახენი; არამც თუ ქსოვენ საოცარის სინამდვილით ადამიანის და გამოჩენილ კაცთა სახეებს, არამედ უმაგალითო ხელოვნებით გამოჰყავთ ქსოვილებზედ უუძნელესი პეიზაჟები, უუნაზესი და უურთულესი მხატვრობანი (შე-დეგები) თავის ყოველივე ფერადებით და ნიუანსებით. ამ შემთხვევაში საფრანგეთის (ლიონის) ხელოვნებამ გადააჭარბა ყველას და მსოფლიო ტისაჟში დაიჭირა უპირველესი ადგილი.

დღეს ხალხის განვითარებასთან ფრიად განვითარდა და გართულდა მუშტრის გემოვნებაც; ამიტომ ტისაჟის დიდ მქარხნეებს ჰყავთ განსაკუთრებითი სპეციალისტები, რომელთა შორის ერთი იგონებს ათას გვარ სახეებს (მოთხოვნილების გამო) და ხატავს, მეორეს გადააქვს იგი კანვაზედ, მესამე კითხულობს ამას და გადააქვს მაყაოზედ, მაყაოს-საჭრელი მანქანის საშუალებით; მეოთხე და მეხუთე მართვენ საფეიქროს (მეტიეს) და აბმენ ქსელს; მეშვიდე, მერვე და მეთექვსმეტი ქსოვენ, სწმენდენ და აუთოვებენ ფარჩეულს და სხვა. ასე რომ თითქმის ყოველი ნაქსოვი გაივლის ხოლმე რამდენიმე კაცის (სპეციალისტის) ხელში და ბოლოს მშვენიერად დასრულებული ამკობს მალაზიებს და იტყუებს მუშტრის თვალს. მესამე ნაწილი შეიცავს თვით ტისაჟს (ქსოვას). მქსოველს ეძახიან ფეიქარს (კანიუ—canut), საქსოვ მანქანას კი საფეიქროს (მეტიე). თავდაპირველად ეს

მანქანა ევროპაში იყო ფრიად მარტივი (აზიელი); იგი შესდგებოდა დგიმიდგან, საეარცხლიდგან, მაქოდგან და ლისებიდგან (lisses). თვითო მანქანას უნდებოდა ორი ან სამი კაცი ან ქალი. დღეს კი ჟაკარდის გენიოსურმა მოგონებამ, თუმცა გართულა და განავითარა მანქანა, მაგრამ მუშა ხელი თითო მანქანაზედ შეამცირა. იმავე დროს მათი მუშაობა გარდაქმნა ორ-სამებრ უფრო ნაყოფიერად. ჟაკარდის, ამ უბრალო ლიონელ მუშის, მაგრამ გენიოსის მოგონება გამოისახება ლისების და მარშეს შეცვლაში; მათ მაგიერ ამ საუკუნის დამდეგს ჟაკარდმა მოაწყო დახვრეტილი მაყო, რომელიც ფრიად აადვილებს მუშაობას და მეტადრე სახიან ფარჩეულის ქსოვას. თვით ჟაკარდის გამოგონებას კიდევ მეზიდმეტე-მეთვრამეტე საუკუნეში მოუმზადეს ნიადაგი გალანტიემ, ბლანშმა, ბეშონმა, ფალკონმა, პონსონმა და ვერზეიმ, რომლებმაც თავთავის მხრივ შეიტანეს ცვლილება და გააუმჯობესეს პირველი ანუ პრიმიტიული საფეიქრო და რომელთა ღვაწლი არ უნდა იყვეს დავიწყებული აბრეშუმის ისტორიაში.

დღეს ჟაკარდის მაყო შესცვალეს (გათხელეს) და გააუმჯობესეს კურდღლმა და ვინსენზიმ. ამას დაერთო კიდევ ჟაკარდის სისტემის მექანიკურ მანქანების მოგონება (სხვა და სხვა სახისა), რომლებიც მოქმედებენ მექანიკურის ძალით (ორთქლით, გაზით ან ელექტრონით და ჰქმნიან 3—4-ჯერ მეტს, ვიდრე ხელის მანქანა. მასთან ორ მანქანას თამამად ამუშავებს ერთი ფეიქარი, რითაც დიდი ეკონომია ხდება მუშა ხელში; ასე რომ ამ ბოლო დროს მექანიკური მანქანები უფრო და უფრო შემოდინან ხმარებაში, სჯობნიან ხელის საფეიქროებს, ხდებიან დიდ ფულიან ბურჟუების საკუთრებად დიდ ქარხნებში, რომლებიც ფარჩეულობის გაიაფებით და მეტოქეობით აღატა-

კებენ და სპობენ წვრილ მობხლეეთ. მასთან ცნობილია, რომ ხელით მოქსოვილი ფარჩეული-სჯობია მექანიკურად მოქსოვილს, თუმც ეს უკანასკნელი ბევრად უფრო იაფია, და დღემდე ეს მექანიკური მანქანა ვერაა ისე გაუმჯობესებული, რომ იმისთანა კარგი ფარჩა მოქსოვოს, რომ ხელით ნაქსოვიდგან არ განირჩეოდეს. ამიტომ არიან მრავალი ძვირფასი ფარჩეული, რომლებიც იქსოვებიან მხოლოდ ხელით და ღირს თვითო ადლი (მეტრი) რამდენიმე ასი და ათასი ფრანკი.

როგორც ვსთქვით, საერთოდ ფარჩეულობა იყოფა ორ უმთავრეს ტიპად: უსაფ და ფასოსაფ, ე. ი. უსასაფ და სასასაფ. გარდა ამისა საზოგადოდ უნის ყოველიფერი ქსოვა არის დამყარებული ოთხგვარ სისტემაზედ: ტაფტა, სერჟე, სატენი და სკეჯი.

1) ტაფტა ანუ სწორი ქსოვილი, ყველაზედ უფრო მარტივია, მტკიცე და გავრცელებული. იგი ყველაზედ უძველესი ტიპია. ტაფტას ქსოვის დროს რიგ-რიგად ქსელის ნახევარი ნაწილი აღის ზევით, ნახევარი კი რჩება დაბლა. ტაფტას ტიპს წარმოადგენს მაგალითად ჩვენი ღაჩაა, ევროპაში ამ სისტემის ოდნავ შეცვლით ჰქმნიან სხვა და სხვა ქსოვილებს, მაგ.: ფლორანსი, მასსელანი, გროდეუსენდი, გროდეტუაი, გროდოჩანი, პულტ დე-სოა, ფაი, კრეპი, პოპელიანი, გაზი და სხვა.

2) სერჟე ეწოდება აღმაცერად ნაქსოვს. იგი შესდგება 3—12 ძათამდე. სერჟე წარმოადგენს უფრო ლამაზ სახეს, ვინემ ტაფტა. სერჟეს ვარიაციით (ოდნავ შეცვლით) წარმოიშობენ მრავალი სხვა და სხ. ქსოვილნი, მაგ. ბატჯია, ლეკანტინი, ვიოლიანი, რა-დე-სენ-მარი და სხვა.

3) სატენი ანუ ჩვენებურად ატლასი ფრიადნაზი და ლამაზი სისტემაა. მისი ქსოვილები ფრიად ბრწყინვალეა,

თუმც არაა ისე გამძლე და მავარი, როგორც სერეე და ტაფტა. სატენის ქსოვა შესდგება 5-დან ვიდრე 64 ძაფამდე. სატენის სხვა და სხვა ვარიანტით შეადგინეს შემდეგი ქსოვილები: სატენ ალაჩენ, სატენ ჰაენსეს, სატენ დიუშეს, სატენ მერსეიე, ალსიონა, რადამესი და სხვა.

4) საკერდი თავისთავად არ წარმოადგენს რაიმე განსაკუთრებულ ტიპს. მისი ქსოვა დამყარებულია ან ტაფტაზედ, ან სერეეზედ, ხოლო მისი შენი (ქსელი) ორფაა: ქვედა შეიცავს ძირს (ქვედა პირს) და ჰქმნის ჰაესს, ზეითა კი ბევრად უფრო გრძელია და ჰქმნის ხავერდს ან ჰუალს. ხავერდის ქსოვის დროს ზეითა პირზედ, ყოველ სამ ტრამის გავლებს შემდეგ ქსოვილს უყრიან ხელით რკინის ან სპილენძის მოგძო წვრილ წკებლას, რომლის პირი ოდნავ ღარიანია და ზეიდან გაუსმენ ხოლმე ფრიად ბასრ ფოლადს (დანის მზგაესს), რომელიც სჭრის ძაფს, ჩონჩავს და ჰქმნის იმ ხაოს, იმ ლბილ ლამაზ სახეს, რასაც ეძახიან ხავერდს. თუ ვინცობაა შეუღვეს წკებლები და არ გასჭრეს კი, მაშინ გამოუვათ მეორე გვარი ქსოვილი, რასაც ეძახიან კელურ-ფრაესს. პლიუშიც (peluche) ისე იქსოვება, როგორც ხავერდი, მხოლოდ მისი წკებლები უფრო მომსხობა და მაღალი. ევროპაში პირველად ხავერდის ქსოვა შემოიღეს იტალიაში და მეთექვსმეტე საუკუნეში მას ვხვდებით უკვე ლიონში.

რაც შეეხება ფასონეს იგი წარმოადგენს სახეებიან ნაქსოვს და იყოფა შემდეგ ჯგუფებად: ტაფტა-ფასონე, ღამა, სატენლაჩე, დროკე, ბროკან და ბროკატელ.

ა) ტაფტა-ფასონე შეიცავს ყოველივე სახიან ფარჩეულობას, რომლებიც დამყარებულია ტაფტაზედ.

ბ) ღამა წარმოსდგება სატენის ორ შეერთებულ ზრმიურდთან. დამას ფონი (მინდორი) ბრწყინვალე სატე-

ნისაა, სურათები კი ლიბერია (mat), რომელიც წარმოსდგება ტრამიდგან.

გ) სატენ-ლაშე ანუ ლამპას იგივე დამაა, მხოლოდ სახეების ფერები სრულიად ეწინააღმდეგება ფონის ფერს და ამ რიგად წარმოსდგება მეტად, მზინაფი და მოელვარე ქსოვილი.

დ) ბრუკე ერთ გვარი ფასონია, რომლის სახეები ხავერდოვანია.

ე) ბრუკატელი ეგრეთვე დამაა, რომლის ტრამი ტლანქია და სელისაა, რის საშუალებით სატენის სურათები სამჩნევად ამობურცულია და ბრწყინვალე.

ვ) ბრუკაჩა ანუ ჩვენებურად ოქრომკედი და ვერცხლის მკედი. ამ გვარ ფარჩეულში ჩაქსოვილია ოქროვანი ან ვერცხლოვანი ძაფები. (ამ გვარ ქსოვილთ ხმარობენ უმეტესად ეკლესიებში და მღვდელთა სამოსლად). გარდა ამისა ლიონში ჰქსოვენ ეგრეთვე ლეჩაქებსა (ეუალს, ტიულს), სანტ-ეტიენში — ლენტებს და პარიზში — არშიებს (dentelles).

როგორც წინადა ვსთქვით, საზოგადოდ ფარჩეულს ქსოვენ როგორც გამოხარშულ დამზადებულ ძაფით, ეგრეთვე გამოუხარშავით, რის შემდეგაც ხარშვენ და ღებვენ მას, ან არა და ბეჭდვენ ზედ ხელით ან მექანიკით სახეებს და მით აკეთებენ იაფ-ფასიან ფასონებს მაგვარებს. ამ მანიპულაციას (ხელობას) ეძახიან ფინისაჟს (finissage).

აშკრტი. პირ და პირ საფეიქროდან გამოსულ ფარჩეულობას, რაც უნდა კარგი ნაქსოვი იყვეს, მაინც აკლიბინაზე, სიწმინდე, სიმსახრე და სიელვარე. ყველა ამ თვისებათა სისრულით მისაცემად არსებობს ცალკე ქარხნები, სადაც ფარჩეულს ავლებენ მრავალ მანქანებში, აუთოკვებენ, აღუნებენ, ჰიმვენ, ტრუსვენ ზვითა ხაოს, ან ასწო-

რებენ და სხ. ამრიგად უმატებენ და აძლევენ სინაზეს, სინარნარეს, სიმსახრეს, სიწმინდეს და ელვარებას. მთლად ამ მანიპულაციუს ეწოდება აპრეტი. მისი უმთავრესი ნაწილებია: სალინდრაჟი, გრიაჟი, პოლისაჟი, ანკოლაჟი ანუ გომაჟი, გოფრაჟი და მუარაჟი.

ა) სალინდრაჟი ანუ დაუთოკება. ფარჩეულს გაატარებენ ხოლმე ორს მხურვალე ლითონის რვილს შუა, რის საშუალებით ნაქსოვი უთოვდება, იღებს თანასწორობას, სიმსახრეს (souplesse), ზემო პირი უსუფთავდება და ხდება პრიალა. ამ საუთოვებელ მანქანას ჰქვია კალანდრი (ca-landre ou cylindre à chaud à deux rouleaux).

ბ) გრიაჟი (შეტრუსვა) და რაზაჟი (გაპარსვა). ფარჩეულს ავლებენ ერთგვარ მანქანაში, სადაც გაზის ალის უეცრივ გატარებით იტრუსება იგი და შორდება ზედმეტ ბეწვები, ან არა და მკრეელ სამართებლით იპარსება ის ბეწვები და ხაო. ამ რიგად ნაქსოვი ხდება უფრო სუფთა და ლამაზი. ამ მანქანას ეძახიან სეტრუსის ან სეზარს მანქანას (Machine à griller à deux rampes).

გ) პოლისაჟი ანუ პრიალება. ფარჩეულს ატარებენ ერთგვარ მანქანაში, სადაც ფოლადის ბასრი დანები სწმენდენ მას და აპრიალებენ მეტად.

დ) ანკოლაჟი ანუ გომაჟი (გაწებვა). როცა სურთ რომ ზოგიერთ თხელ და უსწორო ფარჩეულს მისცენ სისქე და თანასწორობა, მაშინ მათ უსმენ. პარაფინიანს, სტეარინიანს ან რაიმე მსუქან ან თაფლის სანთლოვან ნივთიერებას; შემდეგ აშრობენ და უსმენ, რასაც ეწოდება გლასაჟი. ამ რიგად ფარჩეული სქელდება და ხდება ფრიალ მოელვარე. ამის მანქანას ჰქვია სეკებაჟი მანქანა (Machine à gommer).

ე) გოფრაჟი ანუ სასეკების აღბეჭდვა. უსახო ნაქსოვს გაატარებენ ორ რვილს შორის, რომელზედაც სახეებო

ამობურცული, მოუქერენ მაგრად, რის გამო ის სახეები ჩა-
ეჭირება და შით აღიბეჭდება ფარჩეულზედ.

ე) მუარაყი. ეს ფრიად საინტერესო მოგონებაა. ამის-
თვის არსებობს ორ გვარი ან სამ გვარი მექანიკები (*Ma-
chite à apprêter à la râcle, machine à élargir et
machine à dérompre*). ფარჩეულს გაატარებენ მათში, მო-
უქერენ ძლიერ, რითაც მოქექვენ ძლიერ ტრამის ძაფს,
დაღარვენ თითქო, აათამაშებენ სხივებს და შით მისცემენ
ნაქსოვს მრგვალს ან გრძელ მოელეარე ბზინვარებას, რაიცა-
ახდენს ფრიად მომხიბლავ ეფექტებს.

X

საზოგადოდ ფარჩეულის ქსოვამ ევროპაში გაიარა-
ოთხი პერიოდი— ხანა. სულ პირველი ხანა იყო აწიისა-
ანუ ჩინეთისა, მაგრამ ის არა გვაქვს მხედველობაში ამ-
ჟამად. ევროპაში კი პირველ ხანად ითვლება ბაზანტიის
ქსოვილებანი, მეორე ხანად აზახებისა, მესამე იტალიისა და
მეოთხე საფრანკეთისა. ეს უკანასკნელი თავის განვითარე-
ბით, სიფაქიზე-სიმშვენიერით, ხელოვნებით, მხატვრობით,
სინაზით და ფრანციულ მოხდენილ გემოვნებით დგას გა-
ცილებით ყველაზედ მაღლა, ჰხიბლავს მთელს ქვეყანას
და დაიმსახურა მსოფლიო ყურადღება. მთელი ლიონი,
ეს უმთავრესი ცენტრო საფრანგეთის მეაბრეშუმეობისა,
სავსეა შვენიერ და შეუდარებელ ფარჩეულობით. სხვათა-
სშორი აქ არსებობს განსაკუთრებითი დიდებული მუზე-

უმი ფარჩეულისათვის (Musée d'art et d'industrie, dans le Palais de commerce), სადაც თავმოყრილია და შეენიერ რიგზედ დაწყობილი ევროპა-აზიის ყველა ეპოქების ფარჩეულთა ნიმუშები. მზერ ამ უბრალო ჭიქაწრბოლს, რომელიც ადამიანის ხელში გარდაქმნილა შეენიერ ძაფად და ქსოვილებად, ჰმზერ ამ ადამიანის თანტაზიას, გემოვნების და ხელოვნების ტურფა ნაყოფს, ოცდები და თან თითქო ჰკითხულობ ერთ. დარგში მთელ კაცობრიობის ესთეტიკას, კულტურას, ესთეტიკის ევოლიუციას.

1. ბიზანტიის სსს. ევროპის ფარჩეულობის ტიპი ანუ ბიზანტიის ხანა განირჩევა მომსხო ქსელით, ლბილი ტრამით; ნაქსოვი სახეები კი ტლანქია. ქსოვილების სახეებს შეადგენს ხშირად ცხოველნი და ადამიანნი; ზედ გამოსახულია ან ომი, ან ნადირობა, ან ცირკში ჭიდაობა. ზოგან გამოხატულია მეფეებიც. ცხოველთა შორის ხშირად სახავდენ ლომს, სპილოს, მარტორქას, ხოხობსა და ორბს. უფრო ხშირად იყო უსახო ქსოვილები და მათში დიდ მოწონებაში იყო პურპურით (აღისფერის საღებავით) შეღებილები. ამ დროსვე იწყეს ქსოვა ბამბა-აბრეშუმისა, რასაც უწოდებდენ სუბსერეკას (subserica). მაშინ, როდესაც ნამდვილ აბრეშუმის ნაქსოვს ერქვა ლოლსერეკა (holoserica). ბიზანტიაში აბრეშუმის ქსოვა იწყება მეოთხე საუკუნიდგან ქრ. შემდეგ და აღის მერვე საუკუნემდე.

2. ანაბუბის სსს იწყება მერვედან და აღის მეთოთხმეტემდე. იმართება შესანიშნავი საფეიქრონი არაბთა მიერ დაპყრობილ ქვეყნებში, უმთავრესად ესპანიაში და აფრიკაში. ურის ვაჭრები მათ ნაქსოვებს ავრცელებდენ თითქმის მთელს ევროპაში. ამ ხანის ქსოვა უფრო განვითარებულია. ნაქსოვები უფრო ნაზია, რთულნი და სხვა და

სხვა სახისანი, თვით სურათებიც ბევრად უფრო ლაზათი-ანი და კარგად აღსრულებული. აქვე ვამჩნევთ ოქრომკედებს და ოქროქსოვილებს, აგრეთვე მშვენიერ ატლასებს. სახეთა შორის ამ ხანაში სჭარბობს ათასგვარი ხაზები და გეომეტრიული ფიგურები, ყვავილები და ფოთლები; ცხოველთა შორის კი ხშირად სახავდნენ ლომსა და არწივს. ყოველივე აღსრულებულია მშვენიერის ხელოვნებით.

მ. იტალიის სანა. იტალიის ფარჩეულის ხანა იწყება მეცამეტე საუკუნიდგან და თავდება მეთვრამეტეში. იგი აღის უმაღლეს წერტილზე მე-16—17-ტე საუკუნეში. ამ დროს მთელი ევროპა ითვისებს იტალიის გემოვნებას და თხოულობს მის მშვენიერ ფარჩეულს. საფეიქროთა უმთავრესი ცენტრო იყო: ლუკა, ფლორენცია, გენუა, ვენეცია და მილანი. მსოფლიო მოვლენებმა ე. ი. არაბთა იმპერიის დაფუძვამ, ბიზანტიის დაცემამ, ოსმალთა ომებმა და დაპურობამ დასცეს არაბთა სააბრეშუმო ინდუსტრია და მოუმართეს ხელი იტალიის პერიოდის აპყვავებას. თვით ნაქსოვებშიც დიდი პროგრესი დაეტყო იტალიელთ; მათ ფარჩეულში სჭარბობდა ტაფტა, ატლასი, დამა და ხავერდი. ფასონე ფარჩეულებშიაც შექმნეს ახალი გემოვნება და ორიგინალური სახეები, მიატოვეს ნელ-ნელა ბიზანტიელთა და არაბთა წაბაძვა, მოიშორეს თავიდგან ცხოველთა, შცენარეთა და გეომეტრიულ ფიგურათა გამოსახვა და შეირჩინეს მხოლოდ ვაზის და მუხის ფოთლების დახატვა. მათ სურათების უმთავრეს მოტივს წარმოადგენდა რელიგიური სცენები, რომლებსაც ხატვიდენ საოცარის ხელოვნებით, ასე რომ იტალიის მოხელენი და ფეიქარნი შეიქმნენ დიდათ დაფასებულნი საფრანგეთში და ინგლისში. გამეფდა ყველგან იტალიის ხელოვნება. ექვი არაა, მთავარი მიზეზი იტალიის ფარჩეულის და ქსოვილთა განვითარებისა იყო

თუჩნ იტალიის რენესანსი და სულის გაღვივება. აქვე საჭიროა შევნიშნათ, რომ ბ. პარიზეს სიტყვით არაბნი და იტალიელი ყიდულობდნენ აბრეშუმს თავის ქარხნებისათვის აგრეთვე საქართველოდგან.

4. საფრანგეთის ხანა. თუმცა აბრეშუმის ქსოვა საფრანგეთში დაიწყო ისევ მეთორმეტე-მეცამეტე საუკუნოებში, მაგრამ პირობანი არ უწყობდნენ ხელს მის განვითარებას. იგი ძლივსლა სუნთქავდა და ბობლინებდა; იტალიამ ხრმ სულ სული შეუწუხა და დასუსხა ერთიანად, თუმც საფრანგეთის მეფენი, მაგ. ლუი XI-ტე ძლიერ ცდილობდა ფარეულთა ქსოვის გაძლიერებას ლიონში და ტურში; თუმც გამოიწერა მან მრავალი იტალიის მოხელენი, მაგრამ ვერაფერს გახდა. შემდეგი მეფეებიც; როგორც ფრანსუა I, ჰანრი IV და მასთან გამოჩენილი მინისტრი კოლბერი ძლიერ მფარველობდნენ საფრანგეთის ფეიქრებს და ცდილობდნენ აეყვავებიათ ფარეულბს ინდუსტრია ლიონში, ტურში და ნიმში. მათ შორმა და მეცადინეობა არ დარჩა უნაყოფოდ. ამ ქალაქებში გაიმართა კარგი საფეიქრონი. მათ შორის ლიონმა იმ თავითვე დაიჭირა პირველი ადგილი თავის ინიციატურ ნიქით და ორიგინალურ გემოვნებით. ამ დროს ევროპის ისტორიულმა მოვლენებმა შეუწყვეს ხელი საფრანგეთის მებარაშუმეობას. დაეცუნელ-ნელ საყოველთაოდ იტალიის პირველობა და დიდ მნიშვნელობა. მას ჩამოერთვა აღმოსავლეთთან ვაჭრობა. ინგლისმა, საფრანგეთმა და ჰოლანდიამ გააცურეს თავიანთი სავაჭრო გემები ზღვებში და ოკეანებში და დაიპყრეს მრავალი გარეშე ბაზრები. საფრანგეთის აბრეშუმის ინდუსტრიას გაეხსნა გზა. მას დაერთო დანგონის (ფრანციელი) შესანიშნავი გამოგონება ერთ-

გვარი მანქანისა (grande tire), რითაც ადვილად ბეჭდავდა ნაქსოვებზედ უუდიდეს და უურთულეს სურათებს; ამას მიემატა ფრანციელთა გალანტიეს, ბლანშის, ბუშონის, ფალგონის, ვერზიეს და პონსონის მიერ საფეიქროს სხვა-და-სხვა ნაწილების გაუმჯობესება და ქსოვის გაადვილება. ჟაკარდის გენიოსურმა მოგონებამ ხომ დაავიწროვინა და გააბატონა საყოველთაოდ ფრანციელის ხელოვნება და ფარჩეულობა! ამ რიგად საფრანგეთის პოლიტიკურ დიდებასთან, კულტურულ და სოციალურ განვითარებასთან ვითარდება ფარჩეულის ინდუსტრია. თვით ქსოვის ტექნიკამ და სურათების გამოსახვამ ჰქნეს დიდი ნაბიჯი. იტალიის რელიგიური სცენები აქ შეიცვალენ ბუნების დაახლოვებასთან. ფრანციელის ცქრილა ფანტაზიამ და გემოვნებამ ქსოვილებზედ დასახეს ლამაზი მცენარენი, პაწია ბუჩქები, ფოთლები, ყვავილები, თაიგულები და სხვა. მეფრამეტე საუკუნიდან ხომ სრულიად გამეფდა საყოველთაოდ საფრანგეთის ფარჩეულობა. მან დაამარცხა თავის მოსისხლე მტერი იტალია: ამან მიატოვა თავის ბრძოლა. საოცარი სინაზე, სინარნარე და ცელქური, თავქეიფა ფანტაზია, იდილიური სურათები და შევნიერე ხელოვნება ახასიათებენ ამ საუკუნის საფრანგეთის ფარჩეულს. რიველის მოგონებამ ხომ კიდევ უკეთ გააუმჯობესა სურათების დასახვა. მისცა მათ ჩრდილ-ნათელი, ელფერი და ფრიად ნაზი ნიუანსები. მეცხრამეტე საუკუნეში-კი ჟაკარდის და ვერდოლის მოგონებამ, ტეინტურის და მხატვრობის ტექნიკამ და ხელოვნებამ ხომ უზენაესად აღამაღლეს საფრანგეთში ფარჩეულის ინდუსტრია! მექანიკურმა მანქანებმა ხომ ძალიან გააიფეს და მისცეს დემოკრატიული ხასიათი!

ამ მხრივ პირველი აღზავი დბიქირა ლიონმა. ეინარდის სიტყვით ლიონის ფარჩეულმა გააოცა ქვეყანა პარიზის გამოფენაში 1889 წელს, როგორც ათას-გვარობით, ეგრეთვე საოცარის ხელოვნებით, სინაზით, სურათებით, ფერებით და აღსრულებით. ამასთან უნდა აღვიაროთ, რომ საფრანგეთის აბრეშუმის ინდუსტრიის პროგრესი ჯერ არ დამთავრებულა, იგი ვითარდება სამზნევად და მიღის წინ. საერთოდ-კი უნდა აღვიაროთ, რომ აბრეშუმის ინდუსტრიაში მოქმედებს ოთხი ფაქტორი: ხელოვნება, მეცნიერება, ინდუსტრია და კომერცია.

XI

ახლა განვიხილოთ მოკლედ, თუ რა მდგომარეობაშია აბრეშუმის ინდუსტრია ევროპა-რუსეთ-ამერიკაში.

1. საფრანგეთი. აქ თქვენ ნახავთ ორ დიდ ცენტრს: ლიონსა და სენტეტენს. ლიონი მეორე ქალაქია საფრანგეთისა, ჰყავს ნახევარ მილიონამდე მცხოვრებნი და თითქმის მთელი მისი დიდება, სახელი და სიმდიდრე შესდგება ფარჩეულისაგან, წაართვით ფარჩეული ლიონსა და მისი მნიშვნელობა იკარგება. არსად არ იქსოვება ამდენი აბრეშუმი, როგორც აქა. ამ მხრივ მას უკავია პირველი ადგილი, არამც თუ საფრანგეთში, არამედ მთელს ქვეყანაზედ. აქ ქსოვენ ყოველწლობით 3¹/₂ მილიონ კილოგრამ აბრეშუმის ძაფს, ე. ი. ერთ მეტრზედ მისს, რაც იქსოვება მთელ ევროპა-ამერიკაში. პირველად საფეიქროებს ლიონში ვმზერთ მე 15-ტე საუკუნეში, 1417-დან 1478-წლამდე აქ არის მხოლოდ სა-

მრ საფეიქრო, 1554 კი აღის 12,000-დე; შემდეგ პრუ-ტესტანტიზმთან ბრძოლამ, ნანტის ხელშეკრულობამ ძლიერ დასცეს ლიონის მეაბრეშუმეობა, ასე რომ 12,000 საფეიქროდგან დარჩა მხოლოდ 2,000, დანარჩენი, როგორც პროტესტანტები, გაღიხვეწნენ ინგლისსა და გერმანიაში, იქ დაბადეს და ააყვავეს ფარჩეულის ინდუსტრია. 1739 წელს ლიონში საფეიქროთა რიცხვი აღის 7,500-დე, სადაც მუშაობენ 48,500 კაცი და ქალი. 1753 წელს იქ არის უკვე 10,000 საფეიქრო და 60,000 მუშანი. 1787 წელს 18,000 საფეიქრო და 80,000 მუშა, მაგრამ საფრანგეთის დიდმა რევოლიუციამ დასუსტა ძლიერ ლიონის მეაბრეშუმეობა, ასე რომ 1800 წელს ძლივს ვამჩნევთ იქ 2,500 საფეიქროს. მაგრამ ჟაკარდის მოგონებამ მისცა საოცარი იმპულსი ფარჩეულის ინდუსტრიას და კვლავ ააყვავა იგი ლიონში, ასე რომ 1813 წელს დაარსდა უკვე 12,000 საფეიქრო, 1819 წ.—20,000, 1827 წ.—27,000, 1837 წ.—40,000 და 1848 წ.—50,000. ამ რიგად ხელის საფეიქროთა რიცხვი იზრდებოდა საოცარის სისწრაფით, ასე რომ ცოტა ხანში ლიონისა და მის ახლო მახლო საფეიქროთა რიცხვი აღვიდა 120,000-ზედ. მაგრამ გამოიგონეს მექანიკური მანქანები და ხელის მანქანათა რიცხვი შემცირდა. მეტოქეობამ დაამარცხა ისინი, ასე რომ პერმეცელის სიტყვით 1851 წელს ირიცხებოდა მხოლოდ 100,000 ხელის საფეიქრო, და მასთან 20,000 მექ. მანქანა შამბრ დე კომერსის სტატისტიკურ ცნობებიდან-კი სჩანს რომ 1889 წელს ლიონში ყოფილა 90,000 საფეიქრო ხელისა და 20,000 მექ. მანქანა. დღეს-კი იქ მხოლოდ 50,000 ხელის საფეიქროა და 28,000 მექანიკური მანქანა.

მექანიკურ მანქანების გამოგონებამ დაღუპა და სული შეუწუხა წვრილ ფეიქრებს, ეს მანქანები შეიძინეს კაპიტალისტებმა (დიდფულიანებმა), ააგეს დიდი ქარხნები გამართეს ორთქლის, გაზის ან ელექტრონის მობრუნები, მოჰკრიბეს და აამუშავეს აფასი და აფიათასი მუშები (ქალი და ვაჟი); ამ რიგად ფარჩეულის ქსოვა დაიჯინეს იაფად, გააიაფეს იგი მსოფლიო ბაზარზედ და მით გამოაცალეს პირიდან ლუკმა და გააკოტრეს წვრილმანი მწარმოებელნი; რომელნიც იძულებულნი გახდნენ და ხდებიან დღესაც მიატოვონ თავიანთ ხელის საფეიქრონი და შევიდნენ უბრალო მუშებად დიდ ქარხნებში; აქ-კი მუშები შრომობენ დღეში 10 საათს და რამდენსაც მოქსოვენ იმის-და-გვარად ეძლევათ თითო გვარ ფარჩეულზედ გადაწყვეტილი ფასი; აქ ზრბავენ მეტრობით (ადლით). ამ რიგად ქალები იღებენ დღეში 2—3 ფრანკს, კაცები-კი 3—5 ფრანკს-და მეტსაც, მაგრამ აქაურ სიძვირეში აბა რას ეყოფათ ეს ფული! ამ გვარივე სამწუხარო მოვლენა ხდება ლიონის გარდა მთელ ევროპა რუსეთ-ამერიკაში. ყოველ წლოვით ლიონის საფეიქრონი ქსოვენ თითქმის ორ მილიონ ნახევარ კილოგრამ დამზადებულ აბრეშუმს, ერთ მილიონამდე ნედლ შულო აბრეშუმს და შვიდას ათას კილოგრამ ყაქს. მთელი ლიონის ფარჩეული საფასურით აღემატება ყოველ წლოვით 4.000 მილიონ ფრანკს.

სენტ-ეტეიენი. ესეც საკმაოდ ვრცელი ქალაქია. იგი შორავს ლიონს თითქმის 400 კერსით და შეიცავს 100,000 მცხოვრებთ. მისი წარმოების უმთავრესი დარგი არის ქვა-ნახშირი; მთელი ქალაქი ქვანახშირის მადნებზედაა გაშენებული, რომელიც მასთანვე არის მისი კომიდროსი წყარო; ხოლო მასთანვე აქ არ-

სებობს აბრეშუმის რუბანის („rubans-ლენტების“) საფეიქრონი და ქარხნები, სადაც ყოველ წლოვით ქსოვენ 200,000 კილოგრ.; აბრეშუმს, ღირებულს 100 მილიონ ფრანკად.

2.) ინგლისი. აქ ფარჩეულის ქსოვა იწყება მე 14-ტე საუკუნიდან და ბობლინებდა წელა; მე 17-ტე საუკუნის დამლევადამ ეს ხელობა საკმაოდ განვითარდა ფრანციელ მოხელეთა (პროტესტანტთა) წყალობით. მე 18-ტე საუკუნის პირველ ნახევრიდან 1860 წლამდე საფეიქროთა რიცხვი ავიდა ინგლისში 150,000-მდე; მაგრამ ინგლისმა ვერ შესძლო ამ მხრივ ბრძოლა სხვა ქვეყნებთან და მეტადრე საფრანგეთის წინაშე და მის ფარჩეულის ქსოვა ძლიერ დაეცა, ხელის საფეიქროთა რიცხვი შემცირდა 50,000-მდე და მექანიკურ მანქანათა რიცხვი არის 12,000, რომლები ჰქმნიან ყოველ წლოვით 150.000,000 ფრ. საღირსად ფარჩეულს. მიუხედავად ამისა ინგლისს შეაქვს ყოველ წლოვით საფრანგეთიდან, გერმანიიდან და შვეიცარიიდან 260.000,000 ფრ. საღირსადი ფარჩეუდა; ასე რომ ინგლისი თითქმის უუპირველესი მუშტარია საფრანგეთისა.

3.) იტალია. როგორც ზევით ვსთქვით ამ ქვეყანას მე 16—17 საუკუნეებში ეპირა პირველი როლი აბრეშუმის წარმოებაში და მისი ფარჩეული იყო მოწონებული და განთქმული მთელს ქვეყანაზედ. დღეს ისე დამარცხდა იგი საფრანგეთთან, რომ მისი ფრცელი აბრეშუმის წარმოება შეამცირა 14,000 საფეიქრომდე, რომლებიც ჰქმნიან ყოველ წლოვით 40—50 მილიონ ფრანკის ღირებულ ფარჩეულს. ფარჩეულის უმთავრესი ქარხნები და საფეიქრონი მოთავსებულია ქქ. მილანში, ტურინში, ბუკამში და სხვა; დღეს იტალიამ უმთავრე-

სი ყურადღება მიაქცია თავით მებარეშუმეობას და როგორც ვიცით მოჰყავს ყოველ წლოვით 42.000,000 კილო პარკი, რომლიდან ჰქმნის მშვენიერ ფილატიურებით 3 მილიონ კილოგრამ შუღლ ძაფს.

4.) შვეიცარია. ეს პაწია ქვეყანა ძლიერ ეტანება ფარჩეულის ქსოვას. ეს ხელობა არის დამყარებული უმთავრესად 2 ქალაქში: ციურხისში, სადაც 20,000 ხელის საფეიქროა და 4,000 მექ. მანქანა და ბაზელში, სადაც 11,000 საფეიქროა. ციურხისში ჰქსოვენ ჩვეულებრივ ფარჩეულს; ბაზელში კი ლენტებს. ორივეში ფარჩეულის წლიური წარმოება აღის 80 მილიონ ფანჯამდე. ღღეს-კი ამ პაწია ქვეყნის ფარჩეულის ფასი აღის 150 მილიონ ფრაკზედ.

5.) გერმანია. ამ ქვეყანაში აბრეშუმის ინდუსტრია დაიბადა მხოლოდ მე-16-ტე საუკუნეში. მე-17—18 საუკუნეებში იგი განავითარეს ფრანციელმა მოხელე პროტესტანტებმა, რომლებიც გარეკეს სამშობლოდგან ნანტის ედიქტის ძალით და გადმოსახლდნენ გერმანიაში. ღღეს ფარჩეულის ქსოვა არის დამყარებული მხოლოდ ორ პროვინციაში: ზრუსიაში და ბრადენბურგში და მოთავსებულია ორ ქალაში: კრუფელდში და ელბერფელდში. ამ საუკუნის დასაწყისს გერმანიაში ითვლებოდა მხოლოდ 2,500 საფეიქრო, 1880 წ. კი მისი რიცხვი ავიდა 72,000-ზედ, რომელთა წლიური ნაწარმოები აღის ღირებით 225 მილიონ ფანჯამდე. ღღეს-კი ავიდა 300 მილიონამდე.

6.) ავსტრია. აბრეშუმის ქსოვა უმთავრესად დამყარებულია ქ. ვენაში, სადაც ღღეს მოიპოვება 13.000 ხელის საფეიქრო და 2,000 მექ. მანქანა, რომლებიც

ჰქმნიან ყოველ წლიობით 55—60 მილიონ ფრანკის საღირსად ფარჩეულს.

7.) აშხანია. ამ ჩამორჩენილ ქვეყანაში ამ ქამად მოიპოვება 8,000 საფეიქრო, სადაც ამზადდებიან 25 მილიონ ფრანკის საღირსად ფარჩეულს. უმთავრესად-კი ესპანის მეფის სახლობა და გრანდები (არისტოკრატია) იკვეთავენ ლიონიდან ფრიად ძვირფას ფარჩეულს.

8.) ამერიკის შეერთებული შტატები. აბრეშუმის ბნ. ღუსტრიაში არც ამერიკა ჩამორჩა ევროპას. ეს ნორჩი, მაგრამ მხნე და მშრომელი ქვეყანა შეეცდოდა ფარჩეულშიაც თავის ძველს მეტროპოლს და ღრითი დღე მართავს ახალ-ახალ საფეიქროებს; ახალ სისტემას მანქანებს; მათი რიცხვი დღეს 45,000-ზედ მეტია, რომლებიც ჰქმნიან ყოველ წლივ 100—110 მილიონ ფრანკის ფარჩეულს. მოუხედავად ამისა იგი მაინც იწერს ევროპიდან (უმეტესად საფრანგეთიდან) ყოველ წლიობით 180—190 მილიონ ფრ. ფარჩას.

9.) რუსეთი. პარიზის სიტყვით რუსეთში აბრეშუმის ბნ. ღუსტრია დაშვარებულია მოსკოვში, სადაც 10,000 საფეიქროა, ჰეტერბურგში და ყალაღიშინში. ამ ორ ქალაქში ევრეთვე ყოფილა 9,000 საფეიქრო და შექანიკი; სულ-კი მზადდება ყოველ წლიობით 70 მილიონ ფრ. საღირსადი იაფ-ფასიანი ფარჩეული. აქვე საჭიროა შევნიშნოთ, რომ აბრეშუმის მოყვანა დაიწყეს შიდა რუსეთში მე 17-ტე საუკუნეში. მოჰყავთ დღეს სამს გუბერნიისაში: ეკატერინსლავში, ხარკოვში და ჟირინში, რიცხვით 6,000 კალაღიშინში აბრეშუმი.

მ ა ს ა ლ ე ბ ი

ქრისტიანობის დაცემის და ისლამის საბრძოლოების გავრცელების ისტორიისა და საფართოვლო.

ქახაბერის, აჭარის, შუა-ხმვის და ხულოს გამაჰმადიანება.

(ნაამბობი სოფ. ზეარელ 80 წლის სელიმ ალა-იში-ოღლისაგან და გამაჰმადიან თურმანიძისაგან).

დასასრული *)

ოსმალთ აჭარა მაგრა დაიმორჩილეს. მერე გამაჰმადიანება დაუწყეს, მაგრამ საქმე ერთობ გაუჭირდათ. აჭარელებს ოსმალთაგან მოციქულები მოუფიდათ და მაჰმადიანობა განუცხადეს; მოციქულები უკან დაბრუნეს, თან გაატანეს თავიანთი მოციქულებიც და შეუთვალეს ასე:

—ჩვენ გვიმსახურეთ ისე, როგორც გენებოთ, ხოლო სჯულს-კი თავი დაანებეთ, ჩვენ ჩვენს სულს არ დაუპყარგავთ, არ გაემაჰმადიანდებით.

ქართველების ასეთი უარი ოსმალთს ფაშას ძლიერ ეწყუნა. მალე ტრაპიზონიდან ოსმალთს ჯარი მოვიდა და ქახაბერში ომი ატყდა. ომში ოსმალი დაეცნენ,

*) იხ. «კრებული» № VII.

აქარელნიც ბევრნი გაწყდნენ; ბოლოს ოსმალთ ხერხი მოიგონეს და ხალხის ფულით შესყიდვა დაიწყეს. პირველად შეისყიდეს სოფ. ერგე, ბათუმის ზემოდ, კახაბრისა და აქარას შუა და პირველად სოფ. ერგეს ხალხი გამაჰმადიანდა. ოსმალთა, მუსლიმანთა სალოცავი ჯამე პირველად ამ სოფელში გააკეთეს. აქედან წავიდნენ აქარისაკენ და დაიწყეს მეცადინეობა, მაგრამ ვერსად რა მოახერხეს, ვერც თხოვნით და ვერც შიშით ვერაფერს გაამაჰმადიანეს. უკანასკნელნი მივიდნენ სოფ. ორცოში და მცხოვრებთ შესყიდვა დაუწყეს და თან განუცხადეს:

—ერგე გამაჰმადიანდა და თქვენ რას იტყვით?

ორცოს მცხოვრებთ ეს წინადადება ჯერ ეუცხოვათ, ეჯავრათ კიდევ, მაგრამ მალე დამორჩილდნენ ბრძანებასა და მიუგეს:

—ყოველივეს აღვასრულებთ, რასაც-კი გვიბრძანებთ, გავაჰმადიანდებით, მეტი რა გზა გვაქვს!

ესენი მალე გამაჰმადიანდნენ და მეორე ჯამეც ამათში გააკეთეს, კაკაშვილების სახლების მახლობლად. აქედან წავიდნენ მერისში. მაშინ სოფ. მერისში 700 კომლი სცხოვრობდა. ოსმალთ მერისელთაც აცნობეს გამაჰმადიანება:

—ერგე, ორცო და სხვა სოფლები გამაჰმადიანდა და თქვენ რაღას იტყვით, მაჰმადიანდებით თუ არაო?

მერისელთ უარი უთხრეს:

—არ გავთათრდებით. გინდა დაგვზოცეთ და მაგას-კი ვერ ვიზამთ!

რამდენიმე დღის შემდეგ ამათში ჩხუბი გაიმართა. ს. მერისის მცხოვრებთ რიცხვი მთლად გაწყდა; შვიდას კომლში მხოლოდ ერთი გვარის რამდენიმე ოჯახი გადარჩა, ცეცხლამებში. დანარჩენნი: კაცი, ქალი, მოხუ-

ცი, ახალგაზდა და ყმაწვილი გამწყდარან მთლად სჯულისათვის ბრძოლაში. მერისში მაშინ სოფლის სახლები ისე ახლო-ახლოს იყო, რომ კატა ერთის სახლის სახურავიდან მეორე სახლზედ გადახტებოდა ხოლმეო. ეს სახლებიც მთლად დაუქცევიათ ოსმალთ. ბოლოს ცეცხლაძეები გამაჰმადიანებულან. მესამე ჯამეც მერისში დაუდგავთ. აქედგან წასულან შუა ხევის სოფლებში და სოფლელებისათვის უთქვამთ:

— აქარა გამაჰმადიანდა და თქვენ რალას იტყვით, გამაჰმადიანდებით თუ არა? შუახეველნი მოტყუებულან და გამოუცხადებიათ:

— რაკი აქარელნი გამაჰმადიანდენ, მეტი რა გზა გვაქვს, ჩვენც გავაჰმადიანდებითო.

ესენიც გამაჰმადიანებულან. ამათთვის მიუციათ ხოჯები და მეოთხე ჯამეც აქ გაუკეთებიათ. შუა ხევის გამაჰმადიანების შემდეგ ოსმალნი წასულან ხულოში. ხულოში მაშინ ერთი დიდი მღვდელი მჯდარადა ერთიკ ქართველი თავადის შვილთაგანი. ოსმალთ ამათთვისაც განუცხადებიათ გამაჰმადიანების ამბავი.

— ფადი-შაჰის ბრძანება მოვიდა და გეცხადებათ, რომ თქვენ უნდა გამაჰმადიანდეთ.

უფროსს მღვდელს და მმართველს თავადს უთქვამთ:

— ჩვენ ხალხის გამაჰმადიანებაზედ პასუხს ვერ მოგცემთ. ჩვენ რა ვიცით, ხალხი რას იტყვის. დღეს ხალხთან მოვილაპარაკებთ, ხვალ გადავწყვეტთ საქმეს და ზეგ მოგცემთ პასუხს.

ოსმალნი დასთანხმდნენ. დიდმა მღვდელმა და თავადმა ფადი-შაჰის ბრძანება ხალხს აცნობეს, მაგრამ ხალხმა სთქვა:

— არ გვინდა, არ გავმაჰმადიანდებით, დავიხოცებით და მაგას-კი არ ვიზამთო.

გეორგ დღის საღამოს შეშინებული დიდი ძღვედელი და თავადი ხულოდგან სხვაგან გაიქცნენ და დაიმაღლნენ. ხალხი უბატრონოდ დარჩა და ამიტომ მათში დიდი შლილობა მოხდა. ოსმალთ ბევრი აღარ აცალეს და პირველ ბძანებისათნავე დაუწყეს გამაჰმადიანება და ფადიშაჰის ბძანების ასრულება მათ ერთობ ძვირად დაუჯდათ; ზეგნელები ცხარედ იბრძოდნენ სჯულის გამო დათითქმის მთლად გაწყდნენ. ვინც დარჩნენ, იმათ პირობა მისცეს ასე:

— ოღონდ ჩვენ ნუ გავგაჰმადიანებთ და მოგცემთ პირობას, რომ დღეის შემდეგ ჩვენ ჩვენს შვილებს-კი გავაჰმადიანებთო და ასე მოისპობა ერთ დროისთვის ქრისტიანობაო.

ოსმალთ ნება დართეს. ხალხი დარჩა თავისს სჯულზედ, ხოლო ვისაც შვილი მიეცემოდა, ის-კი ოსმალთა «სუნეთს» უნდა მიეღო და გავმაჰმადიანებია. მაშინ მოსიარულე «სუნეთები» აქ ბევრნი ყოფილან ოსმალოდგან მოსულნი. იმ დღიდგან პირობისამებრ ხალხს დაუწყია შვილების გამაჰმადიანება და 10—15 წლის განმავლობაში უკვე გამოჩენილან პატარ-პატარა ქართველი თათრუკები. ერთ ზაფხულის დღეს, ქრისტიან ქართველებს ყანაში მკა ჰქონიათ. ერთ ხნიერ კაცს ერთ ახალ მოზარდ ქართველ მაჰმადიანისთვის უთხოვნია ასე:

— შვილო, თათარო, წადი ერთი დოქი ცივი წყალი მოიტანე. ყმაწვილ ბიქს ძლიერ სწყენია თათრად წოდება და უთქვამს:

— შე თათარი რაში ვიქნები, თათარი-კი არ ვარ, ქრისტიანი ვარ, ქართველი. იქ მყოფთ მიუგიათ:

—რა ვქნათ, შვილო, მაგრე ხარ შენ გადანათლული და ჩვენ რა ვქნათ. ჩვენც არ გვინდოდა, მაგრამ ძალამ გაგათათრა. ყმაწვილი ბიჭი ძლიერ გაგულისდა, გაგულისებულნი საჩქაროდ გაიქცა ყანიდგან. ერთი გოჭი დაიჭირა, ხელდა-ხელ დაკლა, გამოწლა, ხორცი შესწვა მწვადად, მალე ქამა და თან უყვიროდა ხალხს:

—ეხლაც თათარი ვარო! ახლა მაინც არ დამეხსენებითო?

მაჰმადიანობის პატივის-მცემელთ ქართველთ ჯავრი მოუვიდათ და ამათა სთხოვეს მას:

ლდის შემდეგ აღარა ჰქნა შვილო ეგ, თორემ საქმე ცუდად წაგივა. ფაღი-შაჰი შეგიტყობს და მაშინათვე თავს მოგკვეთენ ჯალათებო.

ასევე დაუბრუნებიათ ყმაწვილი დედ-მამას. ყმაწვილს პირობა მიუცია:

—ლდის შემდეგ აღარ ვიზამ ასეთ საქმესა, ლდემბ ხუთჯერ თავაზს ვიზამ, ყოველს ვახტის ლოცვისათვის ჯამეში წავალ, წმინდა მაჰმადიანობას დავიჭერ და ქრისტიანობასა და ქართველებს შეეიჯავრებო. ასეთი ამბები ბევრი კიდევ სხვა მომხდარა მაშინ გამაჰმადიანების გამო. მოხუცებული კაცი და დედაკაცები ხშირად მოგროვდებოდნენ ძველ ეკლესიების გვერდით და მწარე ცრემლებით სტიროდნენ და ქვითინებდნენ ხოლმეო. სოფ. ზვარეს ეკლესიის ნივთები მათ სულ მიწაში დაუმარხავთო.

აქარა და ნამეტურ მერისის ხეობა თუმცა გაწყდა სჯულის გამო ბრძოლაში მაგრამ შემდეგ ისევ გამრავლდნენ, რადგანაც გურიიდან აქ ძლიერ ბევრი გლეხ-კაცობა მორბოდა, მაჰმადიანდებოდა და სახლდებოდა, რადგანაც საქართველოში მემატონეები ძლიერ აწუხებდნენ თავიანთს ყმებს. აგარელებს ხელობად ჰქონდათ

მიღებული, საქართველოში სიარული და გოგო-ბიჭების სყიდვა. ესენი დადიოდნენ გურიაში, ქართლში, იმერეთში და სხვაგან ქართველთ თავად-აზნაურებისაგან ყიდულობდნენ დიდ-ძალ გოგო-ბიჭებს; ამათ მოერეკებოდნენ აქ, ყველას ათათრებდნენ, ზოგს აქვე ასახლებდნენ და მით ამრავლებდნენ მაჰმადიანებს და ზოგიც მიჰყავდათ ტრაპიზონს, სტამბოლს, თურქესტანს და იქაურს დიდ-რონ ფაშებზედ ქართველ ყმაწვილებს ერთობ კაი ფასად ჰყიდდნენ, რადგანაც ესენი უფრო ლამაზ გოგო-ბიჭებით ვაჭრობდნენ საქართველოში.

მერისის ხეობის სოფლებს ერთი დიდი ეკკლესია ჰქონიათ. ეს ეკკლესია სოფ. მერისში ყოფილა გაკეთებული, ხალხის გამაჰმადიანების შემდეგ ოსმალებს ეს ეკკლესია ერთობ მალე დაუქცევიათ საძირკვლამდის, რადგანაც ქართველებზე ერთობ გაჯავრებულნი ყოფილან: ვაი, თუ მერისის ხეობის სხვა სოფლებმაც გვიმტყუნონ და გვეჩხუბონ ისე, როგორც მერისელები შეგვებნენო. მერისის ეკკლესიის ნანგრევებს ხალხი თურმე ახლოს არ ეკარებოდა, უკანასკნელ ხანებში-კი ეს ქვებიც გაუზიდ-გამოუზიდნიათ აქეთ-იქით. ერთი წამლებთაგანი ავად გახდა და მოკვდაო. ასეთ ამბებს მერისელი მოხუციანი ხშირად ლაპარაკობდენ და თან დასძენდნენ:

— ალბად ცოდვა ყოფილა ეკკლესიიდან ქვების წაღება. აქაური ეკკლესიები სულ ჩვენი ძველების გაკეთებულია. ადრე მერისში ეჭთ ალაგას მიწის თხრის დროს «ხაჩი» იპოვნესო, ე. ი. ჯვარი. ჩვენდა საკვირველად მერისის ხეობაში და მთლად მთელს ქართველ-მაჰმადიანებში ჯვარს «ხაჩს» უწოდებენ. ეს წოდება სომხურია. ქართულად ჯვარს ნიშნავს. მე აქა-იქ ვკითხე,

თუ ხაჩს რად ახსანებთ, რატომ ქართულად არ უწოდებთ მეთქი. მათ მკითხეს:

— ქართულად რა ჰქვიან ხაჩს? მე მივუყე:

— ჯვარი. ხაჩ სომხურია. მათ მითხრეს:

— ჩვენი ძველებიც ასე უწოდებდნენ, ოსმალურადაც ასე უწოდებენო. ალბად ოსმალთაგან შენოსულა ეს სახელი და ქართული დაკარგულაო. ყველგან ეკლესიას «ქლესიას» უწოდებენ. წინად ჩვენში ბავშვები რომ ავად გაუხდებოდათ და შეუწუხდებოდათ, ავადმყოფებს ძველს ნაეკლესიარებში ნიიყვანდნენ და ალოცვებდნენო, აქ ლოცვა წამლად მიაჩნდათო. ამის ნაცკლად მოლებმა და ხოჯებმა შემოიღეს ავადმყოფის გვერდით «ყურანის» კითხვაო.

ჩაქვისა და კინტიო ჰოზულეთის გამაჰმადიანება.

(ნაამბობი ს. აჟყვასთაიელის უხეინ ქაშჯარაძისაგან).

მე პატარა ვიყავი, ასე 6—10 წლისა ვიქნებოდი, როცა ოსმალები ბათუმის აქეთ წამოვიდნენ და ციხის ძირს მოადგნენ. რადგანაც მაშინდელი გურიისა და ოსმალოს სინორი ციხის-ძირთან იყო. გურულებსა და ოსმალთ დიდი ჩხუბი მოუხდათ. გურიელები მაშინ ჩვენში ცხოვრებდნენ და ხალხს აქეზებდნენ ომისათვის. ყველაზედ კარგად ჩვენები ომობდნენ. ციხის ძირთან დიდძალი ხალხი გაუწყვიტეს ოსმალთ, მაგრამ ბოლოს მაინც გაქირდა საქმე, ოსმალთა გეძლიეს და ციხის ძირს გადმოვიდნენ, ესენი აქეთ ფეხს ვერ გადმოდგამდნენ, მაგრამ ჩვენში გაჩნდნენ ჯაშუშ-გამცემი კაცები, ესენი იყვნენ სოფ. ზენდიდელი გუვუნავები, ღუმბაძეები და ძვი-

ლი ქობულეთელი ქყონიები. ამათ გვიღალატეს ჩვენ და
ოსმალთ მიემხრნენ. ამათის ხრიკებით ვადმოვიდნენ ოს-
მალნი სინორს და მთლად ჩაქვი დაიჭირეს. მაშინ ჩვენს
მხარეს სახელად კახაბერი ერქვა. კახაბერი, ჩოლოქიღვან
იწყებოდა, აჭარია და ლაზისტანის სინორზედ თავდე-
ბოდა. ასე ამ მხარეს ძველად კახაბერი ერქვა და არა
ჩაქვი. ბათუმი, ქობულეთი, კინტრიში და სხვ.—ეს
ბოლოს შემოვიდა ხმარებაში. ჩაქვის აღების შემდეგ ოს-
მალნი კინტრიშისკენაც მალე ვადმოვიდნენ და მთელი
ეს ადგილები დაიჭირეს. ორი კვირის განმავლობაში
ამათ მთლად დაიმორჩილეს აქაურობა და მერე აქედგან
ხინოსკენ წავიდნენ. ხინოში მაშინ ეკლესია იყო და
იქ დიდი ქეშიში (ეპისკოპოსი) იჯდა. იმ ქეშიშს სხვა
ქეშიშები ჰყვანდა და ესენი სოფლებში დადიოდნენ;
აქედგან ჩუმად აჭარის სოფლებში გადადიოდნენ და იქ
გამაჰმადიანებულის ხალხს რაღაცაებს უშვებოდნენ. ოსმა-
ლებმა ეს დიდი ქეშიში თავის სხვა ქეშიშებით აღარ
დააყენეს იქ, მალე გამორეკეს იქიდგან და უთხრეს, რომ
აქ ერთი ქეშიშიც კმარაო. პატარა მღვდლები სულ წა-
მოვიდნენ და იქ დარჩა დიდი ქეშიში მარტო. ჩვენები და-
დიოდნენ იქ სალოცავად და ცხვარი და ქათმები მიჰყ-
ვანდათ ხოლმე ქეშიშისათვის; ჩვენს გარდა სხვებიც და-
დიოდნენ სალოცავად იქ. ხან-და-ხან ცეკვა-თამაში და
თოფის სროლაც იცოდნენ.

ოსმალების აქ დაბინავენის შემდეგ ჩვენებურები აქ არ
დგებოდნენ და ნახევარი ჩაქვა და ქობულეთი გურიაში
გადასახლდა, სახლ-კარს ოხრად სტოვებდნენ აქ და მი-
დიოდნენ გურიელებისაკენ, რადგანაც აქ გამაჰმადიანე-
ბისა ეშინოდათ. მაგრამ პირველად ოსმალები არ გვამაჰ-
მადანებდნენ, მაგრამ ჩვენებს შინც ეშინოდათ, რადგანაც

ამ დროს აქარა უკვე განმაჰმადიანებული იყო. ბევრნი დარჩნენ აქა და ბევრნი გაიქცნენ გურიისაკენ; გაქცეულები იქ ძალიან დაღარიბდნენ. ჩემი დედის-დედაც გაიქცა და მეც თან წამოყვანა. ჩვენ წაგვიყვანეს ქუთაისისაკენ ერთ სოფელში, სადაც ჩვენი ნათესავეები სცხოვრებდნენ, ჩვენი მეგვარეები. იქ კარგა ხანს დავრჩით. მე კარგად მახსოვს, რომ იქ ორჯელ მაზიარა ეკკლესიაში ჩემმა ნენემ და ღორის ხორციც მიჭამია ბარე სამჯერ (ე. ი. ბევრჯელ). იმერეთში ღორს ძალიან სჭამენ. რამდენიმე ხნის შემდეგ ამბავი მოვიდა, რომ ოსმალები ზალხს არ ამაჰმადიანებენო; ამბობდენ, რომ ჩვენ ძალით არავის გავამაჰმადიანებთო და ამიტომ ყველანი ჩვენის სახლ-კარისაკენ და სოფლებში დაებრუნდებითო. თუ განმაჰმადიანებას დაგვრწყებენ, მერე კიდევ გამოვიქცეაო. ძლიერ ბევრნი დასთანხმდნენ ამაზღდ და დაბრუნდნენ თავ-თავიანთ სოფლებისაკენ. ყველა დაბინავდა თავისს სახლებში. ეკკლესიებში ხუცეები ლოცულობდნენ, ხინოს ხუცესსაც ნება მისცეს სხვა ქეშიშების მიყვანისა. ჩვენც ჩვენს სოფელს აქყვაში დავდექით. ოსმალებს ჩვენ მცირე ხარჯს ვაძლევდით, არ გვაწუხებდნენ, არც სჯულზე გველაპარაკებოდნენ ოამეს. ბევრნი თავადები და აზნაურები კი არ დარჩნენ ჩვენსკენ და გურიაში გადავიდნენ.

რამდენიმე ხნის შემდეგ ოსმალმა დიდ-ძალი ჯარი მოიყვანა და ჩვენი და გურიის საზღვრები შეჰკრა. ზოგი ჯარი სამზღვრებზე დააყენა და ზოგი აქა-იქ სოფლებში: ჩვენ გვეგონა, რომ ჯარი საზღვრების გასამაგრებლად მოიყვანესო, მაგრამ ასე არ აღმოჩნდა. რამდენიმე დღის შემდეგ მთელი კინტრიშ-ქოხუღეთის მამაკაცები ერთ

ალაგას დაიბარეს და გამაჰმადიანება გამოუცხადეს. ხალხ-
მა შესძახა:

—არ შეგვიძლიან, ჩვენ არ გავმაჰმადიანდებოთ, და-
ვიხოცებით და მაგას კი არ ვიზამთ!

ოსმალთ არ ჰქნეს, არ შეისმინეს თხოვნა. ამ ჩხუბის,
დროს გუგუნავა, დუმბაძე და ჯყონაა მაჰმადიანებად
აღმოჩნდნენ; ესენი წინაღვე გამაჰმადიანებულებიყვენ ოს-
მალთ შესყიდვით. ამით იყვირეს:

—პიჭეპო, ჩვენ გავმაჰმადიანდით და რა დაგ-
ვაკლდა? არაფერი. გირჩევთ გამაჰმადიანდეთ თქვენცა.
თორემ ბევრი დაიხოცებით. ხონთქარი ძლიერია. ხალხ-
მა მაინც არ ჰქმნა. ოსმალთ მოთავე კაცები დაიჭირეს.
და ამით სთხოვდნენ, რომ ხალხს გამაჰმადიანება ურჩი-
ეთო. ამით არ ჰქნეს და იმ დროის გამაჰმადიანებული
თავდგირიძეები დიდად ლანძღეს. ამაზედ ჩხუბი ასტყდა.
და ეს კაცები ერთი კვირის შემდეგ ქახათის ზემოთ. ტყეში
დაარჩნს და ეს დამრჩელები რამდენიმე დღეს თოკით
ეკიდნენ ხეებზე. დიდი შლილობა მოხდა, დიდი სისხლის
ღვრა; ოსმალნი ქრისტიანებს აქ არ აყენებდნენ და არც
სხვაგან უშვებდნენ; ჩვენები კიდეც არ მაჰმადიანდებოდ-
ნენ და ამიტომ დღე და ღამე ხალხის ხოცვა იყო, დე-
დაკაცებისა და ბავშვების ტირილი და დიდი უბედურება.

ოსმალთ ბევრი ხალხი დახოცეს, მალე ქახათისკენ,
გემის საპამისკენ ქვის სარჩობელა და თავ-საკვეთი გაა-
კეთეს და იქ ძლიერ ბევრი ხალხი ჩამოარჩეს, მაგრამ
მაინც არ იქნა, ოსმალთ ვერ შეაშინეს აქაურები. ამ
დროს ბებია ჩემი ხელ-მეორედ გაიქცა ოზურგეთისაკენ
და მეც თან წამიყვანა. მაშინ ვიქნებოდი 13 წლისა. მე-
და ერთი ჩვენსავით გამოტყეული ქობულეთელი ჯაში-
გრ. გურიელის პაპასთან დაგვაყენეს და ბებიაჩემი ბა-

ტონს იმას ეხვეწებოდა, რომ ეს ბიჭი არავის მისცეთ, რომ არ გამამაჰმადიანონო. ბებია-ჩემი კი ისევ შინისკენ დაბრუნდა და საქვა: სადაც ჩვენები დაიხოცებიან, მეც იქ უნდა მოვევდეო. ოსმალთ ხალხის გაუმამადიანებლობა არ ჰქნეს და ამის გამო დიდძალი ხალხიც დახოცეს. საქვე გაქირდა. ბოლოს რამდენიმე მღვდელი და კაცი სიმონ გურიელთან მოვიდნენ და შველა სთხოვეს. სიმონმაც პირობა მისცა და ეს მალე სტამბოლში წავიდა, მეც მოსამსახურედთან წამიყვანა; მასთან სხვა თავადებიც იყვნენ. ამათ ხონთქართან მორიგება ჰქნეს და ნება აიღეს, რომ ქობულეთის, ჩაქვის ქართველები არ გამამაჰმადიანონო. ამიტომ მალე წამოვიდნენ და აქაურ ფაშებთან ხონთქრის ბრძანება ჩამოიტანეს და საქმე გაათავეს. ყველა დამშვიდდა, ყველა თავის სახლ-კარის გაკეთებას და გამაგრებას შეუდგა; ყველამ შეიტყო, რომ მორიგება მოხდა და ხონთქარმა ნება დაგვრთა, რომ ქრისტიანება დავიქნეთო. ჩემი ბებია გადმოვიდა გურიაში და მეც უკან წამიყვანა ბატონისაგან, რადგანაც გამამაჰმადიანების შიში აღარ გვაქვს ბატონის წყალობითაო. მეც წაველ; ჩვენსა წასვლა ძლიერ მიხაროდა.

რადგანაც ჩვენ ში გამამაჰმადიანებული აქა-იქ იყვნენ, ამიტომ ოსმალის ფაშებმა აქარიდან ხოჯები და მოლები გამოგზავნეს ჩვენში და ესენი ალოცებდნენ ახალი გამამაჰმადიანებულ ქართველებს. მალე აქა-იქ სოფელ-სოფელ ჯამეების კეთება იწყეს, ჩვენ ხალხს ამაზე ძლიერ მოსდიოდათ ჯავრია. ხოჯა რომ ლაილაჰეს სათქმელად ავიდოდა ჯამეზე და დაიწყებდა ძახილს, ჩვენები ამაზე დიდად ჯავრობდნენ და ამბობდნენ:

—რას ყვირის ევ მ—ი, ეგაო და სხვანი. ხშირად ქვას, ტალახს და ხის ნაქრებს ესროდნენ ხოლმე და გა-

აჩუმებდნენ. მაგრამ იგინი მაინც არ იშლიდნენ თათრულეებ ლოცვას და ჯამეების კეთებას. გამჩენელი ღმერთის ბძანებით ნელ-ნელა თაჯრობა ვრცელდებოდა და მაჰმადიანები მრავლდებოდნენ აქ. მალე იქამდის მივიდა საქმე, რომ ყოველ სოფელში ხუთიდან ათი კონახი იქნებოდა თათრის. თათრებსა და ქრისტიანებში ჩხუბი იმართებოდა ხოლომე და ერთმანეთს ხოცავდნენ. ქართველებს სჯულიდგან გასულები ძლიერ ეჯავრებოდათ. ზოჯა-მოღებმა ხონთქარან იჩივლეს, რომ გურჯები ჯამეებს გვიქცევენ, გვაგინებენ, „ლაილაჰს“ თქმას არ გვაკლიან და ახალ გამაჰმადიანებულთაც ხოცავენო. ამიტომ ხონთქრის ბრძანება მოვიდა ასე: რაც გურჯები არიან მანდა, ყველანი გაამაჰმადიანეთ და ვინც არ გამაჰმადიანდეს, დახოცეთ და ერთკაცსაც ნუ დასტოვებთ გაუმაჰმადიანებლად, რომ საქმე მორჩეს და მოისვენოსო. ქეშიშებიც მთლად გარეკეთ გურიისაკენ და იქიდგან არც არავინ შემოუშვათ თქვენში და არც არავინ გაუშვათო; ვინც იქიდგან შემოვიდეს, დაიჭირეთ და გაამაჰმადიანეთო! თუ არ გამაჰმადიანდეს თავი მოსჭერითო. ვინც მანდედგან გაიქცეს და მოასწროთ სადმე და დაიჭიროთ, ისიც მაშინათვე მოჰკალითო. ბრძანებასთან ერთად დიდი ჯარიც გამოეგზავნათ.

ოსმალი ბრძანების აღსრულებას მალე შეუდგნენ და დაიწყეს ხელ-ვეორედ ხალხის ხოცვა. ერთი საღრჩობელაც ძველ ქობულეთში გააკეთეს, ყოველსოფელს გარშემო ჯარი შემოუყენეს და დაუწყეს გამაჰმადიანებაზედ ლაპარაკი. მაგრამ ხალხმა უარი უთხრა და ამაზედ ჩხუბიც ატყდა; დიდ ძალი ხალხი დაიხოცა, ძლიერ ბევრნი აქეთ-იქით გაიქცნენ, ბევრი დაიღუპნენ, მაგრამ მაინც ბევრი გაამაჰმადიანეს და ბევრი დარჩა ქრის-

ტიანებად; ამიტომ ჩხუბიც გაძლიერდა, გუროილებმა ვეღარაფერი უშველეს.

დიდი ჰმბები მოხდა, ქრისტიანებს ძლიერ გაუჭირდათ საქმე; აქ აღარავის უშვებდნენ, რომ ქრისტიანად დაშთენილიყვნენ და ყველას ხოცავდნენ. ეს რომ ნახეს და აღარც ძალა ჰქონდათ ბრძოლისა, მაშინ ყველანი გამაჰმადიანდნენ, ისე რომ აღარსად სოფელში კაცი არ დარჩენილა გაუთათრებელი მოხუც ქალებს გარდა. ჩვენც მაშინ გავჰაჰმადიანდით, მე მაშინ ვიქნებოდით 16—17 წლისა.

თუმცა გავმაჰმადიანდით, მაგრამ ეკლესიებს და ხატებს-კი პატივს ვსცემდით და ბევრი ჩვენებური ეკლესიებშიაც დაიარებოდნენ სალოცავად და ჯამეებშიაც. ეს ამბები ხოჯებმა ხონთქარს აცნობეს და მალე იქიდგან ბრძანება მოვიდა, რომ ეკლესიები ან დააქციეთ და ან ჯამეებად გადააკეთეთო. ჩვენში ეს ამბები წინაღვე შეიტყეს. ამიტომ ერთ დღეს დილა ადრიან მამაჩემმა გააღვიძა თავისი ძმები, მეც გამეღვიძა, რადგანაც მაშინ ბევრი ვი-ვაგლახებდისაგან ძილი გამკრთალი გვქონდა. მამაჩემმა თავისი ძმები და მეც აჭყვის მთავარ-ანგელოსის ეკლესიაში წავიყვანა. ეკლესიის კარები გააღეს, შიგ ბევრი რამ იყო: წიგნები, ხატები, ფული, ჯვრები და სხვანი, ყველა ესენი ერთად შეკრიბეს და ეკლესიის ზეით ერთი დღი ორმო გათხარეს და შიგ დააწყეს, ზევიდამ ხეები დააყარეს და მერე მიწა მიაყარეს და იქ დამარხეს, რომ ოსმალთ არ წაიღონო. ზევიდამ კიდევ პატარა ღობე შემოაველეს, რომ ნადირი ან სხვა ვინმე არ მივიდეს იმ ალაგზე და არ დაიპილწოსო. ეს რამეები დღევანდლამდე იქ მარხიანო.

(მარადიდში აზმედ-ფენდი-ხალვაშას ნააზობი).

ლივანის გამაჰმადიანება ყველაზედ მეტად კახაბრი-
სა და ჩაქვის სოფლებს ეწყინა. ქართველნი ძალაან
სწუხდნენ ამაზედ. ბევრს მღვდელს მოსდიოდა ჯაფრი,
რომ იმდენი ხალხი გამაჰმადიანეს; ამ დროს მახინჯაური
გურიას ეკუთვნოდა და აქ სულ ქრისტიანობა იყო; აქ
ქრისტიანებს თავიანთი ეკკლესიაც ჰქონდათ. მღვდლად
ყოფილა ვილაც კეკიძე. ამს ხალხში გამოუცხადებია,
რომ მე მარადიდში უნდა გადავსახლდე, იქაურს დიდს
ეკკლესიას უნდა ვუპატრონო.

მღვდელი გადასახლდა მარადიდში, ოსმალთ შვიტ-
ყეს. მარადიდში ყოფნა აღუკრძალეს, მაგრამ აქ სცხოვ-
რებდნენ მახინჯაურელი ხალვაშენები, რომლებმაც კეკიძე
მღვდელს ფაშასთან დახმარება აღმოუჩინეს, თხოვნა მის-
ცეს ფაშას და ფაშამ ახალ-გამაჰმადიანებულთა პატივ-
საცემელად მღვდელს ნება მისცა მარადიდში დარჩენისა
და მხოლოდ ეკკლესიის პატრონობისა, სხვა არაფრისა.
თუ ვნახეთ, რომ ამ ეკკლესიაში, ან გარეთ ვინმეს ალო-
ცებს, მაშინ იცოდეს, ცოცხალი არ დარჩებაო! ამ დროს
საიდუმლო ქრისტიანთ რიცხვი აქ დიდი ყოფილა. ესე-
ნი თურმე ძლიერ ჩუმად დაიარებოდნენ მღვდელთან და
ლოცულობდნენ. მღვდელი აქეთ ბარემ ვს წელიწადს
დარჩენილა და ამას ბევრს გამაჰმადიანებულებში მტკიცე
საფუძველზე დაუმყარებია ქრისტიანობა. გამაჰმადიანე-
ბულთ ისე შეაყვარა ქრისტიანობა, რომ ესენი მღვდელს
ეუბნებოდნენ:

—ჩვენ თავებს დავიკლავთ და ქრისტიანობას-კი არ
დავტოვებთო! ეს ამბები მარადიდის ხოჯამ შეიტყო. ამან
შეკრიბა ყოველის ფერი დაწვრილებით და აცნობა ფა-

შას; ფაშამ კაცები გაგზავნა მკვდლის დასაქერად და მასთან წასაყვანად. მღვდელს კეიძეს ეს ამბავი საიდუმლო ქრისტიანებმა წინაღვე აცნობეს. მღვდელი ერთ ღამეს მარადიდდგან გაიქცა, მაქრიალისკენ წავიდა. თან გამოუდგნენ ფაშისაგან გამოგზავნილი კაცები. ამით მაქრიალში დაიჭირეს და იქვე მოჰკლეს. ამით გათავებულა მარადიდში ქრისტიანობის საქმე.

რამდენიმე ხნის შემდეგ ბრძანება მოსულა, რომ მარადიდის ეკლესია დააქციეთ და დიდი კარგი ჯამე გააყვითო. ბრძანება შეუსრულებიათ. მარადიდის ეკლესია მთლად დაუქცევიათ და ზედ ეკლესიის საძირკველზე დაუდგავთ ის ხის ჯამე, რომელიც მარადიდში დღევანდლამდე სდგას.

(ნაამბობი სოფ. ზენდიდში და ძველს ქობულეთში მცხოვრებთ გუგუნიავასა და დუმბაძის მიერ).

ოსმალებმა მთლად გაამაჰმადიანეს ხალხი. მერე ეკლესიები დააქციეს. ამას შემდეგ ყველას თურმე ჰქონდა ნახატები, ან ჯვარი სახლში; ესენიც წაართვეს. ხალხსაც დაუწყეს თათრული ლოცვების შესწავლა და სწავლება. იმას გარდა ხალხს დაუშალეს, რომ არამც ეკლესიები-საკენ არ გაიარათო. ხალხი ამას ასრულებდა. ესენი ყველაფერს ერიდებოდნენ, მაგრამ ეკლესიებში სიარულიც-კი ძლიერ ედარდებოდათ. დღესასწაულ დღეებისათვის ესენი თავიანთ სოფლებიდან ღამე გაიპარებოდნენ ხოლმე სხვა და სხვა ახლო-მახლო ქრისტიანთ სოფლებში და იქ ესწრებოდნენ წირვა-ლოცვას და დღესასწაულ დღეებს, ნამეტურ, აღდგომა ღამეს ლიტანიას. ასე და ამგვარად ძრიელ ბევრნი დადიოდნენ ეკლესიებში სალოცავად და მიუ ინახავდნენ ცოტად ძველს სჯულს.

ერთ აღდგომა ღამეს ჩოლოქის, განაპირა თათრის-სოფლებიდან რამდენიმე კაცი გავიდა სოფელ ქაქუთის-ეკლესიაში ლოცვაზე დასასწრებლად. ესენი ლოცვას დაესწრნენ და გათენებამდის ყველანი შინ დაბრუნდნენ.. ამათ სახლში ყველას უხაროდათ, რომ ესენი აღდგომა ღამეს ეკლესიაში წავიდნენ. ეკლესიიდან ამათ წითელი კვერცი მოიტანეს. იმ დროებში აქეთკენ სააღდგომოდ ყველგან ღებავდნენ წითელ კვერცხებს. იმ ღამეს სოფ-ქაქუთში ერთ მეოჯახეს ცხენი დაჰკარგოდა. ეს ცხენი ეძებნათ აქეთ-იქით და ვერსად ეპოვნათ. ბოლოს ეფიქრათ: აქ რომ სალოცავად გამაჰმადიანებული ქართველები იყვნენ, უეჭველად ისინი მოიპარავდნენ ცხენებსაო. მეორე დღეს ქაქუთიდან რამდენიმე ქრისტიანი გადმოვიდა, მოსძებნეს ხსენებული კაცები და მათ დასწამეს ცხენის ქურდობა. ამათ უთხრეს:

—ღმერთი, სჯული, რომ ჩვენ არ წამოგვიყვანია.. ჩვენს იქ ყოფნას ნურავის ეტყვიტ აქ, თორემ დავიღუპებოთ. აი ეს რამდენიმე წელიწადია, რაც ჩვენ საიღუმლოდ ვქართველობთ და ნუ გვიზამთ რამე ცუდს!

—მაშ, ცხენი გამოაჩინეთ და არავის რას ვეტყვი-თო, მიუგეს გურულებმა.

ამათ ცხენი ვერ გამოაჩინეს, რადგანაც არც მოება-რათ. ბევრს ეხვეწნენ, ემუდარნენ და ბოლოს იმითი მორიგდნენ, რომ ცხენის სამაგიეროდ ფული მისცეს და გაისტუმრეს. მაგრამ დახედეთ ამათ ავ-კაცობას: ესენი იქიდგან შინ კი არ დაბრუნდნენ, ქობულეთში გადავიდნენ და ცხენის ქურდობა მაინც უფროსს აცნობეს და ყოველივე შეატყობინეს, რომ აღდგომა ღამეს ჩვენსა იყვნენ და ლოცულობდნენო. ამის გამო ხსენებული კაცები დაიბარეს და კინალამ თავები დასჭრესო, ცხენი-კი

მინც ვერ აღმოჩნდაო. ამის შემდეგ ჩუმ ქრისტიან
ოჯახებს ისე გაუჭირეს საქმე, რომ ქრისტიანობას სრუ-
ლიად მოაცილესო. ესენი მოსცილდნენ, წმინდად გამაჰ-
მადიანდნენ და მერე ერთ დღეს გავილენ და ქაქუთში
უთხრეს ქრისტიან დამბეზღებლებს:

- ბიჭო, რა მოგემატათ თქვენ, რომ ტყუილად
დაგვაბეზღეთ? ჩვენ ესლა წმინდად გაგვამაჰმადიანეს და
ჩვენი ცოდვების პასუხის მგებელი თქვენ იქნებით და
თქვენი შვილის-შვილებიო!

საქმე ასე გათავდა და მერე ოსმალოს კაცები სინო-
რის გზებს თვალ-ყურს ადევნებდნენ, რომ ქრისტიანები-
საკენ ჩუმად არავინ გასულიყო. ბევრი მოხუცებულნი-
კი ქრისტიანებად დაშინენ, ნაშეტურ ქალები და ესენი
როცა კვდებოდნენ, ქრისტიანულად მარხავდნენ. ხან მღვ-
დელს გამოიყვანდნენ ჩვენში და იმას დაამარხვინებდნენ
და ხან მიცვალებული გურიაში მიჰქონდათ დასასაფლა-
ვებლად. ბევრჯელ მოხდა ისე, რომ სიკვდილის დროს
ზოგიერთი ახალ გამაჰმადიანებულები თავის ნათესავენს
ავალებდნენ, რომ ჩვენ ქრისტიანულად დაგვასაფლავეთო.
ამიტომ მიცვალებულის ჩვენში დამარხვას ქრისტიანულად
ველარ გაბედავდნენ ხოლმე და მისი ნათესავეები ღამე გუ-
რიაში წაასვენებდნენ და იქ დამარხავდნენ ქრისტიანუ-
ლად საღმრთო; მაგრამ იქაც ჩუმად, რომ არავის ენახა და
აქეთ ამბავი არ მოეტანა. ისეთი შემთხვევებიც მომხდა-
არა, რომ ხანდისხან მკვდრის წამლებთ გზაში ოსმალოს
მომხრე კაცები დახვედრიან, მკვდარი წაურთმევიათ, ან
კიდევ წამლებთ დაუგდიათ მკვდარი გზაში და თვითონ
გაქცეულან დასამალად. რამდენჯერ მკვდარი გზაში და-
რჩენილა და ნადირს შეუქამიაო.

ქართული ენის დაკარგვა შავშეთში.

(ნაამბობი შავშეთის სხვა და სხვა სოფლის მოხუცებულ ქართველითაგან).

არდაპანი (არტაპანი) გამაჰმადიანებულა, იქაური ქართველები ბევრნი სხვაგან გაქციულან, არდაპანის სოფლებში ქართველების ცოტა ხალხი დარჩენილა. ზოგნი შავშეთში გადმოსულან, — მაშინ შავშეთი მთლად ქრისტიანი იყო, ქართულად ლაპარაკობდა. არდაპანის გამაჰმადიანების შემდეგ შავშელებზე წინეთ ფოცხოვი და ქვაბლიანი გამაჰმადიანდა, აქედამაც ბევრი ხალხი გაიქვა გურჯისტანისკენ, იგინიც არ მაჰმადიანდებოდნენ, მაგრამ საქმე გაუძნელდათ. დარჩენა აღარ შეიძლებოდა. ამ ადგილების ხალხმა მალე იწყეს თურქულად ლაპარაკი, მცირე ხნის განმავლობაში მათი ყმაწვილები მთლად შეეჩვივნენ თურქულს და ქართულს ენას ივიწყებდნენ. ამ დროს შავშეთშიაც შემოვიდა თათრობა. შავშელთა მიიღეს მაჰმადიანობა, ამათ მიჰბადეს არდაპანს, ფოცხოვს, ქვაბლიანს და იწყეს მათებურად თურქულდებოდა ლაპარაკი, ყველა სცდილობდა რომ თურქული ესწავლათ, მოლაზოხელებიც არიგებდნენ:

— ჩვენი სჯულის ენა თურქულია; ეცადეთ, რომ ეს ენა დაისწავლოთ, თორემ გურჯიჯა ტქვენი საქმე არ არისო.

ჩვენი სოფლის ხალხი კეთილი ხალხია, უფროსის სიტყვის გამგონი. მათ მოისმინეს მთავრობის და მოლაზოხეების თხოვნა, თურქულ ენის შესწავლა დაიწყეს; თურქულის შესწავლის დროს ქართული ენის შენახვის თავი აღარ ჰქონდათ, ამიტომ დაჰკარგეს ქართული ენა, დაავიწყდათ. დღეს, შავშეთში ქართული ენა არავინ იცის,

შაგრამჩვენ მიინც გურულები ვართ. მე ქართული არ ვატი, მაგრამ ჩემს თავს გურჯს ვუწოდებ. ოსმალნიც ასე გვიწოდებენ. აი ამიტომ დაიწყებიათ შავშელთ ქართული ენა, რადგანაც ესენი მორჩილნი ყოფილან თავიანთის უფროსების.

შეორეს ნაამბობი:

შავშეთის ხალხი გამაჰმადიანებულა, ბევრი მათგანი აქარაში გაქცეულა. რადგანაც გამაჰმადიანება არა სდომნებიათ; შავშეთის სოფლები განახევრებულა, ისე, რომ თითო სოფელში 10 — 15 კომლი მოსახლე დარჩენილა, ამაზე მეტი ცარიელი სახლები. ამ ცარიელ სახლებში საცხოვრებლად ოსმალებს თურქები და ქურთები მოუყვანიათ და დაუსახლებიათ; ამ დროს შავშელნი გამაჰმადიანებულან. მერე გამაჰმადიანებულს ქართველებს თურქებს და ქურთებს შუა ნათესავობა ჩამოვარდნილა, ერთმანერთს ქალებს მიათხოვებდნენ, ქირვათ გაჰყვებოდნენ. რადგანაც ქართველები გამაჰმადიანდნენ, ამიტომ მათ თათრული ენის შესწავლა იწყეს; შავშელთ მალე შესწავლეს თურქული, თურქებმა და ქურთებმა კი ვერ დაისწავლეს ქართული, ამათვის არც იყო საჭირო რომ, დაესწავლათ ქართული ენა. ყველას თათრული უნდა დაესწავლა, რადგანაც ხელმწიფე და მთავრობაც თათრის იყო, ყველა დიდი კაცები თათრულად ლაპარაკობდნენ, ამიტომ ქართველებმა დაივიწყეს ქართული ლაპარაკი, ოსმალურად დაიწყეს საუბარი. ეს საქმეები მაშინ უფრო წავიდა წინ, როცა ქართველებს, ოსმალებს და ქურთებს შორის ნათესავობა ჩამოვარდა. შავშელნიც ხშირად ირთავდნენ ოსმალს და ქურთის ქალებს. რომელ ოჯახშიაც თურქის, ან ქურთის ქალი შესულა ცოლად, იმ

ოჯახის შვილებს ქართული მალე დავიწყებიათ. მე მოვესწარი ისეთ მოხუც ბერ კაცებს, რომელთაც ქართული ლაპარაკი კარგად იცოდნენ. დღეს, მათ შვილის შვილებმა კი ქართული აღარ იციან, რადგანაც ზემოხსენებულ მოხუცებულთა ზოგს ქურთის ქალი მოეყვანა ცოლად და ზოგს თურქისა.

მესამეს ნაამბობი:

მთელი შავშეთის სოფლის ხალხნი სულ ქართველები ვართ, ეს ადგილებიც საქართველოა, ამას ფიქრი არ უნდა. აი ტბეთის ტაძარი, ოპოზის და სხვების მიტომ გაუკეთებიათ, რადგანაც აქ საქართველო ყოფილა. ყველა აქაურს სოფელს, მთას და ხეობას ქართული სახელები აქვს, აი მეც ქართული გვარი მაქვს. ჯინქაროლლი-ჯინქარაშვილი, თუმც ერთი სიტყვა ქართული არ ვიცი. მამაჩემი კი იტყოდა, რომ ჩვენმა ძველებმა ყველამ იცოდნენ ქართულიო. აქ ქართული ენა მიტომ ამოვარდნილა, რადგანაც ფადიშაჰის (სულთნის) ბრძანება ყოფილა. გარდა ამისა, ჩვენ ძველ კაცებს ბრძანება მოსვლიათ, რომ თქვენ შვილებს დღეის შემდეგ ქურთის ან თურქის ქალები უნდა შერთოთო, რომ ყმაწვილებმა თურქული ენის ლაპარაკი დაისწავლონო. ვინც ჩვენ ბრძანებას არ შეასრულებს, იმას სასტიკად მოვეკიდებით, დავსჯითო. შავშელები ბრძანების შესრულებას შეუდგნენ, იწყეს არდაჰანისკენ მგზავრობა, იქიდან ქურთის და თურქის ქალები მოჰყვანდათ ცოლებად, თავიანთ ქალებს კი ქურთებს და თურქებს აძლევდნენ ცოლად. აი ამის გამო დაისწავლეს შავშელთ ყმაწვილებმა თურქული ენა და ქართული დავიწყდათ. თორემ ეს რომ ასე არ მომ-

ხდარიყო, მაშინ ვინ დაავიწყებდა ქართულს ლაპარაკს
შავშელ კაცს! მე ვჰკითხე:

— ეგ ძალიან კარგი და პატიოსანი, მაგრამ ეს რო-
გორ მოხდა, რომ მთელ შავშელთ დაივიწყეს თავიანთი
ენა და ამ ხალხთან ახლოს მდებარე იმერხევის სოფლებ-
ში კი ყველა ქართულს ენაზე ლაპარაკობს, ეს როგორ-
ღა მოხდა, ამაზე არაფერი იცი შენა?

— იმერხეველებზე იტყვიან, რომ ეგენი მთლად ისე
დარჩნენ, როგორც იყვნენო. ოსმალებმა იქ არც ქურთ-
ოსმალები დასახლეს, ამ იმერხეველებს უბრძანეს რომ მათ
ცოლებად თათრის ქალები მოეყვანათ. იმერხევის მორიდება
ოსმალებს არ ჰქონდათ, თვით იმერხევიც ისეთი ადგილებია,
რომ მას ოსმალნი არ ეტანებოდნენ, აქარავის ასახლებდნენ,
შავშეთი კი ყველას მოსწონდა და ნამეტურ ოსმალოს.
ამათ ჰმურდათ, რომ შავშეთში მათი ხალხი არ ესახლა,
ამიტომ მოიყვანეს აქ ოსმალნი. ქურთნი და დასახლეს,
რომელთა მუაზებთანაც შავშეთში ქართული ენა აღრიდ-
განვე მისცემია ამოვარდნას.

მეოთხეს ნაამბობი:

შავშეთი საქართველოა, ჩვენც გურჯები ვართ,
მხოლოდ გურჯული ენა აღარ ვიცით. ჩემი გვარი გორ-
დაძეა, სოფ. ციხისთაველი ვარ. მე ბერი კაცი ვარ და
ჩვენი ბერი-კაცებისაგან შეპიტყვია ასე:

შავშეთში ქართულის დაივიწყება თავის ნებით იქმ-
ნაო. გამაჰმადიანების შემდეგ ქართული ენა ჩვენთვის
აღარ იყო საჭირო, ჩვენ ჩვენს სჯულის ენაზე ვიწყეთ
სწავლება და ქართული მთლად დაგვაივიწყდა. ამის მო-
დავე არავინ იყო. ჩვენ თვითაც დიდათ ვსცდილობდით,
რომ ჩვენი სჯულის ენა დაგვესწავლა, სხვა თუნდ დაგვ-

ვიწყებოდა, ეს არაფერი სადარდელი საქმე იქნებოდა. ჩვენმა ძველმა კაცებმა ქართული კარგად იცოდნენ, თათრული მცირედ, იმათ. შვილებმა და შვილის-შვილებმა ვიმეცადინეთ და თათრული მამებზე კარგად დავისწავლეთ, ამიტომ ქართული დაგვავიწყდა. მე ვპკითხე:

— თქვენ თუ დაგავიწყდათ, რატომ ახალ-დაბის, ჯვარების და გარულუფის სოფლებს კი არ დაავიწყდა, ისინიც ხომ თქვენს, სოფლებს ახლო სცხოვრებენ?

— იგინი ბატონო, ერთობ გვიან გადაბრუნებულან სჯულიდამ, მიტომ არ იტყვიან თათრულს.

— იმერხევი ხომ შავშეთთან ერთად გამაჰმადიანდა, რატომ იქ კი არ დაივიწყეს ქართული?

— ეგ იმიტომ რომ ოსმალები იმერხევს არ ეტანებოდნენ, ქვიანი ადგილია, იქ მცხოვრები კაცი მხნე მუშა კაცი უნდა იყოს და მასთანვე იცოდეს იქაური ადგილების საქმეები. ამიტომ ოსმალები იქ არავის ასახლებდნენ გარედამ მოყვანილებს. იმერხეველებს, მიტომ შერჩათ ქართული ენა. შავშეთიც რომ ასე ყოფილიყო, მაშინ აქაც ა'ე იქნებოდა, მაგრამ შავშეთი ლამაზი ქვეყანა არის, კარგი ადგილებია, ოსმალებმა ეს ადგილები ვერ დათმეს, აქ ქურთები და ოსმალები მოიყვანეს და დაასახლეს, ჩვენი ძველები იმათში არეულან და მიტომ დავიწყებიათ ქართული ლაპარაკი. დღეს შავშეთში ნახევარი თუ ქართველის კაცს არის დარჩენილი, ნახევარი ქურთ-თურქების, და ყველა ესენი ისე ჰგვანან ერთმანერთს, რომ იგინი ერთმანერთისაგან ვეღარ განირჩევიან; ყველას თავის ძველების ამბები დავიწყებიათ და ამბობენ, რომ ჩვენ ძველთაგანვე აქ ვსცხოვრებდით შავშეთშიო, ყველას გურჯად მიაჩნია თავისი თავი. ეს

დღეს უფრო გახშირდა, რადგანაც აქაურებს ეშინიანთ, რომ გურჯათ არ ვსთქვათ ჩვენი თავები, მაშინ შეიძლება, რომ ოდესმე აქედან გაგვრეკონო, რადგანაც ეს ადგილები გურჯისტანია, და თქვენ კი თათარ-ქურთებს აქ რა ადგილი გაქვთო.

მესუთეს, ღრმად მოხელცის ნამბობი.

ჩვენში, აი, ბატონო, აი როგორ ყოფილა სჯული-დამ გადაბრუნება და გურჯის (ქართული) დავიწყება: ოსმალებს გურჯისტანი (საქართველო) აულიათ, მერე ზარუშეთი (ერუშეთი) გამაჰმადიანებულა. ზარუშეთი არდაჰანს (არტანს) იქით არის, ზარუშეთის შემდეგ გოლა (კოლა) სადაც არდაჰანი სძევს. გამაჰმადიანების შემდეგ გოლას და ზარუშეთს ხალხი ცოტა დარჩენილა, ოსმალებს თავისი კაცები მოუყვინიათ და დაუსახლებიათ. იქ დარჩენილი გურჯები ახალ მოსულ ხალხში არეულან, ამათი ენა შეუსწავლიათ და თავიანთი დავიწყებიათ. იმ დროს შავშეთი ქრისტიანი ყოფილა. ჩვენი ძველები ზარუშეთის ერთს ხევში მდგარან, ჩილდირში, სოფ. წყაროს თავში. იქ დიდი ქლესიაც არის. იქილამ აქ მოსულან და დასახლებულან. შავშელებს მაშინ იქით მისვლა-მოსვლა ზრჰქონდათ, რადგანაც სჯულიდამ გადასულები სძულდათ. ტბეთში დიდი ქეშიში იჯდა და ეს არ უშვებდა, რომ შავშელები გამაჰმადიანებულიყვნენ. რამდენიმე ხნის შემდეგ ტბეთის ქლესიოდამ დიდი ქეშიში გააგდეს ოსმალებმა და ქლესიის კარები დაკეტეს; მერე ხალხს გამაჰმადიანება სთხოვეს, შავშელნი მალე გამაჰმადიანდნენ. გამაჰმადიანების შემდეგ შავშელებმა ზარუშეთში და გოლაში გადასვლ-გადმოსვლა იწყეს, იქ ყველი, ერბო, პური და ხილი მიჰქონდათ და ჰყიდდნენ, ამიტომ შეისწავ-

ლეს თათრული ენა; მერე ჩვენში ნათესაობაც ჩამოვარდა, ერთმანეთში ავირიენით და ამიტომ მოხდა, რომ შავშეთში დაიფიწყეს ქართული. ჩვენს გარშემო ზარუშეთში და გოლაში აღარაფერს ლაპარაკობდა ქართულს და ჩვენ აბა რას ვიზამდით? ყველაზე უფრო კარგა ხანს ჩილდირში დარჩა ქართული ენა. მე კარგად მახსოვს, რომ იქიდან ჩვენსა ბერი კაცები რომ მოვიდოდნენ მანძინ ისინი მამაჩემს ქართულად ელაპარაკებოდნენ. მე კი თათრულს ვლაპარაკობდი, მათი ენის არაფერი მესმოდა. ჩილდირში ხან კაიმაკანი იჯდა, ხან ბეგი და აღრე ფაშაც მჯდარა. რაც შავშეთში ქართული ენა დაიკარგა, მას შემდეგ 80 წელიწადი იქმნება, მეტი არა, ამ 30 წლის წინეთ შავშეთში ყველა ბერმა კაცმა და ქალმა იცოდა ქართული ლაპარაკი, თუმცა ისინი თავიანთ შვილებში ქართულს აღარ ლაპარაკობდნენ. შვილებს თათრულს ენაზე ელაპარაკებოდნენ, რომ შვილები თათრულს შესჩვეოდნენ, ამ ცოდნითა ლოცვის ფაშებიც გაეგოთ. ხოჯებიც ამას ითხოვდნენ.

ქოჯუღეთის გამაჰმადიანება.

(გულო ალა კაი კაცის შვილის ნაამბობი).

როცა ქოჯუღეთს გამაჰმადიანება დაუწყეს, მაშინ თურმე ჩვენი ძველები მეტის-მეტი მტკიცე ქართველ-ქრისტიანები იყვნენ. სჯულის გამოცვლა ძრიელ ეძინებოდათ, მაგრამ რას იზამდნენ, «ძალა აღმართს ხნავსო» იტყვიან ჩვენი ძველები, ჩვენც ისე მოგვივიდა, — გამაჰმადიანება გახდა ჩვენს ძალად, ჩვენს იარაღად, ამით, ჩვენ შეგვეძლო სიცოცხლის პოვნა, დარჩენა, წინააღმდეგ შემთხვევაში კი გაწყვეტა. ორში ერთი უნდა ყო-

ფილიყო, ან გამაჰმადიანება და მით სიცოცხლის პოვნა, ან გაწყვეტა და ქრისტიანად დაშთენა და გაწყვეტას ისევ დაშთენა ამჯობინეს, რადგანაც მრავალთ იმედები ჰქონდათ, რომ ამ მხარეს ერთ დროს ისევ ქრისტიან-ქართველები აიღებენ, აქ ისევ ძველებური ცხოვრების წესები აღორძინდებაო.

პირველ გამაჰმადიანების დროს, ჩვენმა ძველებმა ბევრი რამ საეკლესიო ნივთები მიწაში დაფლეს. სადაც კი სოფელი იყო, იქ ეკლესიაც არსებობდა, ეკლესიას თავის ნივთები და წიგნებიც აქვდა, ამ ნივთების უმეტესი ნაწილი სულ მიწაშია დაფლული და შენახული. ამას ჩვენი ძველები მიტომ ჩადიოდნენ, რადგანაც მათ იმედი ჰქონდათ, რომ ამ მხარეში ქართველთა ხმა და ცხოვრება ოდესმე კიდევ გაყვავილდება, კიდევ გამაგრდებიან, მაშინ ამ ნივთებსაც მიწიდან ამოიღებენ და მით ჩვენც მოგვიგონებენო.

ღვთით, ეხლა, აი უკვე მოვიდა ის დრო, ის ხანა, რასაც ჩვენი ძველები ნატრობდენ ეხლა ძველ ნივთებს პატრონობა უნდა, ყველა სოფლის ძველ ეკლესიების თუ ნაეკლესიარების ახლოს. ადგილები უნდა გაითხაროს იქ ბევრი ძველი ნივთები აღმოჩნდება, ბევრს ძვირფასს, უცხო უნახავს კვალს მივაგნებთ. ამას შრომა უნდა მხოლოდ, ცდა და საქმის პატრონობა. ნეტარ-ხსენებულმა კრიგოლ გურიელმა ამ მხრის ამბები ერთობ კარგად იცოდა და მიტომაც მოგზაურობდა აქეთ, ფულს დაღ-შურებლათ ხარჯავდა და მიწას ათხრევინებდა. კარგია, რომ ხსენებული პირის მაგალითებს სხვებმაც მიჰაძონ და აქამდის მიწაში ობლად შთენილ ქართველთ ნივთებს უპატრონონ.

ახალ გამაჰმადიანებულთ მოღლები აი რას ეუბნებოდნენ:

გამაჰმადიანებული თუ ღვინოს, ან არაყს დაღვეს, ან ქართველ კაცს დაუმეგობრდება, იმას სიკვდილის შემდეგ პირში გველი ჩაუძვრება და თავს წელში ამოჰყოფს, სასტიკად დაისჯება.

ასწავლიდნენ კიდევ შემდეგს: რაკი შენ გამაჰმადიანიდი, ღღვის შემდეგ რაკი წმინდა გზა ამოირჩიე ამიტომ ღმერთი ყველაფერს გაბატონებს. შენ ოლონდ ღღეში ხუთჯერ ილოცე და დანარჩენის ფიქრი ნუ გაქვს, რაც გენებოს ის ჰქენი, ჩვენ სალოცავად ვართ გაჩენილები და ქართველ-ქრისტიანები სამუშაოდ; იმათ უნდა იმუშავონ და ჩვენ უნდა ვილოცოთ, იმათ რომ გინდ ჩვენ ნამუშევარიც წავართოთ, ჩვენ ამაზე მაინც არავინ გაგვრისხავს. იყო ისეთი დროც, როცა ჩვენ ახალგაზდა ბიჭებს ჩვენი სჯულის თავი კაცები მაღალს გორაზე აგვიყვანდნენ და გვეტყოდნენ შემდეგს:

— აბა გადახედეთ გურჩიას, აგერ ისინი სამუშაოდ გაუჩენია ღმერთს და ჩვენ კი სალოცავათ, თქვენ ოლონდ ილოცეთ და დანარჩენის ზრუნვა ნუ გექნებად; როცა შეიძლოთ, აგერ დაეციოთ ამ მუშებს, ნამუშევარი წაართვით და იცხოვრეთ მით, ღმერთი თქვენ ამაზე არ შეგრისხავთო.

(მოხუცის შეფანადის ნაამბობი):

ჩვენი ხალხის გამაჰმადიანება, შენი ჰირიჟე, დიდისწვალებით მომხდარა. მე რომ მითხრას ვინმემ: გაქრისტიანიდი, თორემ შვილს მოვიკლავო, მე მაშინათვე გაქრისტიანდები და შვილს კი არავის მოვაკვლევინებ. სოფელ ჩაქვის ხალხი მთლად გამაჰმადიანების გამო გაწყვე-

ტილა ოსმალთან ბრძოლაში; ყველას პირზედ ის ჰქონია, რომ არ გაემაჰმადიანდებით და არაო. ამას გამო ოსმალებს მთელი ჩაქვი გაუწყვეტიათ. მაგრამ მაინც ვერაფერი გაუწყვიათ: თვით ჩვენი ძველები იტყოდნენ და მეც მოვსწრებივარ იმ კაცებს, რომ კინტრინში გაამაჰმადიანეს, ქობულეთსა და ჩაქვის ხეობაში-კი ჩუმად ინახავდნენ ქრისტიანობასა. რადგანაც ხალვაშენების გვარში და გორგანების გვარში მღვდლებს ჩუმად ინახავდნენო. ამათ მღვდლები საერო ტანთ-საცმელით ჰყავდათო, მაგრამ ბოლოს ოსმალებმა შეუტყეს ეს და ერთ დღეს კინალამ დახოცეს კვეტით. როგორც ამბობენ, ჩვენი ძველები ქრისტიანობაზედ ძალიან მაგრა მდგარან, ძლიერ ბევრი უშრომნიათ მის შენახვაზედ და ბევრიც უწვალნიათ და უტანჯნიათ გამაჰმადიანების გამო. ვერ ნახავთ ვერც ერთს ოჯახს ჩვენის ძველებისას, რომ იქ გათათრების გამო დიდი სისხლი არ იყო დაღვრილი. თათრობას მით უფრო ერიდებოდნენ და სძულდათ, რადგანაც თათრობა ძლიერ ძნელი რამ არის, ამასთანავე თუმც სუფთა, მაგრამ დღეში ხუთჯერ ლოცვა ერთობ უძნელებდა ხალხს საქმეს. ჩემის ახალგაზღობის დროს მე მახსოვს კარგად, რომ ჩვენ არც ერთი ლოცვა არაბულად რიგიანად არ ვიცოდით. აქ დიდხანს მეცადინეობდნენ ხოჯა-მოლები. რომ ჩვენთვის ლოცვები ესწავლებინათ, მაგრამ მაინც ვერ გვასწავლეს და ეს დღესაც არ ვიცით ჩვენ.

ხოჯებმა და მოლებმა ერთი ის გვასწავლეს, რომ შენ ქართველი არ ხარ, ქართველი შენი მტერია, ქართველი მურდალია და მისი მომკვლელი თათარი უეჭველად ცხონდება.

გურიელის გაკჰმადიანება და გოთაულობა:

(ქობულეთელის მოხუც ქართველ მაჰმადიანის ნაამბობი).

გურიაში, მებატონეები თავიანთ ყმა კაცებს სდევნიდნენ მათი ყმები ოსმალის საბრძანებებელში მობოდნენ, აქ მაჰმადიანობას იღებდნენ და მით ბატონის ყმობისაგან სამუდამოდ თავისუფლდებოდნენ. გამაჰმადიანებულის ყმობა და პატრონობა არავის შეეძლო. მაჰმადიანობა ქრისტიანის ყმობის ნებას არავის აძლევდა. ხანდისხან ხდებოდა ისიც, რომ გურიილამ აქმებატონენი უადმოდრიოდნენ და თავიანთ ყმებს ეძებდნენ, ყმებს ხშირადაც ჰპოულობდნენ, მაგრამ წაყვანას კი ვერ ბედავდნენ; ვინ მისცემდა ნებას! მაშინ თვით მათაც დაატყვევებენ აქ და ტრაპიზონს ან სტამბოლს უკრავდნენ თავს. ბევრი მებატონე მოსულა აქ, უბრალოდ უვლია, თავის გაქცეული ყმა უპოვნია. მაგრამ მით არაფერი რგებია და შინ ცარიელი დაბრუნებულა.

ამ გარემოებამ მებატონეები სხვანაირად გარდაქმნა, ამათ რა ნახეს, რომ მათი ყმები თავიანთ ნებით მარბოდნენ სხვაგან და მათ სამუდამოდ ეკარგებოდნენ, ამიტომ მებატონეებს ხშირად თავიანთ ყმის შვილები ოსმალის სინორზე (საზღვარი) ნათეს ყანებში მოტყუილებით სამუშაოდ ვადმოჰყვანდათ, ჩვენც იქ ჩავდიოდით, იმათგან, ვყიდულობდით გოკო-ბიჭებს, აქეთ მოკვყვანდა, შემდეგ ტრაპიზონს და სტამბოლს მივერეკებოდით და იქ მაჰმადიანებზე ვყიდდით კაი ფასებად. აი ასეთ მყიდავ-გამყიდავთ სახელად გოთაულები ერქვათ. ჩვენი გვარის კაცნიც მთლად ვგოთაულობდით, ნაყიდის გურულებით ვავავსეთ ტრაპიზონი, სტამბოლი, დიოსბექირი და მიხირშიაც კი მიჰყვანდათ და ჰყიდდნენ კაი ფასებად.

იყვნენ ისეთი მებატონენიც, რომელთაც თავიანთი ყმის შვილები ბათუმში მოჰყვანდათ და აქ თავისუფლად, აშკარად ჰყიდდნენ. ბათუმში ამათვის ბაზარი იყო გამართული, ამ ბაზარში გოგო-ბიჭები მიწაზე დაკუნტულები იხსდნენ, უკან მებატონენი აღგნენ, მყიდველნი მივიდოდნენ, დაარჩევდნენ ყმაწვალებს, ფასზე მოაურიგებოდნენ, იყიდდნენ და მერე მიერეკებოდნენ ოსპალეთში. ასეთის დაყიდულის ყმაწვილებით ხშირად ოსმალის ვაჭრები მთელს გემებს ტვირთავდნენ. ჩვენს გარდა ყმაწვილების ვაჭრობას ოსმალთა ვაჭრებიც მისდევდნენ, მაშინ გოგონა მ. იყიდებოდა და ბიჭი 7 მანეთად.

საქმე ისე მოეწყო, რომ უკანასკნელ, გურიიდან და იმრეთიდან გლეხთაგანნი მთელის ოჯახობით მორბოდნენ. აქეთ, აქ სახლდებოდნენ, მაჰმადიანობას იღებდნენ და მით თავისუფლდებოდნენ საშუდამოდ. რაც კი კახაბრის ახლომახლო სოფლებში ხალხი სცხოვრებს, თითქმის სულ იმერეთიდან და გურიიდან გამოსულები არიან, აქ დასახლებული და გამაჰმადიანებული. იმერეთს და გურულ გოგო-ბიჭების ყიდვა ბათუმში მხოლოდ 1860 წლებში მოისპო, რადგანაც ბათუმში რუსის ვიცე-კონსოლი იჯდა და ეს ნებას არ აძლევდა, მყიდვეებს სასტიკად სჯიდა და დაბატონებულებს აბრუნებდა იმერეთსა და გურიაშივე.

(თავადის გრიგალ დავითის ძის გურიელის ნაშუბო ბი):

მე რუსეთში ვიყავ, იქ ვმსახურებდი, ჩემ ძმას თავის და ჩემ საყმოდან გოგო-ბიჭები დაეგროვებინა, ბათუმში ჩაერეკა და ოსმალებზე დაეყიდნა. ჩემი ყმის ნათესაგებისგან წერილი მივიღე რუსეთში და თან თხოვნა, რომ.

გვიშველეთ რამე, თორემ შენმა ძმამ თავის ყმებს ვარდა თქვენი ყმების სყიდვაც დაიწყო, თქვენ ყმებთაგანს ბევრს ამაჰმადიანებენო. მე მაშინათვე დავბრუნდი რუსეთიდან, ჩაველ ბათუმში და ვინც კი ვნახე ჩემი, ჩემი ძმის და ან სხვა მებატონეთაგან დაყიდულნი და ჯერ არ გამაჰმადიანებულნი, ყველანი დავიხსენი და გურიაში დავაბრუნე. მე რუსეთს დავბრუნდი ისევ.

რამდენიმე ხნის შემდეგ ჩემ ძმას კიდევ დაეყიდნა გლეხები. მოვიდა კიდევ იქ წერილი, თხოვნა და დაყიდულთა ნათესავთ გოდება, მე გავხელდი, დავბრუნდი მეორედ, ჩაველ ბათუმსა, ქობულეთსა და დაყიდულები დავიხსენი და დავაბრუნე გურიას. ჩაველ ოზურგეთს და ჩემს ძმას ვუთხარ:

— შე შეჩვენებულო, შენა, ვერ ხედავ რომ ლამის ქართველობა მოვისპოთ. შენც მალაქია გახდი, შენს ყმებს თუ აღარ ასვენებ, ჩემსას მაინც დაანებე თავი, მე მაინც მომასვენე, რა უბედურება არის ეს? მე მალე რუსეთს დავბრუნდი, მაგრამ მან და მალაქიამ მაინც არ დასტოვეს, არ დაანებეს თავი ჩუმიდ გურულ გოგო-ბიჭების ოსმალეზედ დაყიდვას.

ამ მასალების უმკრებლის გამოც.

დასავლეთ საქართველო საკმარისად ვრცელი მხარეა, იგი იწყება ბორჯომიდან და მიემართება დასავლედ არსიანის მთით ოლთისამდე და სამხრით არმენიამდე. ძველად ყველა ამ ადგილობში ქრისტიან-ქართველები სცხოვრებდნენ, დღეს კი აქ სულ მაჰმადიან-ქართველები არიან, სუნის სარწმუნოების. ყველა ამ ადგილებში

მცხოვრებთ ქართველთა მიიღეს მაჰმადის სჯული და უმეტეს ნაწილმაც დაჰკარგა თავის დედა-ენა, დღეს ქართულს ლაპარაკობენ ბათუმის ოლქში, ართვინის, არდაგანისაში მცირედ, ასევე ყარსის და ოლთისას ძრიელ მცირე, თითქმის იშვიათად. ოსმალში კიდევ არის დარჩენილი აქა-იქ საქართველოს ადგილები, სადაც ქართველ მაჰმადიანები ქართულად ლაპარაკობენ. კაცი როცა ამ ადგილებში დადის და უმზერს ადგილების სივრცეს, სოფლების რიცხვს და გამაჰმადიანებულ ქართველთ, მაშინ ის ჰკვირდება მასზე, თუ ეს ამოდენა ქართველობა ნეტა ოსმალებმა როგორ გაამაჰმადიანეს! ისეთი რა მანქანება და ძალა იქონიეს, რომ ამაზე ჩვენ არაფერი ვიცით? ვიცით მხოლოდ ის, რომ 1713 წ. ახალციხეში, ფაშის ბრძანებით, საქვეყნოდ ოსმალთაგან დახრჩობილ იქმნა ელისე არქიმანდრიტი და რამდენიმეც სხვა სასულიერო პირნი.

ვახუშტი სწერს:— „სამცხეთაში ქართულ ენას გარდა ქართველების ეგუელაფერა მოისწოთ, მცირედ აქა იქ გლეხნი-ღა არიან ქრისტიანეთ, თორემ სხვა ეგუელა გამაჰმადიანდათ.“ ამ ცნობას გარდა „ქართლის ცხოვრებაშიაც“ არის შემდეგი სიტყვები:— „ოსმალთ სამცხე აიღეს, ხალხი განაჰმადიანეს, ეკლესიები დაქციეს, ჯამეები ააგეს, წირვა-ლოცვა მოსწეს, მაჰმადიანულად დაიწყო ღოცვა. თავადებს თავადობა ჩამართავენ და ბეგობა მისცეს, აზნაურებს აზნაურობა ჩამართავენ და აღიობა მისცეს, განწესდა მაჰმადიანობა და ქართველი მოძულეებდნენ ქართველთა და სრულიად მაჰმადიანულს წესს და ჩვეულებასე მიექცოდნენ“. თუმცა ჩვენი ისტორია ასე მოკლედ და ადვილად გადმოგვცემს ქართველთ გამაჰმადიანების ისტორიის ცნობებს, მაგრამ როგორც სჩანს ეს ისე ადვილად არ მომხდარა, ამ სარწმუნო-

ნოებრივ ცვლილებას თავის დიდი, ვრცელი ისტორია ჰქონია ამ იატორიის მასალებს ჩვენ დღესაც ვპოვებთ ხალხში ზეპირად დაშთენილს.

დღევანდლამდე აქა იქ მოხუცებულებს კიდევ შეხედება კაცი, რომლებსაც კარგად ახსოვთ ბევრი რამ გამაჰმადიანების ცნობები, რომლებიც მათ თავიანთ ძველებსაგან გაუგონიათ. ასეთ მოხუცებულებმა ბევრი რამ ამბები იციან ხახულის ტაძრის შესახებ, ურნის, პარხლის, ტბეთას, ზარზმის, ოპიზის, ლოლოს ხანის და სხვების, ჩვენ თუ ამათ ყურადღებას არ მივაქცევთ და არ დავწერთ დღეს ცნობებს, შემდეგ ეს სულ ვეღარ მოხერხდება, რადგანაც 10—15 წლის განმავლობაში ეს მოხუცებულები სულ მიეფარებიან. ამ მოხუცებულთაგან განაგონი ამბების შეკრება ჩვენთვის მით უფრო არის საჭირო, რადგანაც აწინდელი მოღა-ხოჯები ხალხს უქადაგებენ, რომ ქართველნი ოსმალებს ნუ ემდურებიან, ქართველთ გამაჰმადიანება ნებაყოფლობით მომხდარა და არა ძალითაო. ოსმალთ ძალა არავისთვის დაუტანებიათო. ეს პირები წინააღმდეგნი არიან თვით ხალხში დარჩენილ ძველ ზეპირ ცნობების და ამბობენ, რომ ზეპირ ცნობები ტყუილია, ეგ ყველა ქართველების მოგონილიაო. ამას გამოაჩენენ და დაამტკიცებენ ცნობები, როცა კი შეიკრიბება, თუ ქარაველთა რა მწუხარებით, მსხვერპლთა შეწირვით და-სისხლის ღვრით მიუღიათ მაჰმადიანობა.

ბ. ჭ.



ხალხური ლექსები.

(ჩაწერილი სოსიკო მერკვილაძისაგან).

არა ჰქნა ჩვენმა ბატონმა,
შეჭყარა დიდა ჯარა,
ორპირ აავსო ქაზიუი,
ხელთ მისცა წინა მხარია;

აღაზანს გადავს ჯაშარი,
ხედ გადის ჩვენი ჯარია,
აღაზან გადაჰა ჭაღებში
შიგ ბუღობს ღვეკის ჯაჭყა.

ბატონსა ცხენი შოუკელს,
შუბს ეკრეს მჯარბაზანია,
ბატონ ჰქვითა შეუტეკს,
ხელში ეჭირა ხმალია.

ბოსიტაშვილი დათუნი
ცით ჩამოსული ჯვარია,
ცხენი მიართვა ბატონსა
ხელში უბოძა ფარია.

მტერს ისე შემოუჭროდეს,
როგორც გრიკალი ქარია,
დასტეივლა ქართველმა ჯარმა,
მტერსა ავეცნეს თმანია.
კაბეკრეს დაღესტანიცა,
წელთა ჩამოხსნეს სრმალია.

ცინა და ავეყნის ბაასი.

ცა და ქვეყანა შუაბნენ,
მოჭვენენ თავ-თავის ქებასა,
ერთმანეთს ზირში აყრიდნენ
თავ-თავის გულის ვნებასა:

— ცამ უთხრა დედა-მიწას:
— ქებათ არ ვიტყვი ამას,
მე რომ ვარსკვლავებს დავისსავ,
შენ რას იზამ იმის ფასსა?

მიწიმ უთხრა მადლა ცასა:
— კვებნით ნუ იტყვი მაგასა!
გაზაფხულს ავაბიბანებ,
ავაყვავებ ია-ვარდსა.
მე რომ მოსვალს მოვიყვან,
შენ რას იზამ იმის ფასსა?

— შენ რომ მოსვალს მოაყვან,
მე კავუხენ აღმურ ქარსა,

ისეთს გვაღვას დაგვიყენებ, მის
სულ დადგიწვავ მთა და ბარსა.

—საცა მინდა, იმ ადგილას
კამოვადენ წყაროს წყალსა,
ქვეიდან სიგრაღეს მივცემ,
კავუკეთებ უნას თავსა,
დამშუღლებს გამოვკვებავ,
შევიხანავ ქვეუხანას.

—შენს ნათესს და ნამუშევარს
ბღღვირს ავადენ ყველას გარსა,
ელვა-სეტევას გამოვუშვებ,
სულ დავითან მთა და ბარსა.

—სეტევა სიადგან იქნება,
საძირკველი ჩემსე დგასა?
სეტევას შენ ვერ გამოგზავნი,
ზღვიდგან თუ არ მოგცემ წყალსა:
და რომ სეტევა მოიუვანო,
აქ ავანთებ კელაზტარსა,
ქრისტე დმერთსა შეკანირებ,
სულ დაგობნეგს კზა და კვალსა.

—აბა ერთი რად ჰქადრულთბ,
ქებთი რად იტეგი მკასა?
ჰერ ეს მითხარ, ქრისტე-დმერთთ
დას არის თუ ქვეუხანასა?

— აქამდინ აჲ ბრძანდებოდა,
უხლა წამოვიდა ცასა,
შვიდჳერ დაჰქვიცს შენს ღრუბლებსა,
ისე დაბანდება ტახტსა.

ცამ ველარაფერი უთხნა,
ველარ გაწვდა იმის კანსა,
შვიდი ჩარქეთ დასჭარბა
დეღ-მიწამ მადლა ცასა.

არის ერთი რიგი კაცი
ღმერთს ტუუფილად ემადლება,
ათასი რომ ბევრი ჰქონდეს,
კიდევ სხვისი ეხარება,
წაფა მადვით, უურს დაუგდებს
მეზობელი რასა შერება,
ორი შაურის გულისთვის,
ნათელ-მირჩნს შეძულდება,
ორი ტკაფელი მიწისთვის,
ძმას მოკლავს ან შეაკვდება,
ეს კი არ იცის უცნურმა,
კაცი კვდება, მიწა რჩება,
კაი კაცის ზურ-მარილი
ზღვაზე ხიდად ტაიდება.
ნეტაი იმის სოფელსა,
ვისაც ჰკუა გამრეგება!
მშიერს ვაჭმეუხა, მწუურვალს ვასმევთ,
შიშველს შემწეობა ხედება.
ტხა-დაკარგულს ტხას ვასწავლით;

ისიც მაღლად წაგვაღებება.
ას წელიწადს რომ ვიცოცხლოთ,
სულ ერთ წუთზე გათავდება,
ბედის შწერლები მოვიღიან
სართუმალზე დაგვიჭდება,
ცოდვას ვქენით თუ რამ მაღლი—
შველა მაძინ გადაჭებდება.

გამოცანა.

სიბრძნემ თავისა თვისისა
სახლი იშენა ქებული,
მათ შვიდნი სვეტნი შეუდგნა
შვიდივე წმინდათ გებულნი;
სიკვდილით მოკლა სიკვდილი
დაიხსნა ცოდვით კრებულნი,
ამისი ახსნა თქვენცა მწიადს,
ვიცი ვეცი ხართ ცნებულნი.

იოსებ ტფილელი.

ჯასუხი—ხსენა.

სიბრძნე—ქრისტე არს და სახლი—
უბრწო მისი მშობელი,
მუნ შვიდნი საიდუმლონი
წყო მტკნოთა დასამსობელი,
სიკვდილი — ჯვარცმა ქრისტესი,
დახვართა დასასობელი,
თვით მცნობსა—ცხოვსა გებდათ,
რას გპაღრებ მე უცნობელი.

შემოქმედელი.

ამბავი აღექსანდრე ბატონიშვილზედ.

(გაგონალი ხუმელაგელ ოსის ბადურა სალბისაგან)

(ჩაწერილი ქართველი ოსებში-ს მიერ.)

სოფ. ხუმელაგაში სცხოვრებს ერთი ღრმად მოხუცებული 130 წლის ოსი ბადურა სალბი. ეს ბადურა არის სოფ. ძალისში დაბადებული და გაზდილი; ქართულს წმინდათ ლაპარაკობს, თვალით კარგად ჰხედავს და ყურითაც კარგად ესმის და ეკლესიაშიაც კარგად დაიარება. ბადურას ლაპარაკის ყურის გდება სწორედ საამურია, როცა დაიწყებს ხოლმე ტკბილის ქართულით სხვა და სხვა, საქართველოს ძველს-წარსულს ამბებს. სხვათა შორის აი რა მიამბო ბადურამ აღექსანდრე ბატონიშვილზედ: „მე, დაიწყო ბადურამ, გუშინდელივით მახსოვს, როდესაც რომ გიორგი მეფე რუსხელმწიფეს შეუერთდა, აღექსანდრეს ეწყინა. ის სხვა გულის და შეხედულობის ვაშკაცი იყო; გაჯავრებულმა აღარ ინდომა საქართველოში თავის ძმასთან ცხოვრება და იგი გავარდა სპარსეთში. ყიზილბაშთან თურმე რომ მივიდა, მან დიდის პატივით მიიღო და უთხრა აღექსანდრეს: „რა გინდა, მთხოვეო.“ აღექსანდრემ უთხრა: „არაფერს არა გთხოვო; ერთი ცხენი ამარჩევინე შენ ცხენის ჯოგშიო.“ ყიზილბაშმა დიდის სიამოვნებით აახლა მხლებლები. აღექსანდრემ ცხენის ჯოგში ბევრი არჩია ცხენი, მაგრამ კუკაში არ მო-

უვიდა არც ერთი; რამდენხედაც შეეხდა, ყველა წელში ჩაიხიჩქა. შემდეგ მეჯოგეებმა მოახსენეს ალექსანდრეს: «ბატონო! შარშან, როცა ცხენის ჯოგი ზღვის ახლო გვედგა, ზღვიდგან გამოვიდა ერთი შავი ულაყი, ცხენის ჯოგში გაერია და ერთს ფაშატხედ გავიდა. იმ ფაშატმა კვიცი მოიგო, ჯერ წლისა არ არის, და თუ გნებავთ, ის კვიცი ნახეთო». ალექსანდრემ რასაკვირველია, ნახა კვიცი თუ არა, განცვიფრებაში მოვიდა, ისე გაეხარდა, კვიცი წამოიყვანა, დაბრუნდა და ისევ ყიზილბაშთან მოვიდა. ყიზილბაშმა ჰკითხა: რა ჰქენი, ალექსანდრე, აირჩიე ცხენიო? ალექსანდრემ თურმე მიუგო: „ჩემი საკადრისი ცხენი არ არის, შენი საკადრისი ცხენი კი ამოვარჩიეო.“ ყიზილბაშს თურმე ეწყინა ალექსანდრესგან ამისთანა სიტყვები და უთხრა: „როგორ თუ ჩემი საკადრისია და შენი კი არაო?! —ნუ გეწყინებათო, მიუგო ალექსანდრემ, მე იმიტომ მოგახსენებთ, თქვენი საკადრისია მეთქი, რომ ისეთი კარგი ცხენი ავარჩიე როგორც მეფისა, თქვენთვის უფრო საკადრისი არისო.“ მაშინ ყიზილბაშმა მიუგო: „წადი, ალალი იყოს, რომელიც ცხენი მოგეწონაო.“ ეს კვიცი თავის ნებით გახედნა თურმე ალექსანდრემ. ცხენი ისეთი მაღალი გაიზარდა, რომ მარცხენა ფეხის ჩახადგმელი უზანგი გძელი ჰქონდა ხოლმე ალექსანდრეს, რადგანაც ძნელი იყო შეჯდომა იმ ცხენზედ. აგრეთვე ამბობდენ, რომ ალექსანდრეს ალმასები ჰქონდა გაკეთებული ფეხებზედ და ცხენის მკერდზედო. იქიდან (სათათრეთითგან) ამ ცხენით და თავისი ჯარით დაეცემოდა ხოლმე თავის მტრებს და საითაც გაუტევდა, ვაი მათი ბრალი, ვერავინ ვერ უმაგრდებოდა; რასაც ხოცავდა ცხენით და ხმლით, რასაც არა ფეხი

მუხლებზედ რომ ყლიმასები ჰქონდა გაკეთებული. მით უფრო მუსრს ავლებდა მოპირდაპირე მტრებსაო. მოსულ წაშკაცობასთან და გულადობასთან სიმარდევ ხომ ისეთი ჰქონდა ალექსანდრეს, რომ ორი კარგი ჩერკეზული ნაბადი უნდა გაეშალათ ხოლმე სიგძეზედ; ვარჯიშობის დროს ნაბადს თავში ფეხს დაჰკრავდა და ბოლოში ისე გადაეფლებოდა, რომ ნაბდეზს ბევრად კიდევაც გადაშორდებოდაო. ერთხელ ალექსანდრეს თურმე თავისი საყვარელი ცხენი დაუკოკლდა. მან ჩუმად მოიყვანა ცხენი ქიზიყში ერთ ექიმთან და უთხრა ექიმს: „აჲ ასო თუმანი, ოღონდ ეს ცხენი მომიჩინე და ერთ ამოდენას კიდევ მოგცემა“.. დასტოვა ცხენი და მეჯინიბე ექიმთან და თავად კი გასწია ისევ სათათრეთში. ექიმი, რასაკვირველია, ჩუმად სწამლობდა ალექსანდრეს ცხენს. ერთხელ დაასმინეს ალექსანდრეს მტრებს, რომ ალექსანდრეს საკვირველი ცხენი ამა და ამ კაცის სახლში არის და სწამლობსო. რასაკვირველია, მივიდნენ ექიმის სახლში და დააპირეს ცხენის წაყვანა. ალექსანდრეს ცხენი არავის იკარებდა თავად ალექსანდრეს მეტს და მისი მეჯინიბისა. მეჯინიბეს უთხრეს, რომ გამოეყვანა ცხენი და წაეყვანა სადაც უბძანებდენ. მეჯინიბემ უთხრა: „ცოტა მაინც მოითბინეთ, ცხენს წყალი დავალევიო. მეჯინიბემ გამოიყვანა ცხენი ბორკილით (უბორკილოდ ვერ მიჰყვანდათ წყალზედ) და წაიყვანა წყალზედ სარწყულებლოდ. ამ დროს ფეხიც მორჩენილი ჰქონდა ცხენს. წყალზედ მეჯინიბემ ცხენს ბორკილი გამოუყარა, მოახტა ცხენს და, საით გაქრა ცის ელვასავით, მისი ველარა გაიგეს რა; გაუდგა გზას ერთგული მეჯინიბე თავის საყვარელ ბატონ ალექსანდრესკენ.“ ასე დაასრულა შახუტმა ბადურამ თავისი ტკბილი საუბარი ალექსანდრე ბატონიშვილზედ და თან თავის გაქნევი ხელი ჩაიქნია...

58250
1899

ჩ ვ ე ნ ი

„კრებული“

მეორე წელიწადში გადადგა.

დღემდი ჩვენ უფლება არა გვქონდა, რომ გარდა ყოველგვარ ჩვენი ნაწერისა, სხვების რამე დაგვებეჭდა ჩვენს „კრებულში“, დღეს-კი ნება გვაქვს, რომ სხვებისაც ვბეჭდოთ ხოლმე, და უკეთესმა ჩვენმა მწერლებთანაჲმ კიდევ აღვვითქვეს დახმარება.

ფასი იზივი დარჩება: გაგზავნით ფოსტით 7 მან., გაუგზავნელად—6 მან., ნახევარის წლით—4 მან., თვიურად და კერძო №-რი—60 კ.

—(ფულის შემოტანა ნაწილ-ნაწილადც შეიძლება).—

რედაქცია გადატანილია დ. ყვირილასში

კერძო განცხადება ყოველ საგანზე მიიღება ჩვეულებრივზე იათად და განცხადებებს ფულის გარდახდაც შეიძლება ნაწილ-ნაწილ.

ადრესი გამომწერლებისათვის: დ. ყვირილია, „კრებული“-ს რედაქცია და თბილისში წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოება.

„კრებული“-ს რედაქტორი და გამომც. აბაკი.

P. S. ბევრი გვეკითხება, „თავგადასავალის“ კავრებულს იქნება თუ არა. ამ წელში კიდევ დაიბეჭდება ეს თხზულება და ბევრი სხვაც, რომელიც უკვე დაშვადებულია.

ამ წელშივე გამოვა ცალკე წიგნად ბ-ნი მოსე ჯანაშიელის „პალეობრაფიული ალბომი“, რომელიც „კრებული“-ს ხელის-მომწერლებს იაფ ფასად დაეთმობათ.

რედაქციაში შესაძენად მოიპოვება წარსული წლის „კრებული“-ს თორმეტივე წიგნი, ფასი შეიღი მანეთია.